

# ახეული

ლიტერატურული ჟურნალი  
№3, 2014



## რევაზ ინანიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსი



\* \* \*

„მწერლობა მაინც სხვა არის, ნამდვილი მწერლობა. მას ყოველთვის თან ახლავს ღვთიური შუქი, რომელშიც ხარობს, ჯეჯილიც, შგლის ნუკრიც და ჩვენი სულიც“.

რევაზ ინანიშვილი



# ანეკდონი

№ 3. სექტემბერი. 2014 წელი

## ლიტერატურული ფენიანი

გლასიკა	
ნიცა ჭავჭავაძე ბედნიერი ერი .....	3
თამაზ ჩაჩავაძე ყველას თავისი ჰამლეტ გონაშვილი ჰყავს .....	4
უბილი ლექსი	
ნიკო ლომიძე .....	6
ლიცა ქობულაძე-სახლმშენი რატი მგალობლიშვილის „ამერიკული დღიური“ ...	7
პოეზია	
ბიკი ბაქაძე .....	14
ბუჩაძე ჭავჭავაძე .....	16
ნიკა ბუჩაძე .....	17
პროზა	
ანდრეას სიფიანაძე მეფე ვახტანგ გორგასალი .....	20
ლიცა ლომიძე	
გოგონა და შიშ .....	24
ორი მეგობარი .....	25
ნაპირები .....	26
უბილი ლექსი	
თამაზ შიშინაძე .....	26
ჯუბა ლეონიძე .....	27
სანდრო შიშინაძე საუბრები რეზო ინანიშვილთან .....	28
სამტყვეპოეზი ნახიზა მბაძაძე .....	29
თამაზ მიქაძე „ტურფავ, ტურფავ! რას უყურებ“ ... და მისი ავტორი .....	34
საბავშვო ალმბომი	
თინათინა ჰახიაშვილი რატომ არ ხატავდნენ გალაკტიონს ჩოხაში? .....	36
ხუბერტო ჟოხაძე უორდროპების გახსენება .....	37
უბილი ლექსი თამაზ ლომიძე .....	38
ზვიად ბაშაძე გურამ რჩეულიშვილის მოსაგონარი (ნაწილი I) .....	39
პოეზია	
ჯან ჯიხიაძე .....	41
ჯანაშვილი ბუჩაძე .....	44
ნელია ბობაძე .....	48
ჯუბაძე ჯიშინაძე ფრაგმენტები ამერიკული დღიურიდან .....	50
რეკონსტრუქციური მთხიანი	
ნიკო მხიტიანი „თქვენ კი, კოლაუ ნადირაძე, რას იტყვით მაინც?“ .....	53
თარგმანი	
ნიკო ბუჩაძე .....	55
ნიკოლოზ ნახაძე .....	61
ანა მისაქვიძე .....	62
ნიკა ხიციანი .....	66
თეოსოლოგიის მიხედვით ანაქსაძე მანდილი .....	67
ინტერვიუ	
თამაზ შიშინაძე გვესაუბრება დეკანოზი აბრამ სოლომონიშვილი .....	71
თითქმის დღეს დაიწება	
ლევან მჭედანი სულიერი მდგომარეობა .....	75
პროზა	
მთაწარი ფანასხაძე-სისინაძე უნებლიე თავხედობა .....	76
მსაფუძვლად „ოკეანე სილამაზისა“ .....	78
ჩუბინი პავლეშვილის ნიკო ბუჩაძე ლექსები .....	79
იუმილი ნიკა ჯაფარიძე დედის დედასთან დიდ მხატვრობაში .....	81
თორნი ბობინაძე „ჭეშმარიტი სიყვარულით ცხოვრება“, ანუ დათუნი ბოსტაშვილის შთამომავალი .....	83

ISSN 1987-9717

ენციკლედ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანელი“

---

---

ენციკლედ „ანელთან“ ახსებული  
ლიტერატურული გახიზონებზ:

თამარ მიქაქი  
ლეილა ქიტოშვილი –  
სასლთხ უცვიშვილი  
თემურ ჩალაბაშვილი  
მანანა ჩიტიშვილი  
ნინო ჩხიკვიშვილი  
თამაზ სმალაქი  
ივანე ჯაფარიქი  
ჯუბა ღებელი  
ჯუბერ ჯიშკარიანი

მთავარი ჰედაქოხი

თამარ შაიშველაშვილი

ჰასუხისმგებელი ჰედაქოხი

სოფიო ჯაფარიქი

ლოგოს ავტოხი

ბიოხიზი ზუხუზინანი

ქომპიუტერული უზუენველეოფა

გონა სოზიაშვილი

გაჰეჯანზე: ნაბო სიხბილქის ფუხნუქი ნამუშავეი

ჰელექსიის ტელეფონი: 551 00 50 58

რელაქციის ინტერნეტფოსტა: [aneuli@mail.ru](mailto:aneuli@mail.ru)

ენციკლედში გამოქვეყნებულ მასალებზე ჰასუხისმგებელია ავტოხი






ბედნიერი ერი

ჩვენისთანა ბედნიერი  
განა არის სადმე ერი?  
მძიმე ყალბით,  
ლამაზ ფაღნით  
მორთული და მშვენიერი;  
უწყინარი,  
უჩივარი,  
ქედღრეკილი, მაღლიერი;  
უშფოთველი,  
ქვემძრომელი,  
რიგიანი, წესიერი;  
ყოვლად მთმენი,  
ვით ჯორ-ცხენი,  
ნახედნი და ღონიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი  
განა არის სადმე ერი?!  
ყველა უნჯი,  
ყველა მუნჯი,  
გულჩვილი და ღმობიერი;  
თვალაბმული,  
თავაკრული,  
პირს ლაგამი ზომიერი;  
ყველა ყრუი,  
ყველა ცრუი,  
ჭკვადამჯდარი, გულხმიერი;  
მცირე, დიდი –  
ყველა ფლიდი,  
ცუღღუტი და მანკიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი  
განა არის სადმე ერი?!  
მტკვერწყარილი,  
თავდახრილი,  
ყოვლად უქმი, უდიერი;  
უზღუდონი,  
გზამრუდონი,  
არგამტანი და ცბიერი;  
მტრის არმცნობი,  
მოყვრის მემობი,  
გარეთ მხდალი, შინ ძლიერი;  
არრის მქონე,  
არრის მცოდნე,  
უზრუნველი და მშიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი  
კიდევ არის სადმე ერი?



## ყველას თავისი ჰამლეტ გონაშვილი ჰყავს...

ჰამლეტ გონაშვილზე უკვე ბევრი დაიწერა და მომავალში უფრო მეტი ითქმება. იგი მრავალი პოეტისა თუ მხატვრის შთაგონების წყაროდ იქცა. უფრო მეტიც, ყველას თავისი ჰამლეტი ჰყავს...

ბევრი რამ მისწავლია მისგან. გასპეტაკებული სულით დადიოდა ამა ქვეყნად. სუფთა, ლიმილიანი სალაპი იცოდა. საათობით შეედლო ესაუბრა ხელოვნების ნებისმიერ დარგზე, არ იყო მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი, რომ ამომწურავი პასუხი არ გაეცა.

სიცოცხლეში მისი მეგობრობით და უბრალო სიახლოვით ყველა ამყობდა.

მე მას ჩემი ცხოვრების გარიჟრაჟზე შევხვდი და იმთავითვე დამატყვევა მისი სულის სისპეტაკემ. რა ბედნიერი ვიყავი, როცა ჩემს პატარა ქონში, უფრო სწორად „ქონსამკითხველოში“ მოვიპატიჟე. გაცნობილი უყურებდა ჩემს პაწაწკინტელა ბინაში მოთავსებულ უამრავ ძველ ნივთს, მოწიწებით ჰკიდებდა ხელს საითთაოდ და ჰყვებოდა მათი წარმოშობის თუ ხნოვანების ისტორიას.


ერთხელ, ერთ კონცერტზე წამიყვანა. აგერ, ქალაქის ყურის ძირში, ხალიბაურში, მანქანაში ორნი ვისხედით, დანარჩენი მომღერლები დიდი ავტობუსით მოდიოდნენ. სხვათა შორის, მაშინ გავიცანი მისი განუყრელი და ჩემთვისაც შემდგომში უძვირფასესი მეგობარი ომარ კელაპტრიშვილი. ამინდის გამიზეზების გამო კონცერტი არ შედგა (ღია ცის ქვეშ იყო დანიშნული). გაგკადნიერდი და ვუთხარი, ბატონო ჰამლეტ, იქნებ ჩემთან წავსულიყავით. თქვენი რამდენიმე მეგობარი წაგვეყვანა-მეთქი. განსაკუთრებით კელაპტრიშვილი მესურვილებოდა. ერთი სიტყვით, დავითანხმე – თვალები აუღიმილდა. ასე და ამგვარად, სახელდახელო პურმარული გაგშალეთ ჩემი მეუღლის დეიდის ბინაში, ფალიაშვილის ქუჩაზე – ჩემი ბეჟანი ახალი დაბადებული იყო და აკვანში იწვა. ჰამლეტმა ბავშვს დახედა და „წინწყარო“ წამოიწყო. თავიდან ვერ შეამჩნია, რომ ოჯახის მასპინძელს ძაძები ეცვა. უცებ

ქალბატონს ხელზე ეაბორა და საგალობელი წამოიწყო. მგლოვიარე ქალს გული ამოუჯდა. მღეროდნენ ანსამბლ „რუსთავის“ სწორუპოვარი ბიჭები. ასე მომილოცეს ბიჭის დაბადება, ასე მიუსამძიმრეს ოჯახის მგლოვიარე ქალბატონს...

ერთხელ ჩემმა მეგობრებმა, დებმა ასანიშვილებმა დაგვპატიჟეს. მივედით ჰამლეტი და მე, ჩემი ჯვალბით. ჰამლეტს უცებ არ უყვარდა გამინაურება – ჯერ დებმა იმღერეს, საკმაოდ მაღალპროფესიულად, ჰამლეტს ძალიან ესიამოვნა და „შენ, ბიჭო ანაგურელო“ წამოიწყო. სუფრა გაინაბა. გათენებამდე დავრჩით. ოთხი წლის ბეჟანს თვალი არ მოუხუჭავს, სულ აცისკრებული თვალებით შეჰყურებდა საუკუნის მგალობელს.

გარიჟრაჟზე დავტოვეთ დიდად სტუმართმოყვარე ოჯახი. ჰამლეტმა ჩემი ბიჭი მხრებზე შეისვა და ისე წამოიყვანა პლენხანოვზე, ჩვენს პატარა, თქვენთვის უკვე ნაცნობ „ქონში“ – ეს ღამისთევა დავიწყების ბურუსით არასოდეს დაიფარება. ჩემს ბიჭს დღემდე ახსოვს ჰამლეტის ბევრი იმდღევანდელი ნაამბობი. განსაკუთრებით კი ის ჩარჩა გონებაში, რა აღშფოთებული ჰყვებოდა, სოკოს გამყიდველ ბავშვებს როგორ ჩაგრაავდა ვიღაც ახმახი მილიციელი...

წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში, ჩვენდა სამწუხაროდ, კონცერტები იმართებოდა (მაგის მეტი კი რა ხდებოდა ჩვენს დაბნელებულ კომუნისტურ საზოგადოებაში). კონცერტები ივლის-აგვისტოს პაპანაქებაშიც ეწყობოდა. ერთ-ერთ ასეთ საღამოს უცხოელი ტურისტებიც დაესწრნენ. ერთ ღამაზე უცხოელ გოგოს ისე მოეწონა ჩემი ჰამლეტი, რომ ჩოხოსან ანგელოზს კისერზე ჩამოეკიდა და ყელზე აკვირდებოდა. შემდეგ სურათის გადაღება შესთავაზა. ჰამლეტმა მეც გამომდო ხელი. სამწუხაროდ, ის ფერადი ფოტო არ დაუტოვებია ჩვენთვის და დღემდე სანანებლად მიმაჩნია, რომ არც ერთს არ შეგვჩჩა – იმ გოგონამ გული აქ დატოვა, ეს სურათი კი თან წაიღო.



ჰამლეტ გონაშვილი

ერთხელ ჩვენი დაპატიჟება გადაწყვიტა. ისე, უბრალო, პატარა ნამცხვარი გამოაცხო ლამარამ და იქნებ ჩაიზე წამოსულიყავითო. ჰამლეტთან ყოფნის ცდუნება იმდენად დიდი იყო, რომ უარს როგორ ვეტყობდი. მიგვიყვანა შინ, მაშინდელ საკანში, თუ შეიძლება ასე დავარქვათ იმ, მართლაც, საკნისოდენა პაწაწინა ბინას. პატარა სახლს კარგი დიასახლისის ხელი ეტყობოდა, ამას შესვლისთანავე იგრძნობდი. ქალბატონ ლამარას მოულოდნელი სტუმრები არ გაჰკვირვებია, მაშინვე ვიგრძენით, მაგრამ მაინც სიყვარულნარევი ხმით უსაყვედურა, რატომ ტელეფონით მაინც არ გამაფრთხილეო. ერთი სიტყვით, ნამცხვარი კი არა, თხუთმეტიოდე წუთში ზღაპრული სუფრა გაიშალა – იქვე ახლოს მცხოვრები მისი და ჯულიეტაც გადმოვიდა. იქ ყოფნას არაფერი სჯობდა. დას განსაკუთრებული მოწიწებით ექცეოდა. სადღეგრძელო სადღეგრძელოებს მოსდევდა და როცა იქვე, ვაკის პარკთან მდებარე კერძობინებთან ეზოებში მამლების ყვილი გაისმა, ჩვენ – ჩემი მეუღლე, მე და ჰამლეტი უკვე კუს ტბიდან გადმოვყურებდით მაშინდელი გაჩახჩახებული თბილისის საოცრებას. მხოლოდღა გათენებისას მიგვიყვანა შინ თავისი ჟიგულით.

1982 წლის 22 იანვარს, მარად დაუვიწყარი ომარ კელაპტრიშვილის დიდი მოწადინებითა და თაოსნობით, ჩემი პოეზიის საღამო გაიმართა. თავიდან ვუარობდი, მაგრამ ომარი თუ შეგიჩნდებოდა, შენს მტერს, ოღონდ წაეხალისებინე, ოღონდ ადამიანისთვის სიკეთე გაეკეთებინა... საღამოს, რომელიც ხელოვნების მუშაკთა სახლში გაიმართა, ჩემდა

გასაკვირად, ბევრი მსმენელი თუ მაყურებელი დაესწრო.

შეხვედრას ჩვენი ცნობილი მწერალი რევაზ მიშველაძე უძღვებოდა. როცა სიტყვა ჰამლეტს მისცეს, იგი სცენისკენ გამოემართა, დარბაზს ქორული მზერა მოავლო და თავანკარა ქართულით დაიწყო საუბარი. ილაპარაკა, თუ როდის და როგორ გავიცანით ერთმანეთი, ჩემს პატარა ბინაში როგორ შეამჩნია პატარა ჩიტი ბუდე. და რა ვიცი, რა აღარ გაიხსენა. მისი გონებისა და მეხსიერების კაცს სასაუბროს რა გამოუღვედა. ბოლოს კი, ჰოი, საოცრებაჲ! თავისი ღვთაებრივი ყელიდან, ალაზნისპირული მზიანი ყელიდან, სიტკბო და სიყვარული ამოღვარა – კი არ მღეროდა, გალობდა. ეს დღე ჩემს ცხოვრებაში მარტო დაუვიწყარი კი არა, ალბათ, ერთადერთიც იყო. ასეთი საღამოები რითაც გვირგვინდება ხოლმე, კარგად იცით, და არც ჩემი საღამო გახლდათ გამონაკლისი... კინაღამ დამავიწუნდა, სიმშლერის ბოლოს წყვილი ყანწი მაჩუქა, ანსამბლ „რუსთავის“ მიძღვნილი ყანწი გადმომცა და ეს ყანწები იმავე ღამით პირველად „იკურთხა“.

1984 წელს ჩემი თითისტოლა ლექსების კრებული გამოსცა „მერანმა“. მას მერე ახალ წიგნზე, ფაქტობრივად, აღარც მიმუშავია. მე წიგნების რაოდენობის მიხედვით არ ვაფასებ მწერლებს, განსაკუთრებით კი პოეტებს, რამეთუ შემოქმედი სიცოცხლეში სულ რამდენიმე ლექსს წერს, რომელითაც შემოქმედად რჩება. ვერ წარმომიდგენია, ორი აგურისხელა ლექსების კრებული გამოსცე და რჩეული დააწერო (ეს ისე, სხვათა შორის). იმას ვიამბობდი, თითისტოლა კრებული გამოვეცი-მეთქი. „მერანის“ მალაზია, ახლა არ ვიცი და, მაშინ ახლანდელი ყაზბეგის პროსპექტზე მდებარეობდა და ჩემთვის შესაძენად შევიარე მალაზიაში. გაცეხულმა გამყიდველმა მითხრა, ჰამლეტ გონაშვილი მოვიდა და შენი ასი წიგნი წაიღო. არ გამკვირვებია, იმ პატარა კრებულში ხომ მისდამი მიძღვნილი ლექსი იყო. იმ ლექსში მე მას ქართული სიმღერის ავთანდილი ვუწოდე, რაც ძალზე ეამაყებოდა. მას მერე ერთმანეთს უფრო დავუახლოვდით. ხშირად ვყოფილვართ ერთად საღამოებსა თუ საერთო მეგობართა წვეულებებზე.

ჰამლეტის დაღუპვის დღეს, მეხივით რომ გავარდა საქართველოში, კახეთიდან ჩამოსვენებას მეც, როგორც ერთ-ერთი ჭირისუფალი, ველოდებოდი. მის ოთახში წიგნების თაროს რომ შევხედე, ჩემი თითისტოლა წიგნი, განსაკუთრებით რამდენიმე ავტორთან ერთად, თაროზე საჩინოდ იყო გამოტანილი...

ერთი ლექსი

ნიწო დიხბიუსანი



### ომი ომია

მეუბნებიან, ომი ომია,  
მასაც ესვრიან, ისიც გაისვრის.  
ის ხომ მხოლოდ ცხრამეტისაა,  
ჩემი ძამიკო,  
სამოსანი,  
დაუღევარი.  
ვეუბნებოდი ომში მიმავალს:  
თავს გაუფრთხილდი  
უკან დაღეჭი,  
ტყვიას ერიდე.  
მან კი,  
ო, ისე გაიცინა,  
ლამის მთელი დედამიწა გადაიცინა.  
რა ბედენაა ტყვია ბრმა თუ თვალახელილი  
იქნებ ამ წუთას,  
აი ახლა,  
სანგრიდან მოსჩანს მტრების სამიზნედ  
ჩემი ძმის თავი,  
თმაშეკრეჭილი  
ან იქნებ,  
იქნებ...  
ამდენ „იქნებს“ რა დაეხსნება,  
როცა სიკვდილი იხედება ყველა ლულიდან,  
ყველა თვალიდან  
ისმის ყველა გრუხუნოდან,  
ყველა ჩქამიდან  
და ჯარისკაცებს

სიკვდილზე სძინავთ,  
ზედაც სიკვდილი აფარიათ,  
სიკვდილსა სჭამენ  
და სიკვდილით წყურვილს იკლავენ,  
სიცოცხლის წყურვილს, დედა მარიაჲ!  
დედა მარიაჲ!  
სისხლით აივსო დედამიწა,  
დედა მარიაჲ!  
დედა მარიაჲ!  
გადმოგვაფარე შენი კალთა  
გადმოგვაფარე!  
რათა დედებმა,  
დარდით სახედალარულებმა  
და ქალებმა  
და ქალწულებმა  
და გოგონებმა  
გულში ჩაიკრან მწარედ,  
სულის შეგუბებამდე  
და არ გაუშვან აღარასოდეს  
ომში შვილები,  
ქმრები,  
ძმები,  
სატროფოები,  
მამიკოები,  
რადგან ომი მაინც ომია  
და ომში ყველა ჯარისკაცი  
ან მკვლელია, ანდა მოკლული.





## რატი მგალობლიშვილის „ამერიკული დღიური“

„მე ასე მსურდა – ერთს ვხსოვდები...“  
(„ამერიკული დღიურიდან“)

„დღეს 9 მარტია 1994 წლისა. გარეთ თოვლი დევს, წვიმს და ცივა. მოკლედ, საშინელი ამინდია. ვზივარ კოლეჯის დეპარტამენტში, რომელიც დაახლოებით ოჰაიოსა და კენტუკის შტატების საზღვარზეა, ქ. ცინცინატიის მახლობლად, ვუსმენ მუსიკას, რაც ჩემს ერთადერთ გართობად იქცა ამ ხალხით ნაქებ ქვეყანაში. უცბად განვიზრახე ფურცელზე გადამეტანა ჩემი აზრები და ფიქრები, რათა მეორედ არავის შეიძლებოდა ჩემი მოტყუება მითებით ამერიკული კეთილდღეობისა და საინტერესო ცხოვრების შესახებ...“

უკვე ორი თვეა აქ ვარ და ჯერ არ განმიცდია ამერიკული თავისუფლება, ბედნიერება, მაინც არ ვნანობ, რომ აქ ვარ, რადგან მხოლოდ აქ, ამ უსასრულო სიშორეში, ნებაყოფლობით იზოლაციაში, გარეგნულ ბრწყინვალეობასა და შინაგან სიღატაკეში, ვგრძნობ ჩემი ჯიშისა და ჯილაგის ფეთქვას, ფესვებისა და ტრადიციის ძალას, ძველსა და დახვეწილ გენს.

აქ ადამიანთა ძირითადი მასა უცოდინარი და უვიცი, უგემოვნო და უზარდები, უინტერესო და უბრალოა (უცუდესი გაგებით), მოკლებულია სულიერ და გარეგან ღირსებებს. სკოლაში ასწავლიან მხოლოდ იმას, რაც მთავრობას და მის უკან მდგომ უცნობ პიროვნებებს აწყობთ (როგორც სსრკ-ში).

ზოგჯერ ვფიქრობ, რომ კიდევ ერთი დღეც რომ დავრჩე აქ, შეიძლება თავი მოვიკლა... გუშინ აქაურმა ნაცნობმა გოგომ საუკეთესო დაქალთან წამიყვანა. მთელი საღამო სექსზე უხამსი საუბრისა და ცხოველური სიცილის გარდა არაფერი მომიხმენია. ორივე გოგო თამამად ამბობდა და არ მალავდა სურვილს, რომ ჩემთან უფრო ახლო „კავშირი“ ჰქონოდა. ასეთ სიტუაციაში ნამყოფმა შეიძლება სექსუალური გადახრა დამწამოს, მაგრამ მერწმუნეთ, რომ ჩემს მდგომარეობაში მყოფ ყველა ნორმალურ მამაკაცში მათი საქციელი (და გზა, რომელსაც იყენებდნენ) ზიზღისა და გულისრევის გარდა არაფერს გამოიწვევდა.

აქ უმრავლესობის ინტელექტუალური დონე მინუს უსასრულობაში გადადის. ისეთი საგანი, რასაც წიგნი ან სხვა რაიმე ტვინის სავარჯიშო ეწოდება, საერთოდ არ გააჩნიათ. მოკლებულნი არიან სიყვარულის, მეგობრობის, პატივისცემის გრძნობებს. ვერ იტანენ ერთმანეთს და-ძმა, ცოლ-ქმარნი, მეგობრებზე აღარ ვლაპარაკობ. ჩემი დაკვირვებით, ხსენებული გრძნობები მხოლოდ ზანგებს ან სხვა ქვეყნებიდან ახალჩამოსულებს უფრო აქვთ.

მე ძალიან მენატრება თბილისი და ახლობელი ადამიანები. რასაც არ უნდა ვაკეთებდე აქ, ჩემი ფიქრები და ოცნებები

მის ხიფათიან ცხოვრებას დასტრიალებს. და რა საინტერესოა, რომ ჩემს ამ გრძნობებს, რომლებსაც წამებაც შეიძლება ვუწოდოთ, მხოლოდ დედაჩემი გაიგებს, გაითავისებს და თანამიგრძნობს. არ ვიცი, რატომ და რანაირად, მაგრამ ყველაზე მკვირი და ღონიერი (ასტრალური) ჯაჭვებით დედა - შვილი არიან გადაბმული. მე ყოველთვის წინასწარ ვიცი დედაჩემის აზრი ამა თუ იმ ფაქტსა და ამბავზე. ძალიან მიჭირს ამ ჩემი აზრების ფურცელზე გადმოტანა, მაგრამ უბრალოდ რომ ვითხრათ, ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს აქ, ამერიკაშიც, შეიძლება ვიგრძნო და გავიგო, რა პრობლემები და აზრები ტრიალებს ირინას თავში. ამაზე არასოდეს არ მილაპარაკია დედაჩემთან, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ისიც ზუსტად ასეთივე რამეს განიცდის ჩემ მიმართ.

ახლა ისევ აქაურობას დავუბრუნდები. ყველა ჭკვიანმა ადამიანმა იცის, რა მნიშვნელოვანი და განსხვავებულია ჩემს ქვეყანაში, თუ სად, რა ოჯახში, მეგობრების რა ატმოსფეროში აღიზარდა პიროვნება. წარმოიდგინეთ, რომ ამერიკელთა დიდი უმრავლესობისათვის უცხო ან უმნიშვნელოა ეს „ფასეულობანი“, აქ ყველაფერი თავიდან ფერადი და ლამაზი მოგეჩვენება, მაგრამ თუ შეძლებ ღრმად ჩაძიებას, თვალწინ ნაცრისფერი მანქანების სამყარო წარმოგიდგება, რომელსაც, მართლაც, დიდი ინტელექტუალური, ოღონდ ცხოვრებაში უხილავი პიროვნება თუ ძლიერი ორგანიზაცია მართავს.

ამათი ყოველდღიური ცხოვრების განრიგი უუბრალოესი და ერთნაირია ათეული წლების განმავლობაში: სამსახური (უინტერესო და ხშირად სამარცხვინო), მაღაზია, სახლი, ფულზე ლაპარაკი, ე.წ. „დღესასწაულები“, რესტორანში ღრეობა, უნიჭო, ამაზრზენი და სამარცხვინო ცეკვა. ჩემი თაობის ახალგაზრდობის გართობა უმთავრესად დათრობა და მერე მთელი ღამე ვიღაც პირველ შემხვედრთან ლოგინში ცხოველივით გორაობა და, რაც მთავარია, ამ ყველაფრის ფოტოსურათებზე აღბეჭდვა და გულის ცხრაკლიტულში შენახვა. ჯერ ქალი არ მინახავს, რომ მომწონებოდეს, გარდა ტელევიზორის ეკრანისა. უმეტესობას ტანის ავადმყოფური აგებულება აქვს, ხოლო იმათ, ვისაც ტანისა და სახის მოყვანილობის პრობლემა არ აწუხებს, სახეზე ბრიყვული გამომეტყველება აწერია.

ზოგჯერ მეცინება, როცა ეს ადამიანები „ლოგიკურად“ მსჯელობენ ან სხვის

შეცდომებზე იწყებენ ლაპარაკს. შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ არასდროს მინახავს ასეთი მძლავრი, ძნელად დასანახი და ხალხის თავისუფალი აზროვნებისა და ნამდვილი ბედნიერების დამაბრკოლებელი მანქანა. ესაა, მართლაც, გენიოსის მიერ დაპროექტებული, მედილიონედ გრამებსა და სანტიმეტრებში გაზომილი და აწონილი იმპერია.

საბჭოთა კავშირიც იმპერიაა, მაგრამ უფრო ადვილად გამოსაცნობი და უფრო პრიმიტიული. ეს აქსიომაა – ყველა იმპერია დაინგრევა ადრე თუ გვიან. სსრკ-მ 75 წელი გაძლო, დღეს ნგრევა დაიწყო და როგორც რომის იმპერიის ნანგრევებზე ბიზანტიის აგება შეძლეს, ისე ცდილობენ ახალი სსრკ-ის აშენებას, მაგრამ იგრძნობა, რომ ძალიან უძნელდებათ ამის გაკეთება, განსხვავება ამ ორ იმპერიას შორის შეძლეში მდგომარეობს: სსრკ-ში შედიოდნენ ძველი და გამობრძმედილი გენეტიკისა და ფილოსოფიის მქონე ერები, რომელთა დამონება უფრო ძნელი ამოცანა იყო. ბრძენი ხალხი თავის გამოცდილებსა და ცოდნას თაობებს გადასცემდა, შვილები და შვილიშვილებიც ადვილად ითვისებდნენ მამა-პაპათა სიბრძნეს, ახალი ცოდნით ამდიდრებდნენ მას და ამიტომ მათი გონებრივი დამორჩილება შეუძლებელი ხდებოდა. ერთადერთ გზად რჩებოდა მათი ფიზიკური განადგურება, მატერიალური სამყაროდან გაქრობა. ამას ემსახურებოდა მასობრივი რეპრესიები, დახვრეტები, გადასახლებები.

ამერიკელ მმართველებს არ სჭირდებოდათ ამის გაკეთება და ხალხისთვის საბაბის მიცემა რევოლუციისა და ამბოხებისათვის, რადგან აქაურები შეადგენდნენ ევროპის მიყრუებული და ბნელი სოფლებიდან თუ დასახლებებიდან გამოქცეულ ადამიანებს, რომლებიც არ იყვნენ და ვერც იქნებოდნენ ერის საუკეთესო ნაწილი, ელიტას რომ უწოდებენ. მათმა უმეტესობამ, მაღალ მატერიებს რომ მოვეშვათ, წერა-კითხვაც კი არ იცოდა. მათი მამა-პაპანიც, ჩანს, უვიცნი და უგვარონი იყვნენ, რაზეც მეტყველებს მათი უტიტულო, გვაროვნული თუ უგვაროვნო მდგომარეობა.

ამერიკაში ამ ხალხმა გადაჭრა მატერიალური პრობლემა: მოიპოვა საზრდო, ჩასაცმელი, ჭერი. მათ შვილებს უკვე შეეძლოთ სკოლაში სიარული, გონების განვითარება და მზადება ინტელექტუალური განვითარების კიბეზე ასაფრენად. მაგრამ ასე არ მსჯელობდა აქაური წყობის

მოძგონი ინჟინერი. მას ამ ადამიანთა ფსიქოლოგიისა და მეობის დასათრგუნავად უკვე მზად ჰქონდა საბავშვო ბალები, სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები, სამუშაო ადგილები, სადაც შეუმჩნევლად, მაგრამ ძალიან ეფექტურად მუშაობდა ხალხის გონებრივი განვითარების უკანდამხვევი მანქანა თავისი წამახალისებელი თუ დამსჯელი რკინის ხელებით. და ეს ადამიანები, მიჩვეულნი თავის საყვარელ დედას – სინამდვილეში რკინის დიდ, მძლავრ და ცივ თოჯინას, არიან ყოველთვის თავისი „დედის“ დამჯერნი და მოშიშარი ბავშვები, რომელთაც ორი აზრის გადაბმა არ შეუძლიათ გაზეთის, ტელევიზიის თუ აგიტაციის სხვა მძლავრი საშუალებების გარეშე.

მე შევძელი ჩემი კითხვების ერთი ნაწილისათვის პასუხის გაცემა და ახლა თვითონ ვსვამ კითხვას: ის ადამიანები, რომლებიც ამ ქვეყანაში იყვნენ ნამყოფი, რატომ აქებდნენ ამ სამყაროს? ნუთუ უამრავი ფერადი შუქისა და მრავალრიცხოვანი მაღაზიის სინათლემ დააბრმავათ? ან თუ არ ამბობდნენ, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არ დაუჯერებდნენ და უბრალოდ სულელებად ჩათვლიდნენ ისინი, ვისაც არ ენახა ეს ქვეყანა. შესაძლებელია, მაგრამ ზუსტად არ ვიცი.

1994 წლის 18 მარტია, დამის 3-ის ნახევარი. ვერაფრით ვერ დავიძინე და მინდა ჩემი ახლანდელი აზრები და გუნება-განწყობილება ფურცელზე გადმოვიტანო.

ამერიკა! უზარმაზარი, მრავალფეროვანი, საინტერესო და უინტერესო, ცივი და გულთბილი, გონიერი და ბრიყვი... აქ ადამიანები უმეტესად მარტონი არიან თავის თავთან, რასაც თვითონაც გრძნობენ და აღიარებენ კიდევ. და მე, სამშობლოში განებივრებული ახლობლების სითბოთი და სიყვარულით, ვზივარ მარტო ერთ-ერთი დიდი ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო ქალაქის რაიონში, სადაც ცხოვრება, მასპინძელი ხალხის თქმით, ძვირი და პრესტიჟულია, და ვფიქრობ ჩემს ახლობლებზე, ადგილებზე, სადაც გავატარე ჩემი 18 წელი – დასამახსოვრებელი და ჩემთვის ძალიან ძვირფასი დრო, რომელიც წარსულში დარჩა და აღარასდროს დაბრუნდება, ველარასდროს ვნახავ და ვიგრძნობ იმას, რასაც ახლო თუ შორეულ წარსულში ვგრძნობდი, ვხედავდი, მესმოდა, განვიცდიდი...

სულ ვინსენებ ჩემს ახლობლებს და უკან დაბრუნება მინდა, მაგრამ ვფიქრობ, რომ არა უშავს – 6 თვე ამერიკაში ყოფნა არ

მომკლავს, შეიძლება ვცდები... ადამიანისთვის, რომელსაც აქვს სამშობლო, ჰყავს ახლობლები, გააჩნია ზნეობა, ტრადიციები, ნორმალურად განვითარებული გონებრივი შესაძლებლობანი – აქაურობა მოსაწყენი და მოსაბეზრებელი, პრიმიტიული და ხანდახან ამაზრზენიც კი ხდება. ჯერ არ შემხვედრია ამ ქვეყნის მმართველი კასტის, თუ ელიტის წარმომადგენელი ან პიროვნება მათი წრიდან. ვხედავ მხოლოდ ნაცრისფერ მასას, რომელშიც იძირება და უგზოუკვლოდ იკარგება ნიჭი და გონება. მართლაც, საინტერესოა და საოცარი, თუ სად, რატომ და რანაირად იმალება ეს ხალხი.

ხანდახან ვფიქრობ იმაზე, თუ აქ ამერიკაში, რა მაკლია ყველაზე მეტად და მიჭირს პასუხის გაცემა, რადგან მაკლია ყველაფერი, რაც მქონდა და აღარა მაქვს დროებით: სითბო და სიყვარული, ახლობლების სიცილი და ზუმრობა, მათი მოხვევა და კოცნა, ღიმილი და თუნდაც მხოლოდ უბრალო შეხება, რომელიც გაგრძნობინებს საყვარელ ადამიანთან სიახლოვეს, აზრისა და გრძნობის ერთიანობას. უბრალოდ, ლაპარაკი მაკლია გულწრფელი, გულახდილი და არა ყალი და მოჩვენებითი. ერთი სიტყვით, მაკლია ყველაფერი ერთად, თუმცა ძალიან კარგი და თბილი მასპინძლები მყავს.

საოცარია, ერთი შეხედვით ისე ჩანს, თითქოს ამ ადამიანებს პრობლემები არა აქვთ და არაფერი დარჩენიათ მხიარულებისა და სიცილის მეტი. მაგრამ ეს სიცილი მხოლოდ კბილების გამოჩენაა და მასში მე გულწრფელობას ვერ ვხედავ. თითქოს გარეშე სევდასაც იზიარებენ, მაგრამ ესეც არა მჯერა. მათი ბრიყვულად ცივი გამოხედვა მაგონებს თოჯინას, რომელსაც არ შეუძლია არც სიყვარული და არც სიძულვილი, არ შესწევს ნამდვილად კარგის და ნამდვილად ცუდის, სიყვარულისა თუ სიძულვილის განცდა. ისინი მოკლებული არიან უნარს, გულწრფელად დაიტირონ ახლობელი ადამიანი, ვთქვათ, ალალი ბიძაშვილი. კიდევ მეტიც: შეძლებულმა, მდიდარმა მამამ არც კი მოისურვა მიცვალებული შვილის ნახვა, ფულიც კი არ გაიღო მისი ადამიანური დაკრძალვისათვის. ყველაზე საზარელი ის იყო, რომ საზოგადოებამ ეს ჩვეულებრივ რამედ მიიღო. მხოლოდ ერთადერთმა, მამამ – იმ ოჯახის უფროსმა, სადაც მე ვცხოვრობ თქვა: „შტერი ვარ, ამერიკელი ქალი რომ მოვიყვანე ცოლად. ხედავ, ასეთები არიან ამერიკელები“.

ავილოთ თუნდაც ქალები. თბილისში ქალმა ერთი ღიმილით მილიარდჯერ მეტი სიამოვნება და სიხარული შეიძლება მოგვანიჭოს, ვიდრე ამერიკელ ქალთან წლობით ცხოვრებამ, რასაც, ბოლოსდაბოლოს, იმ აზრამდე მიყავხარ, რომ საქმე გაქვს არა ქალთან, არამედ ტექნიკის თანამედროვე საშუალებებით უაღრესად დახვეწილ თოჯინასთან, რომელიც გამოიყურება როგორც ქალი. მაგრამ ეს მხოლოდ მირაჟია და ზუსტად ნაყოფია იმ გადახრებისა, რომელთა შესახებ? ღმერთი მრავალჯერ აფრთხილებს კაცობრიობას. ძალიანაც რომ მოინდომო, ამ ქვეყანაში ვერ დაიცავთ საღვთო მცნებას, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ისინი ეწინააღმდეგება აშშ-ის მთავრობის მოგონილ კანონებს, თვით კანონი უწყობს ხელს ასეთ არასწორ და ეშმაკისეულ ცხოვრებას. ამ ადამიანებს კი დიდი შიში და რიდი აქვთ თავისი სამთავრობო კანონებისა.

სწავლა – ამ ცნებას აქ ბევრი საერთოდ არ მისდევს, რადგან არ შესწევთ ფიქრისა და აზროვნების უნარი და მხოლოდ პრაქტიკული მოთხოვნილებების მიხედვით აგებენ ცხოვრებასაც და ყოფასაც. წარმოიდგინეთ, რა საშინელებაა, რომ ადამიანებს ვერაფერზე დაელაპარაკები ფულისა და ჭამის გარდა. როცა სერიოზულ თემაზე იწყებ ლაპარაკს, გაშტერებული შუშის თვალებით გიყურებენ ან ეცინებათ და შეიძლება გიჟადაც ჩატვალონ. ამდენი ხანია აქ ვარ, ამდენი ადამიანი გავიცანი და ამდენთან მაქვს ურთიერთობა, მაგრამ მაინც მარტო ვარ ჩემ თავთან. ჩემთვის აქაური სამყარო მრავალი ლამაზი ფერით შედებილი და გასაოცარი იერის დიდი მირაჟია, რომელიც ხელით შეხებისას იფანტება და ქრება, როგორც ნისლი ქარის დროს.

**24 მარტი, 1994 წელი.** ძალიან ცუდად ვარ. რამდენი რამ მიტრიალებს თავში, ჩემი გონება ძალიან გადატვირთულია. აქ თუ ცხოვრობ, დღეში ერთი კილო წამალი გჭირდება, რომ არ გაგიჟდე (გადატანითი თუ პირდაპირი მნიშვნელობით), ძალიან ცუდად ვარ, ხელი მიკანკალებს. ვეღარ ვწერ. 10 საათი და 50 წუთია და უკვე ლოგინში ვარ, იმიტომ, რომ ფეხზე ვერ ვდგავარ. მენატრება სახლი, ძალიან მენატრება... აღარ შემიძლია მეტი...

1994 წელი, 9 აპრილი. ასეთი ამაზრზენი ადგილი არსად არ მინახავს. ამინდიც ადამიანებზე უცნაურია. გუშინწინ ისეთი თოვლი წამოვიდა, რომ 10 მეტრში არაფერი ჩანდა. ორი დღეა თოვლი დნება და ვერ

დადნა.

აქამდე ვწერდი, რომ ექვს თვეს დარჩენას შევძლებ-მეთქი, მაგრამ ახლა უკვე ძალიან მალე წავალ უკან. როგორც კი კოტე ფულს გამომიგზავნის, იმავე კვირას წავალ. მინდოდა მენახა ნიუ-იორკი და ტორონტო, მაგრამ ახლა ერთი სურვილი მაქვს დავტოვო ეს ღმერთის მიერ დიდი ხნის წინ მიტოვებული ადგილი. უკვე 4 თვეა ლანდების ქვეყანაში მარტო-მარტო ვცხოვრობ. მაგრამ ლანდებთან ცოტა ხნით ცხოვრება კარგი გაკვეთილია ყველა ადამიანისათვის. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, ადამიანისათვის და არა ადამიანის მსგავსი ბრევი არსებისათვის, რომელთა სათარეშოც გახლავთ ეს ნაქები, მაგრამ წარმართული არა ქვეყანა, არამედ ტერიტორია.

**14 აპრილი, 1994 წელი.** დღეს რუსეთის სატელევიზიო-საინფორმაციო გადაცემას „ნოვოსტს“ ვუყურებდი. იქ ითქვა ის, რასაც მე ამ არაინტელექტუალურ ქვეყანაში ჩამოსვლის მეორე დღიდან გავიძახი: რომელიღაცა ევროპულმა ძლიერმა ორგანიზაციამ, რომელიც ახალგაზრდობის განათლების დარგში მუშაობს, გააკეთა დასკვნა, რომ ამერიკის მოსწავლე-ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფება, რადგან არ გააჩნია მინიმალური განათლება კი და ამან ქვეყანა შეიძლება გამოუსწორებელი მდგომარეობის წინაშე დააყენოსო. მეტსაც ვიტყვი: ის თაობა, რომელმაც უნდა ასწავლოს ამ ახალგაზრდა თაობას, გაუნათლებელი და მეტად შეუგნებელია. არ ესმის არაფერი ახალი, რაც ბავშვობაში თავში არ ჩაუტენიათ და არ დაუზუთხინებიათ. ყოველგვარი ცდა, აუხსნა რაიმე, ამაოა – ტვინში დიდი ჩინური კედელი აქვთ, რომელსაც ვერანაირად ვერ გადალახავ და ვერანაირი ხერხით ვერ დაანგრევ.

ჩემი აზრით, ამ ხალხს ჰყავს რაღაც ფარული ინტელიგენცია, ელიტა, რომელიც ათეულებს შეადგენს, სწავლობენ და ასწავლიან მომავალ თაობებს, რომლებიც, ისევე, მათი წრის წარმომადგენლები არიან, ხდიან ნამდვილ მეფეებად, რომლებიც წლების განმავლობაში უხილავად და მასებისაგან ფარულად მართავენ ამ დიდ ძლიერ იმპერიას. ეს არის ქვეყანა, სადაც ათეულები თავისუფლად და განუკითხავად მართავენ ათეულ და ასეულ მილიონებს.

15 აპრილი, 1994 წელი. მგონი გაზაფხულდა?! ცხელა! კარგ ხასიათზე



ვარ, მაგრამ მაინც წასვლა მინდა ძალიან!  
16 აპრილი, 1994 წელი. ძალიან მინდოდა წასვლა, მაგრამ აზრზე ხარ, უკვე ბილეთები ამიღეს ვაშინგტონზე. რა ვქნა, არ ვიცი. არ მგონია, რომ ვაშინგტონმა ანდა ნიუ-იორკმა, სადაც შემდეგ ვაპირებ წასვლას, გინდაც კანადამ (ტორონტომ) მომხიბლოს ისე, რომ გულიდან ამოვიგდო სამშობლოში დაბრუნების სურვილი.

რამდენი მაღაზია, აუზი თუ სხვა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებიც არ უნდა ააშენოს მთავრობამ, მოსახლეობა მაინც ძალიან დაბალ საფეხურზე დგას. ზოგიერთ ამათნიარს თბილისში საერთოდ არც ველაპარაკები. თუ აქამდე გავჩერდი ნინას გამო /ნინა მონტელენე – იმ ოჯახის დიასახლისი, სადაც რატი ცხოვრობდა ამერიკაში/, რომელსაც მართლა ძალიან ვუყვარვარ და ამიტომ არ მიშვებ, მპატრონობს და მივლის.

მიზეზი ამერიკის სხვა დიდი ქალაქების ნახვისა არ გეგონოთ შენობებისა და მაღაზიების დათვალიერება იყოს. მინდა დავრწმუნდე, რომ ყველა შტატში ასეთი სასტიკი და ჩლუნგი ადამიანები არ ცხოვრობენ. ჩლუნგი – ეს ზუსტად ის სიტყვაა, რომელიც მათ შეეფერება.

**1994 წლის 21 აპრილი.** ვარ ძალიან კარგად. ვიმყოფები ამერიკის დედაქალაქში, ვაშინგტონში. აქ ვცხოვრობ ტონისთან ერთად ამერიკული უნივერსიტეტის კემპუსში (ტონი – რატის ამერიკული ოჯახის უმცროსი ვაჟია).

ამინდი გადასარეგია, ბუნება – მშვენიერი, ქალაქი – ულამაზესი. სხვა რა შეიძლება მოისურვოს თბილისის საგაიჟეთიდან ჩამოსულმა ადამიანმა, რომელსაც უბრალოდ განტვირთვა და დასვენება სურს. მეოთხე თვეა ამ ქვეყანაში ვარ და ასე კარგად არც თავი მიგრძენია და არც ასეთი თბილი და ლამაზი ადგილი მინახავს.

ეს უნივერსიტეტი მდებარეობს, შეიძლება ასე ითქვას, ბუნების წიაღში, გამწვანებულ ადგილას, ჩიტების საამური ჭიკჭიკით მოცულ ხეთა ჩეროში. რა სასიამოვნოა ამ ხმების მოსმენა და მზის სხივების ყურება, ხის ფოთლებს შორის გამომდრობას რომ აპირებენ.

ეს კემპუსი კეთილმოწყობილი პატარა ქალაქივითაა, პატარა მაღაზიით, პატარა საცურაო აუზით, პატარა საპარიკმახეროთი, რამაც ყველაზე ძალიან გამაოცა. თვითონ ვაშინგტონიც ასეთივე მწვანე და ლამაზია. აქ ცხოვრობენ და მუშაობენ ამ ქვეყნის მმართველობის წარმომადგენლები. როგორც

ყველა სხვა ქვეყანაში, უფროსობას აქაც ლამაზი და ტკბილი ცხოვრება უყვარს. მუშათა წარმომადგენლებს იშვიათად ნახავთ აქ და ადამიანებსაც უფრო ინტელექტუალური იერი აქვთ, რაც ძალიან მიხარია და მომწონს. უფრო გასაგებად რომ ავხსნა ამ ქალაქის გარე იერი, ვიტყვი, რომ ის გამოიყურება როგორც ერთმანეთთან შეხამებული თბილისის ცენტრი, ბათუმის საუკეთესო ადგილები, ბორჯომის მაღალი და ლამაზი ხეები, თან ყველანაირად კეთილმოწყობილი თავისი დიდი მემორიალური შენობებით, ძვირფასი და ლამაზი სატრანსპორტო საშუალებებით. ცენტრი წარმოდგენს დიდ მწვანე პარკს ტბებითა და ბერძნულ სტილში ნაგები მემორიალური შენობებით, ძეგლებით, რომლებიც მაღლიერმა მოსახლეობამ თავის საუკეთესო პრეზიდენტებს აუგო. ყველა სიკეთესთან ერთად ვაშინგტონში ისე თბილა, როგორც თბილისში ამ დროს და მეც ბუფალოს საშინელ ამინდებში სითბოს მონატრებული, მთელი დღე ლუარსაბივით ვგორაობ ამ ლამაზ, თბილისისგან განსხვავებით, სუფთა ბალახზე და ვუსმენ ჯაზებს. საღამოობით ამერიკელ სტუდენტებთან ერთად პატარა ლამაზ ბარებში ლუდს მივირთმევ და შემდეგ დიდ, ღია ფანჯარასთან ტკბილად მძინავს ბუფალოს, ცინცინატიისა და კენტუკის უძილო ღამეების შემდეგ.

ვიყავი კანადაში (ტორონტოში ჯერ არ ვყოფილვარ) და ბევრად უფრო მომეწონა, ვიდრე ბუფალო და სხვა ნანახი ადგილები, ვაშინგტონის გამოკლებით.

სტუდენტები აქაც არ არიან სწავლით დიდად გატაცებული და მთელი დღე ბეისბოლით ან სხვა რაიმეთი ერთობიან. დღეში აქვთ ერთი, გამონაკლის შემთხვევაში, ორი გაკვეთილი. დანარჩენ დროს კი სასიყვარულო ლაპარაკში და აქეთ-იქით სიარულში ხარჯავენ. ჩემთვის ეს უფრო დასასვენებელი ადგილია, ვიდრე სასწავლებელი, მაგრამ ამ ქვეყანაში ხალხი ამ სტუდენტების მომავალი პროფესიონალების იმედზეა.

**1994 წელი, 1 მაისი.** ვარ ბუფალოში. ისე ყინავს, რომ დღეს შუადღეს მანქანიდან ვერ გადმოვივდი. აქამდე მეგონა, რომ ეს ამინდი კანადიდან მოდიოდა და ესენიც კანადელებს აბრალებდნენ, მაგრამ ტორონტოში ისეთი მზიანი ამინდი დამხვდა, რომ თვალებს ვერ ვახელებდი. ორი დღის წინ ბუფალოში საშინელი ამინდი იყო და სათვალის წაღება საჭიროდ არ ჩავთვალე. ახლა უბრალოდ

ვფიქრობ, რომ ბუფალოში, ამ ღმერთის მიერ მიტოვებულ ქვეყანაში, არასდროს არ თბილა და ხალხსაც ისეთივე ხასიათი უყალიბდება, როგორც ამინდია.

ძალიან ბედნიერი ვარ. 4-ში დილის 5 საათზე ვტოვებ ამ ჯოჯოხეთს და თვითმფრინავით ნიუ-იორკში გადავფრინდები. მართალია, იქიდან თვითმფრინავი მხოლოდ შუადღის 5 საათზე მიფრინავს, მაგრამ მზად ვარ ყველაფრისთვის, ოღონდ სახლში დამსვა...

მოვდივარ! მელოდეთ! ვაშა, ვაშა, ვაშა!

– მინაწერი რვეულის ბოლო ფურცელზე: ...„წიგნის კითხვა, როგორც ასეთი, არ იციან, რას ნიშნავს და ოჯახებშიც საბუთების დავთრების გარდა არავითარი წიგნი არ გააჩნიათ. იცით, ჩემმა ამერიკელმა მშობლებმა რა მითხრეს? მეორე მსოფლიო ომი თურმე ამერიკელებს მოუგიათ. ჯერ გავბრაზდი, მაგრამ მერე დავინტერესდი და აღმოჩნდა, რომ ამ იმპერიულ აზრებს ყველანი სკოლაში სწავლობენ...

იმპერიული თვისებებით ამერიკა არის რუსეთის მამლარი ვარიანტი.

P.S. რატი მგალობლიშვილის ჩანაწერები 1994 წლის 9 მარტიდან იწყება და იმავე წლის 1 მაისით მთავრდება. 1994 წლის 24 ნოემბერს, 18 წლის ზღურბლთან, მუხანათურად შეწყდა მისი სიცოცხლე... შორეულ ამერიკაში მყოფს სამშობლოსკენ მოუწვევა გული, არადა თურმე სწორედ შინდაბრუნებულს ელოდა ტრაგიკული აღსასრული...

1994 წლის იანვარს რატი ოფიციალური მიწვევით აღმოჩნდა აშშ-ში, ნიაგარის ჩანჩქერის მახლობლად ქ. ბუფალოში. ღვიძლი შვილივით მიიღო იგი მონტელეონების კათოლიკურმა ოჯახმა; აღდგომის მისალოც წერილებში ქ-ნი ნიმა მონტელიონი წერს: „გამარჯობა! ირინას, გაას, თორნიკეს და ოჯახს ვულოცავთ ღვთიურ აღდგომას... გთხოვთ, დადოთ ყვავილები რატის საფლავზე. გვენატრება ჩვენი ტკბილი პატარა ქართველი ვაჟი. ის ანგელოზია, ღმერთმა დალოცოს. მინდა რატის საფლავი მოვინახულო აგვისტოში, თბილისში ჩამოსასვლელად მოსახერხებელ დროს. თბილისში ჩამოსვლა მინდა დასავლეთიდან – ბათუმიდან; რატომ გვითხრა, რომ ეს კარგი მარშრუტია მისი ქვეყნის – საქართველოს დასათვალიერებლად. ვიცი, რომ რატის სული საქართველოს მთებში, ველებში, ხევებსა და მდინარეებშია... ბედნიერ აღდგომას გისურვებთ! ღმერთმა

დაგლოცოთ და მშვიდობით გამყოფოთ. სიყვარულით თქვენი ამერიკული ოჯახიდან – ტონი, ნინა, ჩარლზი, მიშელი.

P.S. წერილში არის ფული ყვავილებისათვის და ვარდი ჩემი ანგელოზი რატისთვის. სიყვარულით, ნინა“ (ქ-ნი ნინა სპეციალურად ჩამოვიდა თბილისში რატის საფლავის სანახავად).

„ – რატი, რა-ტი, რატი! – დილიდან საღამომდე, საღამოდან დილამდე ისმოდა შეძახილი თვალებანთებული გოგონებისა და ვაჟების, ბახტრიონის ერთი ჩვეულებრივი საცხოვრისის წინ. რატიც მათთან იყო. ყველასთან იყო რატი... მრავალი მეგობარი ჰყავდა. რატი ერთი თბილისელი – სულით ხორცამდე თბილისელი ბიჭი იყო. აი ისეთი, გაცნობისთანავე სულში რომ შეგიფრთხილდება და ჭირს მერე მასთან განშორება, რომ მოგენატრება. სწორედ ასეთი ბიჭი იყო რატი. მოსიყვარულე, უსაზღვროდ კეთილი და... ეს იყო მხოლოდ სიკვდილისა და სიცოცხლის ბეწვის ხიდზე და ერთ საშინელ, შემოდგომის ერთ შემზარავ დღეს ვიღაცამ თქვა: რატი მოკლესო... რატი მოკლესო... დაუჯერებელია... ეს როგორ, როგორ შეიძლება ჯერ კიდევ პატარა ბიჭების სიკვდილი. როგორ – ვის შეეძლო რატის სასიკვდილოდ გამეტება. არა... დაუჯერებელია... ალბათ, ისე ერთი ჩვეულებრივი თამაშის დროს არაფრისთვის – არავისთვის სასიკვდილოდ იქნა გამეტებული ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭი. იქნებ არც მოკლეს, იქნებ ისე უბრალოდ რატის უჩვეულო თბილ ღიმილში აფორიაქებულმა სულმა დატოვა სხეული და ყველაზე განაწყენებული ცაში გაფრინდა... დადუმდა ბახტრიონის ქუჩა... აღარ ისმის შეძახილები: – რატი, რატი, რა-ტი!...

იმ სართულზე, შენ რომ გიყვარდა ასვლა და მიგიხაროდა, ალბათ, კვლავაც შეიკრიბებიან შენი მეგობრები, კიდევაც ისაუბრებენ, გაიღიმებენ, გაიცინებენ კიდევ... შენ კი არ იქნები, რატი! იჩქარე, ეგზომ იჩქარე. როგორ, როგორ დაუბარე მეგობრებს ახალი წელი მოდის, პირველში ალბათ ჩემს საფლავზე ვერ მოხვალთო, ორში მაინც გამოიარეთო... გამოივლიან რატი... ღამესაც გაგითევნენ, შენს სულსაც მოუხმობენ, შენს დაუდგრომელ, აფორიაქებულ სულს, ცათა სამყაროში გაფრენა რომ არჩია... ნათელში დაჰყავ – რატი!.. – ნათელა დეიდა (გეგემიძე).“

მცირე ასაკიდან გამოიჩინა რატიმ დიდი დაინტერესება ხელოვნებით, განსაკუთრებით მხატვრობით, პოეზიითა და თეატრალური

ხელოვნებით. 9 წლის იყო, როცა თბილისში, ვერის უბანში, ერთ დიდი ხნის გაუქმებულ სარდაფში ერთ-ერთი საბავშვო თეატრი გახსნეს – სახელად „საფეხურები“ უწოდეს, ხალხმა კი სიყვარულით „კოკროჭინა“ თეატრი შეარქვა... 9 წლის ასაკიდან, მისი ხანმოკლე ცხოვრების 6 წელი ამ თეატრს დაუკავშირდა. ამ თეატრის შესახებ დაწერილ ერთ-ერთ რეცენზიაში რატი მოხსენიებული იყო როგორც „ყველაგანმყოფი და დაუცხრომელი“ პატარა მსახიობი. „საფეხურების“ დაარსების 10 წლისთავზე თეატრის რეჟისორი მერაბ ჩხაიძე დიდი სიყვარულით, სევდით და გულისტკივილით იხსენებდა ნიჭით, სიკეთით, იუმორით გამოჩენილ ნამოწაფარს – რატის წასვლამ ჩემში სრულად მაგრძობინა ის მდგომარეობა, რომელსაც გამოხატავს სიტყვა „სიცარიელე“... „ჩემი დარდების დარდო / და ჩემი სევდის სევდაც, / „საფეხურებში“ კვლავაც /შენს ნაფეხურებს ვხედავ/.

რატის „დღიურებმა“ ქართული პრესის დიდი დაინტერესება გამოიწვია. ჟურნალმა „ცისკარმა“ 1997 წლის მე-11 ნომერში შემოკლებით დაბეჭდა „დღიურები“ სათაურით „შეგრძნება ჯიშისა და სილამაზისა“ (ნაცრისფერი მანქანების სამყარო). „დღილის გაზეთმა“ 1998 წლის 23 მარტის ნომერში – მთელი მე-10 გვერდი დაუთმო სათაურით „ამერიკა რუსული იმპერიის მაძღარი ვარიანტია“, რომელსაც ასეთი შენიშვნა დაურთო: „მის ნაწერებს ასაკობრივი მაქსიმალური ზმისა და კატეგორიულობის კვალი ატყვია. დაკვირვებული მკითხველი ადაპტაციით დამძიმებული სულის გამოძახილს გაიგონებს. ეს ყველაფერი კი დღესდღეობით იმით გვეგონია საგულისხმო, რომ ალბათ, სადისკუსიოდ განაწყოფს კოკადალეულთა იმ დიდ არმიას, რომელიც გაჩნდა საქართველოში“.

„დღილის გაზეთის“ 1999 წლის 30 დეკემბრის ნომერში რატის „ვწერდი“:

„...ნაწერს დინჯად, მოზომილად ვკითხულობ, რათა სტრიქონებში გაბნეული განწყობილება და ის უხილავი დავინახო, რაც შიგნით, სტრიქონებს მიღმა დაფარული. მაგრამ არა, სათქმელი მოტანილია აბსოლუტური სიზუსტით, მშვენიერი ქართულით, ასაკისათვის შეუფერებელი ფილოსოფიური ხედვით. სამშობლოს, ჩვენი ტრადიციების, ადამიანის დიდი სიყვარულით, აღარას ვამბობ მდიდარ ლექსიკაზე... ვკითხულობ და მეც იმ მოზომილი იუმორითა და სითბოთი ვივსები, რომლითაც გაჟღერებულია ეს ჩანაწერები...“


ძალიან მიყვარს მემუარების კითხვა და ამიტომაც, გამაოგნა ბარათებმა თავისი უშუალოდ, ადრესატია ხასიათებისა და განწყობილების ცოდნით, ტევალობითა და ლაკონურობით; სითბოთი, რომლითაც ასე „გამეტებით“ ასაჩუქრებ დედას, მამას, თოვს, დეზიკოს, ბიჭებს და გოგონებს... თითქმის ყველა ბარათის ადრესატის „მშურს“, იმ კეთილი, უბოროტო შურით, რასაც ჩვენი საუკუნის დასასრულის დაწერილი წერილი ჰქვია...“

ვკითხულობ „ამერიკულ დღიურებს“ და თან ცალი თვალთ რუკაზე ქალაქ ბუფალოს ვეძებ; ვცდილობ დავინახო ის, რაც რუკაზე არ ჩანს, და ნაწერში იგულისხმება... ნაწერი კი სავსეა ასაკისათვის შეუფერებელი დასკვნებითა და პარალელებით, ფაქიზი სულით... უკვე მერამდენედ ვკითხულობ უსათაურო მოთხრობებსა და ლექსებს – „ნუ ცდილობ, ბიჭო, სიკვდილის ნახვას“, „ღამე ვიწეხე მე აივანზე“, „ტყვეობაში ციხის სარკმელს“ და უკვე მერამდენედ ვეკითხები საკუთარ თავს, რატომ მოვიდა სიკვდილი შენთან ისე ახლოს, რომ შენ მას ასე ხელშესახებად გრძნობდი და მას „სიკვდილის ნახვის ცდად თვლიდი“... არ ვიცი... ადამიანები, ალბათ, ვერასოდეს ამოხსნიან იმ რთულ ამოცანას, რასაც შინაგანი ძახილი, სიზმარი, თუ ბედისწერა ჰქვია... და ისევ შენი სტრიქონები 1992 წლით დათარიღებული: „ნუ ცდილობ, ბიჭო, სიკვდილის ნახვას, / ბედნიერებას ვერ ნახავ, ვერა, / არც ერთი კაცი არ მინახია / მოწონებოდეს სამარის კერა“ / „მიყვავდი ტალღას შეცბუნებული, / თვალები მქონდა გაოცებული, / მომბეზრდა თითქოს შიში, სიბნელე / და თვით სიცოცხლეც გზააბნეული“ / ...“

...და ბოლოს, იცი რა, ყველაფერი რაც ლამაზი და მშვენიერია შენ და შენაირებს გვათ და ამიტომაც მგონია, რომ გახვედი? ძალიან შორს, რათა ყოველ წელიწადს კვლავ დაგვიბრუნდე ულამაზესი ყვავილებისა, თუ მზის სხივის სახით, აღარას ვამბობ იმ მშვენიერ ღრმა გამონათქვამებსა და ლექსთა სტროფებზე, რომლებიც ჩვენ დაგვიტოვე როგორც გაფრთხილება: – გიყვარდეთ ერთმანეთი, და რაც მთავარია, საქართველო!...“ / იბეჭდება შემოკლებით /.

ძალიან მინდოდა რატი მგალობლიშვილი „ანეულის“ მკითხველისთვის გამეცნო: ...წელს მას 38 წელი შეუსრულდებოდა... მადლობელი ვარ ჟურნალის მთავარი რედაქტორის, რომელმაც ამის საშუალება მომცა.

ვივი გელაშვილი დაიბადა 1939 წლის 16 სექტემბერს ქვიშხეთში. დაამთავრა ქვიშხეთის საშუალო სკოლა. 1972 წელს წარჩინებით დაამთავრა ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი, ისტორიის სპეციალობით. სხვადასხვა წლებში მუშაობდა: ქვიშხეთის კულტურის სახლის დირექტორად, საშუალო სკოლის, ტექნიკუმის პედაგოგად, განათლების სამინისტროს მეთოდური კაბინეტის უფროს მეთოდისტად, საზოგადოება „ცოდნის“ განყოფილების გამგედ, ღიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის გამგედ.



არის რამდენიმე სამეცნიერო ნაშრომის, პოეტური კრებულების, პუბლიცისტური წერილების ავტორი.

ვთავაზობთ მის ლექსებს:

მეტი გვეკუთვნის

ვერ დავენსენით ავ მანკს,  
დაგვზაფრა არა ერთჯერ,  
დიდი ილიას სიკვდილს  
ვინანებთ კიდევ ბევრჯერ!  
რისი იმედი გვექონდეს,  
იმედიც მოვსაპეთ დღემდე,  
ვინც ბურჯად ედგა მამულს,  
ისიც კი არ დავინდეთ!  
ჩასაფრებული, კართან,  
როდემდე უნდა ვთვლემდეთ?!  
ღალატის კვერთხით, ერთურთს,  
როდემდე უნდა ვდევდეთ?!  
ამ გაძალღებულ დრო-ჟამს  
კიდევ გაუძლებთ რამდენს,  
მეტი გვეკუთვნის ღვთისგან  
ამდენი ცოდვის ჩამდენთ!

მკითხე, უშენოდ...

იცი, შენს გვერდით  
თავს რა კარგად ვგრძნობ?!  
სრულყოფილია  
თითქოს სამყარო!  
ისიც არ მახსოვს  
და მავიწყდება,  
სიკვდილმა ოდეს  
უნდა გაგვყაროს...  
მკითხე, უშენოდ  
თუ რას განვიცდი,  
მკითხე, სულ ერთხელ  
როგორა ხარო?  
უშენოდ ეს ცა,  
ეს დედამიწა,  
რა უაზროა  
მთელი სამყარო!

სამშობლო

\* \* \*

სამშობლოვ, სულ ვეფერები  
შენს ტკივილებს და იარებს,  
ამ ტიალ დროში, მე და შენ,  
რა თარსი გზებით ვიარეთ!  
ვიარეთ, ვერსად ვიპოვეთ  
ამ მიწის ერთგული შვილი...  
ვერ ვნახეთ, ჩვენდა პატრონად,  
ერთ კარგი მამულიშვილი...

დამუნჯებულან,  
დაყრუებულან,  
აკრძალულია  
ახლა რამის თქმა,  
ქვა-ღორღს აყრიან,  
ვისაც აწუხებს  
სამშობლოს ბედი,  
მისი სულისთქმა.



დამიბრუნეთ  
ჩემი საქართველო

დამიბრუნეთ ჩემი  
საქართველო,  
ჩემი სიყვარული,  
ჩემი სასიძღერო,  
დამიბრუნეთ  
ამაყი, მომღიძარი,  
ჩემი საოცნებო  
საქართველო!  
არ მსურს მშვიერების,  
დევნილების,  
არ მსურს  
ობლების საქართველო!  
არ მსურს  
მეძავეების,  
არ მსურს „ცისფერების“,  
გამცემების  
საქართველო!  
დამიბრუნეთ  
ჩემი სიხარული,  
ჩემი საოცნებო  
საქართველო!

\* \* \*

დაღლილს ფიქრებით,  
საწოლზე მოხუცს,  
ჩამძინებოდა  
შვილებზე დარდით...  
მივათრევ რამდენ  
ჯავრსა და ფიქრებს  
სამარისაკენ  
მიმავალ გზაზე.

აჩიქნეს

ღორი რომ  
აჩიქნის  
ლამაზ მინდორს,  
ისე აჩიქნეს  
ჩემი მამული,  
აჩიქნეს რწმენა  
აჩიქნეს სული,  
ფუძე მამულის,  
ჩვენი წარსული.

ჩიტების ხორო

ო, რა ხმებია,  
საოცარი,  
რა ჰანგებია...  
დილის განთიადს  
რა ნოტებით,  
ხმებით ხვდებიან.  
ბახი, მოცარტი,  
ბეთჰოვენი  
სულის ბანგია,  
მზეს და სიყვარულს  
და სიცოცხლეს  
როგორ ეტრფიან!...

წინანდალი

*ნინო ჭავჭავაძის ხსოვნას*

წინანდლის ვარდო,  
სადა ხარ ახლა? –  
ორბელიანის  
მუზავ და დარდო,  
შენი სიტურფით,  
მშვენიერებით  
სად ხარ სამშობლოს  
იავ და ვარდო...  
სადა ხარ შენი  
კაბის შრიალით,  
შენი ლამაზი  
შველის თვალებით?  
ეს ბაღი  
სევდის ლექსია შენზე  
და ტკბილი ჰანგი  
ამორძალების.  
ლეგენდა ჩვენი  
ძველი წარსულის  
და საქართველოს  
ტურფა ქალების!

ცხოვრების ეკლები

როგორც ჯავშანი,  
ამ ცხოვრებას  
ახლავს ეკლები,  
ჩვენ ზედ ვეგებით  
უმწეონი,  
როგორც პეპლები...

# ბუჩამ ჭაჭანიძე

## სხვა საქართველო სად არი?

### რა მომასვენებს

თუ არ მეგულების ბედია, არცა ილორი,  
 თუ ბოროტება კვლავ  
 ავად უმზერს ხერთვისს,  
 თუ არ იქუხებს მარტყოფი,  
 არცა დიდგორი,  
 რა მომასვენებს, სული  
 არ დავთმო შენთვის.  
 რა მომასვენებს, თუკი შენ არ მეყვარები,  
 თუ ჩემი ტრფობა ცათა  
 სილურჯეს ერთვის,  
 რა მომასვენებს, თუ არ  
 დაგიკოცნო თვალები,  
 ვიდრე ეს გული არ  
 დაიფერფლა შენთვის.

### ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე

ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,  
 არ გაიმეტო სხვისთვის,  
 უსაქართველოდ სიცოცხლე  
 რა საჭიროა, რისთვის?  
 სამშობლოვ, ჩემო სიცოცხლეკ,  
 ვფიცავ გელათს და ყინწვისს,  
 ჩემი პატარა სიცოცხლე  
 შენს სამსხვერპლოზე იწვის.

### ამოძახილი

ნეტავი სულაც არ მეოცნება,  
 დარდი გულიდან აღარ გადამდის,  
 როგორ გაცუდდა ყველა ოცნება,  
 ნიკოფსიიდან დარუბანდამდის!  
 ვაგლახ, ვერა და ვერ ვიდავითეთ,  
 ვინ იცის, კიდევ რა მოგვენატროს,  
 იქნებ ენგურსაც ვერ გადავიდეთ,  
 ვერ დავაქუხთთ ლილე ვერასდროს.  
 ასე უკლიათ განა წინაპრებს  
 ცას შეჰღაღადებს სული ათასთა,  
 ვინ იცის, იქნებ იმათ ვინატრებთ,  
 რომელთა ღვაწლი არც კი დაფასადა.  
 როგორ მინდოდა, რომ დამეფიცა,  
 სისხლი, რომელიც გულზე გადამდის,  
 სამშობლო, ლამის მითად რომ იქცა,  
 ნიკოფსიიდან დარუბანდამდის!

აფსუს, დიდგორში აბჯარასხმული  
 დიდი მეფე და სარდალი,  
 დღეს კი დილომში თავლაფდასხმული  
 სხვა საქართველო სად არი?  
 აფხაზეთს დარჩა სიმწრით გაზრდილი,  
 რამდენი ბიჭის სამარი,  
 ცრემლად დაღვრილი, პატივყრილი  
 სხვა საქართველო სად არი?  
 ერთ დროს სამოთხედ გადაქცეული,  
 ღმერთის წილხვედრი მთა-ბარი,  
 დღეს დამშეული და დაქცეული  
 სხვა საქართველო სად არი?  
 სიყვარულისთვის სულ გახიდიული,  
 მოყვასი შეუსადარი,  
 დღეს რჯულდაცლილი, სულგაყიდიული  
 სხვა საქართველო სად არი?  
 ყალყზე შემდგარი კვლავაც მენახო,  
 ცეცხლად ააღდეს ღადარი,  
 მეც ძალმოსილმა ისევ შევძახო,  
 სხვა საქართველო სად არი?  
 აფსუს, დიდგორში აბჯარასხმული,  
 დიდი მეფე და სარდალი,  
 დღეს კი დილომში თავლაფდასხმული  
 სხვა საქართველო სად არი?!

### თოვდა

თოვდა ისე მეფურად,  
 ისე ჩამობარდნილა,  
 გათოშილი ბელურა  
 ზიდან ჩამოვარდნილა.  
 თანაც ისე დათოვა,  
 გაქრა ნაფეხურები,  
 აღარც ჩვენი დატოვა,  
 აღარც ნაბელურები.  
 წელს უშენოდ მოთოვს და  
 თვალი დამენამება,  
 ერთად როცა გვათოვდა,  
 ის დრო დამენანება.  
 თოვს და კიდევ ითოვებს,  
 ციდან ფიფქი რამდენი,  
 მწარე ფიქრებს მიტოვებს  
 ფიფქი, ცრემლის დამდენი.  
 წელსაც, წინანდებურად,  
 უხვად ჩამობარდნილა,  
 არ ჩანს ხეზე ბელურა,  
 ალბათ ჩამოვარდნილა.  
 თანაც ისე დათოვა,  
 გაქრა ნაფეხურები,  
 აღარც ჩემი დატოვა,  
 აღარც ნაბელურები.



მარადიული სიცოცხლის დასაწყისი

მიწიერება მოკვდავთათვის  
 არის დროება,  
 ადამიანთა სევდა მხოლოდ ამაოება...  
 ვერას გვიშველის ოქრო-ვერცხლი,  
 გუნდრუკის კმევა,  
 იმ სამსჯავროზე როცა სული  
 შიშველი შევა...  
 ბინდგადაკრული ვიძირები  
 სილაჟვარდემი,  
 სიცოცხლე ქრება, სად მიდიან  
 სადაურები.  
 ო, ღმერთო ჩემო... როგორ ბრუნავს  
 წუთისოფელი,  
 დღენი გარბიან – დაჭედილი  
 ბედაურები...  
 წუთისოფელი აწყობილი,  
 მართლაც, ისეა,  
 ჩვენი ცხოვრება იმ ქვეყნისთვის  
 სამზადისია...  
 როს ცოდვა-მადლი დაიდება  
 წმიდა სასწორზე,  
 ის გადაწონის: – რანი ვართ და  
 რისი ღირსია...  
 . . . . .  
 გარდაცვალება – ცოდვილთათვის  
 არის სიკვდილი,  
 განწმენდილთათვის უკვდავების  
 დასაწყისია!

„ფუ იმ მოედანს, სადაცა  
 ვირები ბედაურობენ!  
 შაბაშ იმ ერსა, რომელსაც  
 უღირსნი მეთაურობენ“...  
 აკაკი

ილაპარაკე რამდენიც გინდა  
 და შეებრძოლე ქარის წისქვილებს...  
 ღონკიხოტობა ვის უნდა ახლა,  
 ან კი რას არგებს, კრუხს და წიწილებს...  
 განცხრომით ცხოვრობს ჯაყო ხიზანი...  
 ისევ ბატონობს ჩვენში ყვარყვარე...  
 ფულია, ახლა მათი მიზანი,  
 ძალაუფლება – ძმა და მოყვარე...  
 უთანასწორო ბრძოლა გაჭირდა,  
 უსუსურობა გულში ქვითინებს...  
 თავისუფლება ამისთვის ღირდა?  
 – ეშმა დაგვცინის, მწარედ ქირქილებს...  
 „თეიმურაზის სამოსში“ გვიძინავს,  
 „მარგო“ მიტომაც ურემს დააკრეს,  
 ნამუსის ქული თითო კაცს ხურავს,  
 თითოკაცობა ჯვარზე გააკრეს...  
 ილაპარაკე რამდენიც გინდა,  
 გინდა ებრძოლე ქარის წისქვილებს...  
 წყლის ნაცვლად, ახლა რძეს ადენს  
 ქვიდან  
 ნაცარქექია თავს არ იტყუებს...  
 სიმართლის ფასი – გროში, მანეთი  
 ქინძისთავით – თვალსაწიერი...  
 ნაკლებად გვესმის ჩვენ ერთმანეთის  
 და აღარ გვტკივა მოძმე... მშვიერი.  
 კეთილი ისევ გახდა ავადა,  
 ბოროტი ისევ სუფრის თამადა...  
 შემოგვეპარა თუკი საღათა...  
 ვინ იაზროვნებს მერე საღადა?!  
 ...კრთება სიმართლე... ძილშიაც,  
 ფრთხილი,  
 ამას არ უნდა ფიცი, მტკიცება...  
 როდედის, ღმერთო! სამართლის ძილი...  
 „როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!“

მამავ, შენ გეუბნები და  
შვილო, შენ გაიგონეო!

*სინდისი ზარივითაა,  
თუ არ ჩამოჰკრავ, არ აჟღერდება!*

ასე ახლობელს, ასე შორეულს...  
სიზმარეული დავარქვა უნდა...  
ცელქი ბიჭი რომ ზამთარში ანცობს,  
თოვლში გორავს და მიაგავს გუნდას...  
ისე აგორდა ეს მოგონება,  
თუმც სისპეტაკე არ ახლავს თოვას...  
დაბინდული აქვს ახლა გონება  
მაშინ კი... როცა ცოლობა მთხოვა  
ვალსების მეფის ესმოდა სტვენა...  
ტყის გამოძახილს ახლდა გალობა,  
თითქოს შტრაუსი მიხმობდა ვენას,  
ისე მღეროდა ჩემში ქალობა...  
ვერ გაუსწორა ათინათს თვალი...  
დაემსხვრა სული, ნატიფი ბროლის  
ცოლის, შვილების თან გაჰყვა ვალი,  
უსულო კაცის მას ერგო როლი...  
და თამაშობდა ის გატაცებით,  
სულ შეეცვალა სახე და არსი,  
ისე მოირგო ახალი როლი,  
სულის შთაბერვის არ დარჩა შანსი...  
თავბრუნდახვეულს, დროდადრო წამით,  
თუ ჩაესმოდა ვენის ტყის ვალსი...  
ველარ ხედებოდა უსულო კაცი,  
მისი ცხოვრება რომ გახდა ფარსი...  
ზოგმა დასცინა, ზოგმა იწამა,  
ზოგსაც იმ ფარსში თამაში უნდა...  
ცელქი ბიჭი კი ისევე ანცობს,  
თოვლში გორავს და მიაგავს გუნდას...  
სინდისი ზარს ჰგავს... ჩამოჰკარ იგი,  
მამისეული არ გაგყვეს ნიჭი,  
ღმერთო მალალო... შენ დაიფარე,  
ლამაზი დარჩეს... ლამაზი ბიჭი!

მე და შენ

მე – სიმართლეს ლანგარზე ვდებ,  
შენ – გოჭივით აჭრი ყურებს...  
ვაი, როგორ გავიწყდება,  
მალლით ღმერთი რომ დაგვეყურებს...  
ვერა... ვერ შეძლებ დაისადგურო,  
ზენამ აგავსოს ნიჭით,  
ღირსებით...  
შენ შეგიძლია გამანადგურო,  
მაგრამ... ჩემს სიკვდილს  
ვერ ეღირსები!

\* \* \*

ჩახერგილია ყველა გზა-შარა...  
ადიდებული ყველა მდინარე...  
კაცთა სიხარბემ ისე შემზარა,  
სულში, არაგვი ჩამომდინარებს...  
ცოდვილ კრავივით მათვლიან საკლავს,  
სული კივილით უხმობს სხვა მიზნებს...  
არწივის ფრთებით მივდე  
ჩემს ვარსკვლავს...  
უხილავადაც ვხედავ სამიზნეს.  
ჩაუქრობელი ალი ანთია,  
გულში ისეთი ცეცხლი გიზგიზებს...  
თვალდახუჭულიც ვხედავ ათიანს  
და შუაგულში ტყვიას ვუმიზნებ.

\* \* \*

უშენობით დაცლილი,  
გაყინულა ფიქრი,  
ჩემი სულის აპრილი,  
შორს ქარივით მიჰქრის.  
მეცხრე ცაზე ასული,  
შვიდი ფერის ზმანებით...  
ნუთუ ხარ დასასრული  
ალარ გამეკარები...  
ჩემეული აპრილი –  
საით მიექანები...  
მრჩება გული დაცლილი,  
დაწყვეტილი ქნარები...  
მოგდევ ლურჯი გონებით,  
ვარდისფერი ხელებით,  
გნანავ და გემონები,  
შეგსვამ კვლავ გახელებით...  
მეცხრე ცაზე ასული  
შვიდი ფერის ზმანებით...  
ნუთუ ხარ დასასრული...  
ალარ გამეკარები...  
ჩემეული აპრილი,  
ჩემი ლურჯი შვილი ხარ...  
გულში ისარგაყრილი,  
შლეგი და შემლილი ხარ...  
. . . . .  
გინდა ჯვარზე გამაკარ,  
ველს ყაყაჩოდ მომფინე...  
ოლონდ... ისევე, მუზასთან  
წილნაყარი მოფრინდე!



რაინდ პოეტს თემურ  
ჩალაბაშვილს

ხარ საქართველოს ჭირისუფალი.  
გულს იარად გაქვს სნეულებანი...  
პოეტს და რაინდს არ გინანია  
მოყვასის გამო შეჭირვებანი...  
ალბათ, ამიტომ ჰკითხე შუშანიკს,  
როცა შეიგრძენ მისი ვნებანი...  
– „ო, დედოფალო, სხეული გტკივა,  
თუ ცოდვილ შვილთა შეცოდებანი?“

\* \* \*

ჩემო სიცოცხლის სიცოცხლეო,  
უნავსაყუდელო სანაპიროვ,  
სულში ჩამოღვრილი ხვაშიადის  
ზღვაო, ოკეანეკ უნაპირო...  
ჩემო ნაადრევი ყვავილობავ,  
ჩემო კვირტდამზრალი გაზაფხულო,  
ჩემო ტკივილო და ამოკვნესავ,  
ჩემო ტკივილების მოძახილო.  
ჩემო ნაადრევი შემოდგომავე,  
ჩემო დათოვილილი გაზაფხულო,  
ჩემო ტკივილამდე მონატრებავე,  
ჩემო სიყვარულის სიყვარულო.

\* \* \*

ლექსს აქვსო, მითხრეს, –  
წერისას გემო,  
ამის შეგრძნება არა მქონია,  
ეს არის ღმერთის სარეცელს წოლა...  
ხან ანგელოსის სუნთქვა მგონია...  
ცხელი შანთებით ეს არის კვლომა,  
სულის გვეძა და აგონია...  
ეს არის... შობის ტკბილ-მწარე ღამე...  
მკვდრეთით აღდგომის არს სიმფონია!

სასაცილოა ლექსის წერა...  
მიეთ-მოეთი,  
როდესაც შენ გყავს,  
რუსთაველი – მეფე-პოეტი.  
შეება წყვილადს  
და გააპო სივრცე ვერანი,  
უკიდევანოდ როცა მიჰქრის  
ტატოს მერანი.  
სასაცილოა სურვილიც კი,  
გერქვას ფრთოსანი,  
როდესაც შენ გყავს,  
აკაკი და ვაჟა მგოსანი.  
ბრძენი ილია, მამა ერის,  
მთლად სხივოსანი,  
წმინდანთა შორის,  
სულმნათი და გვირგვინოსანი...  
და გოლგოთათა სანატრელი –  
უფრო იოლი,  
ვიდრე ლექსს წერდე,  
თვალწინ გედგას გალაკტიონი.  
ჩუმად რომ ეშმა გისახლდება,  
ალბათ გენია,  
სულის ტკივილი,  
ო... რა ძნელი მოსათმენია...  
და გიწვევს ჯვარცმა,  
თუნდაც იყო გენი ბელურის,  
არადა...  
ნაღდი პოეტები, მაინც მეგულების...  
ლექსებს წერენო...  
ერთურთს ჰგმობენ...  
სხვანი და სხვანი...  
მე ლექსს არა ვწერ...  
სულს ვარიგებ... ვით ფიროსმანი!



მწერალი ანზორ სიფრაშვილი წლების მანძილზე მუშაობს ისტორიულ რომანზე, რომელიც ეძღვნება ქართველთა ერთ-ერთი უდიდესი მეფის ვახტანგ გორგასლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. რომანი შედგება ოთხი ტომისგან, რომელთაგან პირველი 2009 წელს გამოიცა. ავტორმა უკვე დაასრულა მეორე ტომი, რომელშიც აღწერილია ვახტანგ გორგასლის ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისა და განმტკიცებისათვის. მას შემდეგ, რაც მისი სარდლობით ხელთ ივლო დარიალის ციხე, და ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე თერგის ნაპირას გამართულ დიდი ბრძოლაში სასტიკად დაამარცხა იქ მცხოვრებ ტომთა (ალან-ოსების, ხაზარებისა და სხვა) გაერთიანებული ჯარი (ამ ბრძოლების შესახებ გადმოცემულია რომანის პირველი წიგნის მეორე ნაწილში), რითაც დიდი ხნით ალავმა მათი ბარბაროსული თავდასხმები ქართლის სამეფოზე.



ისტორიკოს ჯუანშერის ცნობით, ვახტანგ მეფე „სპათა დიდითა წარმოვიდა... და სამ წელ წარტყუნნა ყოველნი ციხენი აფხაზეთისანი ვიდრე ციხე-გოჯამდე“.

ამ ტომში სწორედ ვახტანგ მეფისა და მისი ლაშქრის მიერ ძლევით განვლილი ეს გზა არის აღწერილი, რომლის დროსაც ქართლს შემოუერთდა თითქმის მთელი ჩრდილოეთი კავკასია, აგრეთვე აფხაზეთი, სვანეთი და ეგრისი, რის შემდეგაც შეიქმნა მანამდე არანაზული სიდიდის სახელმწიფო, რომლის ჩრდილოეთ-დასავლეთ საზღვრად დადგენილი იქნა ქალაქი ნიკოფსისი (შემდგომში ნიკოფსია, თანამედროვე ტუაფსესთან, შავ ზღვაზე), აღმოსავლეთით – ალბანეთი (იორ-ალაზნის შესართავი), სამხრეთით კი სომხეთი, თუმცა მალევე ამ საზღვრებში ყველა მხარეს კიდევ უფრო შორს გადაიწია და სამეფო არანაზულად გაფართოვდა.

ვახტანგ გორგასლის ამ წარმატებული და ქვეყნისთვის თავდადებული მოღვაწეობის შედეგად V საუკუნის მეორე ნახევრის შუახანებისთვის ქართლის სამეფო ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ უდიდეს და უძლავურეს სახელმწიფოდ გადაიქცა, მაგრამ მრავალი დიდი და მცირე ბრძოლა ჯერ კიდევ წინ იყო.

გთავაზობთ მცირე ამონარიდს ანზორ სიფრაშვილის ისტორიული რომანის „მეფე ვახტანგ გორგასალი“ II წიგნიდან.

## მეფე ვახტანგ გორგასალი

ამონარიდი II წიგნიდან

...მეფე თავის ადგილს დაუბრუნდა და ერისთავებსაც, მათ შორის დემეტრეს, დასხდომა ანიშნა. ჩვეულებრივ, მეფის თანდასწრებით დაჯდომის უფლება არავის ჰქონდა და მხოლოდ მაშინ შეეძლოთ ჩამომსხდარიყვნენ, თუ იგი ამის ნებას დართავდა.

— განვაგრძოთ თათბირი, დიდებულნო, რომელსაც დემეტრე ერისთავიც შემოემატა, და ახლა საბოლოოდ განვაცხადოთ ყოველივე, — წარმოთქვა მეფემ და გამზადებულ მდივანს, რომელსაც ხელთ გასანთლული დაფა ეპყრა, ანიშნა, წინ წამოდექიო, — აწ წერილობით დავამტკიცოთ ის, რაიც წიდან გარდავწყვიტეთ და დავადგინეთ.

მაშ მიბრძანებია და ყოველი ერისთავი

თვისი ხელრთვით დაამტკიცებს ამა ბრძანებას:

განგებულებითა და შეწევნით ღვთისათა, მაღლითა და კურთხევითა იესო მაცხოვარისათა და ღვთისმშობელ მარიამისათა ჩვენ, მეფემან ვახტანგ, შემდგომად გამარჯვებისა ოვსთა, ხაზართა, პაჭანიკთა და სხვა ჩრდილოკავკასიელ ტომთა ზედა, მხედრობითა ჩვენითა შემმართველითა დავიპყართ და დაუემორჩილეთ სამეფოსა ჩვენსა გვარტომნი და ხალხნი მრავალნი, რომელთაც მოგვცეს ფიცი ერთგულებისა და რომლებიცა ამიერთგან იქმნენ სამეფოსა ჩვენისა მაცხოვრებლად. ამათთა თანა იხსენიებინ: ოვსნი, ხაზარნი, ჯიქნი, აფსილნი, აბაზგნი, სვანნი, ეგრისელნი და სხვანი. გვსურს

შთამომავალთა ჩვენთა უწყოდნიან ესე და ამასთან ერთად მიბრძანებია დასავლით კერძო საზღვრად ამა ერთიანი სამეფოსი, რომელ ვრცელდება რანიდან ვიდრე პონტოს ზღვამდე, ქალაქი იგი ნიკოფსისი, რომლის ჩრდილოთ არლა გვაქვს ჩვენ მიწა საკუთრებად და არცა ვესწრაფვით, რამეთუ თვით ღმერთმა შეგვიქმნა ესე ნიკოფსისი სამანად დასავლეთსა მხარესა.

და ამა ერთიან ქართლის დედაქალაქად კვლავაც გვიბრძანებია აწინდელი ქალაქი მცხეთა, აღმატებული დღეის ჟამად ყველა ქალაქთა შორის იმიერ და ამიერ ქართლსა შინა.

და გვიბრძანებია ამა ერთიანი სამეფოს სპასპეტად ერისთავთ-ერისთავი ქართლისა ჯუანშერ, რომელ არს თავი ყოველთა ერისთავთა.

და გვიბრძანებია ამა ქართლისა სამეფოს ერისთავებად ერთგულნი მეფისა და ქვეყნისა:

ერისთავი ხუნანისა: ნერსარან.

ერისთავი სვანეთისა: სამნადირ, რომელსა აგრეთვე ებოძოს სახელო ერისთავისა ეგრისისა.

ერისთავი მარგვეთისა და თაკვერისა: ბაკურ.

ერისთავი კახეთისა და კუხეთისა: დემეტრე.

ერისთავი კველარისა: ოთადირ.

ერისთავი წუნდისა: ნასარ.

ხოლო თვინიერ ამისა გვიბრძანებია ერისთავთ-ერისთავად და სარდლად ლიხთიმერისა, მწედ სპასპეტისად ერთიანისა ქართლისა ჯუანშერისა დემეტრე, ერისთავი ხორნაბუჯისა, ანუ კახეთისა და კუხეთისა.

დე ყოველმან ქვეშევრდომმან ჩვენმან ისმინოს ესე ბრძანება ჩვენი უცილობლივ და მორჩილ ექმნეს მას, ვითარ დადგენილსა ქართლისა სამეფოსა დარბაზისა მიერ!

როდესაც მეფემ ბრძანება დაასრულა და მდივანმაც ყოველივე სასწრაფოდ ჩაიწერა, რათა მერმე პერგამენტზე სუფთად გადაეწერა, მეფემ მცირე ხნით ისევ გამოაცხადა შესვენება, რის შემდეგ სიგელს ერისთავები ხელრთვით დაამტკიცებდნენ, მეფე კი თავის ბეჭედს დაასვამდა.

მაგრამ ვიდრე ერისთავები აიშლებოდნენ, ყველასდა გასაოცრად დემეტრე ფეხებში ჩაუკარდა მეფეს:

– დილო მეფეო, ნება მიბოძე მოგახსენო, რომ არა ღირს ვარ ესდენი პატივისა... დე სხვას მიანიჭებდე ერისთავთ-ერისთავობასა ლიხთიმერისასა და მწეობასა სპასპეტისასა, მე კი ისედაც მაღლიერი გახლავარ,

რამეთუ ვიმყოფები შენს გვერდით და ვასრულებ ბრძანებებსა შენსასა... ეს ერისთავობაც დიდად კმა არს ჩემთვის, მეფეო!

ერისთავებს გაუკვირდათ დემეტრეს საქციელი, ნამდვილად გაუკვირდათ, რადგან ასეთ დიდ სახელოზე არც ერთი მათგანი უარს არ იტყოდა.

მაგრამ მეფე ურყევი იყო:

– დემეტრე, აწ ლიხთიმერის ერისთავთ-ერისთავო, სარდალო და სპასპეტის მწეო, გიბრძანებ: აღსდექ და შეუდეგ მართვასა შენისა კუთვნილისა მიწა-წყლისასა, რომელ გებოდა ქართლის მეფისა მიერ, რადგან აგრე სჭირია ქვეყანასა ქართლისასა და ასე მონავს მე, მეფესა ვახტანგს. სახელო ესე გადმოგეცა იმისთვის, რათა უკეთ იმართებოდეს ქვეყანა ესე ერთიან ქართლი მისისა მეფისა მიერ და არვის ხელეწიფების წინააღმდეგ ექმნეს საჭიროებასა ქვეყნისასა და ბრძანებასა ჩემსასა, – ეს რომ თქვა, ვახტანგ მეფე ეპისკოპოსს მიქაელს მიუბრუნდა და სთხოვა: – ვინძლო დალოცო ერისთავთ-ერისთავი და სარდალი იმიერქართლისა დემეტრე, მეუფეო, რომელ ითქმის ჩვენგან ღირსად ბოძებისათვის ამა წოდებისა და აგრეთვე მწედ სპასპეტისა.

მიქაელ ეპისკოპოსმა წელანვე ნათლად დაინახა ფრიადი სამართლიანობა მეფის გადაწყვეტილებისა: დემეტრე, მართლაც, იმსახურებდა ამ პატივს. ამიტომაც მხურვალედ დალოცა და უფლის სახელით გამარჯვებანი უსურვა.

ამის შემდეგ მეფემ განაგრძო:

– ხოლო აწ, მეუფეო ჩვენო, ერისთავთ-ერისთავნო ამიერ და იმიერ ქართლისათა, მნებავს გაუწყოთ მცირე რამ სათქმელი, რომელიც კვალად წარმართავს ჩვენსა ბრძოლასა ქვეყნისა საკეთილდღეოდ და სამეფოისა განსამტკიცებლად. დე მარად გვფარვიდეს უფალი, უკეთუ ნიჭი ჩვენი, საქმე ჩვენი და სიტყვა ჩვენი მარადის მსახურებს ამა ქვეყანასა ჩვენსა ქართლს, რომელსა ესდენი დავსდეთ ამაგი ჩვენ ყოველმან: მე, მეფემან ვახტანგ, შენ, მეუფეო, ლოცვითა შენითა და თქვენ, ერისთავნო, ბრძოლითა თქვენითა. მე, მპყრობელი სამეფოისა ტახტისა ქართლისა და მარად მსასოებელი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და აღმსრულებელი მცნებათა მისთა, გამცნობთ სათქმელსა ჩემსა: უწყოდეთ და შთაბეჭდეთ ესრეთ, რომ მხოლოდ ერთიანი სიმტკიცე განაძლიერებს ღვთისმშობლის წილხვედრსა სამეფოსა ჩვენსასა, რომელს გარს აკრავს ორი ვეება ურჩხული ვერაგი: სპარ-

სეთი და ბიზანტია. მცირესა შეცდომასაცა ჩვენსასა ორივე გამოიყენებს საკეთილდღეოდ თვისდა და დასაკნინებლად ჩვენდა. კვალად მოგიწოდებთ თქვენ და ერთიან ქართლის ყოველთა შვილთა: არვინ ქმნეს დალატი! არვინ დაუტევოს სამშობლო! ვსდგეთ მტკიცედ და შეურყეველად მამულისათვის ჩვენისა! იყავნ რვალზე უმტკიცეს! ხოლო ყოველმან, რომელმან გინდ უნიათობითა თვისითა და გინდ სასყიდელითა დაუთმოს მტერსა ჩვენსა თუნდ გოჯი მიწისა ერთი, არა დანდობილ იქნეს! მთიკვეთოს ყოველთა კაცთაგან და აღარა მიეცეს საცხოვრისი ქართლისა მიწასა ზედა! ჰფიცეთ ფიცითა მტკიცითა, რომ არავინ თქვენგანმან ვინმემან შებღალოს ერთიანობა და სიმტკიცე ქვეყნისა ჩვენისა, და ეგევე უანდერძოს შთამომავლობასა თვისსა! აღიღეთ თქვენ ჯვარი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და დროშა ერთიანისა ჩვენისა ქართლისა, და ჰფიცეთ ამა ჯვარსა და დროშასა ზედა!

მეფის ამ სიტყვებზე ერისთავნი მიხვდნენ, თუ რატომ იდგნენ სიანლოვეში ლაშქრის დროშისმტვირთველი და მასთან ერთად მამა გობრონი, რომლებიც სწრაფად მიეხვდნენ მეფესა და ერისთავებს.

ვიდრე ფიცის დადება დაიწყებოდა, კარგა ხანს ხმისამოულებლად მყოფ ჯუანშერს რაღაც აზრმა გაურბინა გონებასა შიგან და მეფეს ხმადაბლად ნება სთხოვა, ხოლო როდესაც თანხმობა მიიღო, მისი ერთ-ერთი მესაჭურველე გაიყოლა და მალე ვახტანგ მეფის დიდი საბრძოლო ხმლით დაბრუნდა.

მაგრამ არც ერისთავები მსხდარან უქმად: თვითუელმა მათგანმა, თითქოს წინასწარ შეთანხმდნენო, გადაწყვიტა, რაღაც ისეთი რამ მოერთმია მეფისა და დანარჩენ ერისთავთა ამა დარბაზისთვის, რომელიც რაღაცნაირად ერთიანი ქართლის განსახიერება იქნებოდა.

ამიტომაც იყო, რომ ხუნანის ერისთავმაც მეფეს მცირე ხნით დათხოვა სთხოვა და როდესაც დაბრუნდა, თან ჰეშვით მიწა მოიტანა – ქართლის მიწა! – რომელსაც ძლივს შესამჩნევი ოხშივარი ასდიოდა და უკვე გაზაფხულის სურნელება დაჰკრავდა. ერისთავმა მეფისავე მოწონების მხერის ქვეშ ეს მიწა მის წინ ტაბლაზე პატარა, ლამაზად მოჭიქული ჯამით დადგა და თავის ადგილს დაუბრუნდა.

მის კვალობაზე მასთან ერთად წამომდგარმა და თითქმის მაშინვე დაბრუნებულმა წუნდის მფლობელმა ჭერათხევიდან აღებული წყალი – ქართული წყალი! – ყველაზე გემრიელი და შემრევე

მთელს შორეულ და მახლობელ ქვეყანათა წყლებს შორი – თასით მოიტანა და ისიც მცირე ტაბლაზე დაასვენა.

თაკვერ-მარგვეთის მფლობელი ბაკური სხვას როგორ ჩამორჩებოდა: მშვენივრად მოჭედილი ვერცხლის სურით ეს-ეს არის გამოვლილი თავისი სამფლობელოს საუკეთესო კორბოული ღვინო ჩამოღდა.

ვიდრე დემეტრე ამ დარბაზობას შემოუერთდებოდა, თვალი ძველ მეგობარ ვარაზს ჰკიდა, რომელიც ხურჯინგადაკიდებულ ცხენებს მოუძლოდა. ორივეს ძლიერ გაუხარდათ ერთმანეთის დანახვა: მართალია, დემეტრე ახლა დიდერისთავი იყო, მაგრამ ოდინდელ ახლობლებსა და ამხანაგებს არ ივიწყებდა, ვარაზს კი, რომელმაც თავისი თვალთ იხილა დემეტრეს თითქმის სასიკვდილო დაჭრა, ერთი სული ჰქონდა, ვიდრე ნახავდა და გადარჩენას მიულოცავდა.

სწორედ ეს ვარაზი გაახსენდა ახლა დემეტრეს და მესაჭურველე ჯანმაცარას დაავალა, მოძებნე და აქ მომგვარეო, ხოლო როდესაც ვარაზი საჩქაროდ მოვარდა, დემეტრემ ორი სიტყვით აუხსნა, რაც დარბაზობაზე ხდებოდა. ვარაზი მისახვედრს მაშინვე მიხვდა, თავის ცხენებს მიაშურა და ერთ-ერთი ხურჯინიდან სასოებით ამოიღო პატარა დოქი, თავი გაუხსნა და ტაბლას შემატა. როდესაც დემეტრე დააკვირდა, ზედ ასომთავრულით ამოყვანილი სიტყვა გაარჩია: „იალბუზი“.

დიახ, იალბუზი, მწვერვალთა მეფე, ახლა ამ ნაჟურის სახით აქ, ვახტანგ მეფის წინაშე ჩამომდგარიყო!

ამასობაში სამნადირ ერისთავიც დაბრუნებულყო და ტაბლაზე კონად შეკრული ახლად თვალგახელილი ლურჯი იის ყვავილი დაედო.

ვახტანგ მეფემ რომ ამ ტაბლას თვალი გადაავლო, ყოველივეს მიხვდა და ნასიამოვნები დარჩა: მართლაც, სხვა რაზეღა შეიძლებოდა ფიცის დადება? ყოველივე, რაც შეიძლებოდა ქვეყნის განსახიერებად ჩათვლილიყო, აქ ელაგა, მაგრამ, რა თქმა უნდა, მეუფე მიქაელი ფიცს მაინც ჯვარსა და სასარებაზე, აგრეთვე ქართლის დროშაზე დაადებინებდათ.

ახლა წრედ შემორიგებულ მეფის, მეუფე მიქაელის, სპასპეტის, სპასპეტის მწის და ერისთავთა შუაში ერთიანი ქართლის ძლევა მოსილი დროშა, ვახტანგ მეფის ხმალი და სალაშქრო ჯვარი მოჩანდა, მათთან ერთად კი ქართლის მიწა, წყალი, ღვინო, იალბუზიდან ჩამოტანილი ბროლივით



გამჭვირვალე წვეთები და სულ ახლად გაშლილი იები მოჩანდა.

მეუფე მიქაელმა ყოველივეს ჯვარი გარდასახა, აკურთხა და სახარება აღიღო:

– მაშ, სიტყვისაებრ ღვთივდადგენილი მეფისა ჩვენისა ვახტანგისა, აღვიარეთ და ემთხვიეთ ამა წმინდა ჯვარსა და სახარებასა, – შთაგონებით წარმოთქვა მან, – და შეჰფუცეთ ფიცითა მტკიცითა მეფესა ჩვენსა ვახტანგს, მისსა ხრმალსა, მისსა სამეფოსა მიწასა და წყალსა, და ღვინოსა, ერთიან ქართლსა შინა დაყენებულსა, ნაჟურსა თოვლისასა იალბუზისასა, რომელზედ ფეხი შედგა მან, მეფემან ჩვენმან, და ესე ყუავილთა შუენიერთა, რომელი აავსებს სამო სულნელითა სხეულსა და სულსა ჩვენსა, – დასდეთ ფიცი უმტკიცესი – რომელსა არ ელაღატების – რომ აღივსებით შეუდრეკელობითა და დაუძინებლობითა მტერთა მიმართ ქართლისათა, ერთგულებითა მეფისა ჩვენისა ვახტანგისა, აროდეს დაუტევებთ რჯულსა ქრისტესასა და იქმნებით მამულიშვილნი ფრიალნი სამშობლოსა ჩვენისა ქართლისა! და ვფუცოთ ყოველმან აქა მყოფელმან და ერმან და ბერმან!

– ვფიცავთ! – ერთხმად შესძახეს ერისთავებმა და ასევე ერთდროულად გადაიწერეს პირჯვარი, შემდეგ ჯერ სპასპეტმა ჯუანშერმა, მისმა მწემ დემეტრე ერისთავმა, მას მერე ბაკურ მარგველმა, ნერსარან ხუნანის მფლობელმა, სამნალირ სვანთა ერისთავმა, წუნდის მფლობელმა ნასარმა, აგრეთვე ოთალირ კვეტარის ერისთავმა, ბივრიტიან ოძრხის ბატონმა ერთობლივ დაიჩოქეს, სათითაოდ ემთხვიენენ ქართლის დროშას, ჯვარსა და სახარებას, მერმე კი მეფეს ეახლნენ და მარჯვენა ხელი დაუკოცნეს.

ერისთავთა ომახიანი ხმა მათს მოლაშქრეებსაც მისწვდა:

– ვფიცავთ! – მრავალხმიანად აყიჟინდნენ ისინი.

– ვფიცავთ! – ექოსავით გაჰყვა ეს შეძახილი ლიხიდან აღმოსავლით და დასავლით დაბებსა თუ სოფლებს.

– ვფიცავთ! – დაიგუგუნეს მთებმა და მწვერვალებმა, რომელთა შორის ყველაზე ხმაძალდა იალბუზი ბუბუნებდა.

– ვფიცავთ! – ახმაურდნენ ტყეები, ჭალები, ვენახები, ბაღები, ყანები...

– ვფიცავთ! – არ ჩამორჩნენ მტკვარი და არაგვი, ალაზანი და ფაზისი, თერგი და ეგრისისწყალი...

– ვფიცავთ! – დაიგრუნუნეს ზვავებმა და მათი გრიალი პონტოს ზღვის ტალღების გუგუნმა შთანთქა.

– ვფიცავთ! – და მცხეთას რუსთავი, ხორნაბუჯი, უფლისციხე, ოძრხე, ნიკოფისი, სებასტოპოლისი, ფაზისი, ციხე-გოჯი, კასპი და სხვა მრავალი ციხე და ქალაქი გაეხმიანა, რომელი ხმიანობაც, ურთიერთს მტკიცედ შეერთებული, ქარიშხლის გრი-ალს წააგავდა.


ამ საყოველთაო ფიცის დადებისას სადღაც იშვა ომახიანი სიმღერა, რომელიც ლაშქარმა აიტაცა და ისეთი ხმით შემოსძახა, რომ დასავლით ნიკოფისის მიაწვდინა, აღმოსავლით კი ჰერეთს გასცდა და რანამდე ჩავიდა:

– ვით მზეს შვენის ბრწყინვალემა,  
გაცისკრება ღამისა, –  
ვაჟკაცს ომში თავგანწირვა,  
მარჯვედ ქნევა ხმალისა!  
წინ წარგვიძელ მეფევ ჩვენო,  
გამარჯვებით გვატარე,  
ჩვენ ვერავინ დაგვამარცხებს  
თვით სიკვდილის ამტანებს,  
წინ გვიძოდეს ერთიანი  
ქართლის დროშა სვიანი,  
მამულისთვის თავდადება  
აროდეს არს გვიანი!..

მეუფე მიქაელს ჯვარი აღემართა და ყველას – ერისთავებს, მოლაშქრეებს, მთასა და ბარს, მიწას და წყალს – ყველას აკურთხებდა.

ამ სიმღერის გაგონებაზე ვახტანგ მეფემაც გადაიწერა პირჯვარი, ჯერ ჯვარს ემთხვია, შემდეგ სახარებას, მერმე ერთიან ქართლის დროშას დაუჩოქა და ეამბორა, ბოლოს თავისი ხმალი აიღო, წელზე შემოირტყა და მარჯვნივ და მარცხნივ ისეთი შეუპოვარი მზერით გაიხედ-გამოიხედა, თითქოს ლიხთიმერსაც და ლიხთამერსაც თვალუწვდენელ სიმაღლეზე ატყორცნილი, უმტკიცესი და შეუვალი ციხე-გალაგანი შემოავლო, რომელიც საუკუნეებს გაუძლებდა და ვერა მტერი ვერ გადმოლახავდა.

## ღევიანი ღოიი



## გოგონა და შიო

*ელენეა ჩემი ბავშვობის მეგობარს,  
ნინო თოღუას*

„მე ვარ შიო, გამაიტათ,  
თუ გაქვთ რამე მარანშიო“...

მოიძღვროდა შიო და ახალისებდა უბნის კარ-ფანჯრებს... თავზე ნაბდის ნაგლეჯისაგან შეკერილი ქული ეხურა, ზურგზე ცხვრის ტყავის აბგა ჰქონდა გადაკიდებული, ტანზე არასიმეტრიულად შეკრული, ფოთლებიანი, დაკემსილი პერანგი და მუხლზე დაკერებული სატინის შარვალი ეცვა, ფეხზე კი ქალამნები, ისიც არცთუ მთელი და სუფთა...

ასაკით, ალბათ, სამოცს იქნებოდა მიტანებული. მუდამ დაუვარცხნელ, ჭალარა თმებში თივის ღერებიც ერია მზის სხივებისვით. არავინ იცოდა, საიდან გამოჩნდა შიო დაბაში. ისე მოვიდა ერთხელ, ღიმილითა და სიმღერით, თითქოს ყოველთვის აქ ყოფილიყო. ამბობდნენ, ღამეს რკინიგზის სადგურთან მიტოვებულ საწყობში ათევსო. იმ საწყობს წვიმაში საქონელიც აფარებდა თავს და შიოც. გათენდებოდა და ღიმილი-ღიმილით დაუყვებოდა დაბის ქუჩებს ცალკე საქონელი, ცალკე შიო. არავინ იცის რატო, დაბის მთავარ მოედანთან ეროვნული გმირის ძეგლთან გაჩერდებოდა, ცოტა ხანს უყურებდა, მერე ცრემლებს გადმოჰყრიდა. ცოტა ხანს ასე იდგა, მერე ისევ ღიმილით გააგრძელებდა გზას.

ხან ვის ეხმარებოდა, ხან ვის. ზოგი მერე საჭმელს აჭმევდა, ზოგი ცოტა ფულსაც აძლევდა და ძველ ტანსაცმელს,

თხოვნით კი არავის არაფერს თხოვდა. იქით ეხვეწებოდა ყველას, კიდე რამე ხო არ გინდათ გაგიკეთოთო.

წარსულზე არაფერს ამბობდა. თუ რაიმეს ჰკითხავდი, პასუხები ლაკონური ჰქონდა.

- გამარჯობა, შიო!
- გაგიმარჯოს, საქმე არ გაქ?
- მოდი აქა, შიო!
- აქა თუ მინდა?!
- სად იყავი, შიო?
- სად არ ვიყავი!
- ეს პერანგი ვინ გაჩუქა?
- უ, ვინ არ მაჩუქა?
- საიდან ხარ შიო?
- იქიდან.
- სად მიდიხარ?
- ახლა როგორ მივდივარ, ვდგავარ და.
- სად ცხოვრობ?
- იქ.

ახმიანდებოდა სიცხისგან გათანგული ქუჩა, ერთი წუთის წინ თუ არავინ ჩანდა, ახლა ასე გვერნებოდა, ყველანი აქ არიანო. განსაკუთრებით ბავშვები ხალისობდნენ, ზოგი ქულის წართმევას ლამობდა, ზოგი ქვასა და ჯოხს ესროდა. შიო თავიდან არ ბრაზდებოდა. ღიმილით იგერიებდა პატარების შემოტევას. მერე კი, ძალიან რომ მოაბეზრებდნენ თავს, რომელიმეს გამოეკიდებოდა, ისიც შესაშინებლად, თორემ არავის არაფერს არ ერჩოდა...

მერე ერთი ეზოს კარებიც გაიღებოდა და პატარა, ოთხიოდ წლის გოგო ხელე-ბგაშლილი, სირბილითა და „შიო, შიოს“ ძანილით გამოიქცეოდა და ჩაეხუტებოდა... გაკვირვებული ბავშვები უკვე ვეღარ ბედავდნენ შიოსთვის ქვის სროლას... ჩემი ვარსკვლავთვალეა, შენ ხარ ჩემი დაცვაო, იტყოდა შიო და გულზე მიიკრავდა გოგოს... მთელი უბანი გაკვირვებული უყურებდა ამ სურათს, სანამ გოგოს ბებია არ გამოვარდებოდა ეზოდან ყვირილითა და ქოქოლით...

– მეხი კი დაგეცეს, ბაღს არაფერი მოსწიო, შიო ხარ თუ ჯანდაბა, საიდან მოეხეტა, ქა!

შიო რიდიტ და მოწიწებით გადასცემდა გოგოს ბებიამისს, ის კი, გოგო, ტირილს მორთავდა, შიოსთან მინდაო...

– გაგიგია, ქა, ბაღს გიჟი ასე უყვარდეს?! – ჯერ თავისთვის ბრაზობდა ბებია და სახლისკენ მიექაჩებოდა აცრემლებულ გოგოს...

– შიო მინდა! – ტიროდა გოგო...

– მეხი კი დაეცეს შენ შიოსა, ნეტა

მალე წეხირებოდეს აქედანა, აპანდე!  
– სახეს ჩამოიხოკავდა ბებია და  
მეზობლებს მიუბრუნდებოდა – ბაღლი  
არ გამიგიჟდებოდეს, ქა!

ერთ წვიმიან დღეს, გოგო და ბებია  
სახლში მარტონი იყვნენ... ზუსტად ის დრო  
იყო, გოგოს შუადღის ძილი რომ უწევდა,  
ხოდა ჩაეძინა, ოღონდ ბებოს. ზუსტად ამ  
დროს ქუჩიდან შიოს სიმღერის ხმა მოისმა:

„მე ვარ შიო, გამაიტათ...“

ხოდა გოგომაც დილით გამომცხვარ  
ქადას დაავლო ხელი, შიოს გავუტანო.  
ეზოდან რომ გავიდა ქუჩა ცარიელი იყო  
– წვიმას დაეცარიელებინა. შესახვევში,  
ორ სახლს იქეთ მოჰკრა თვალი შიოს და  
დაედევნა თავის პატარა ნაბიჯებით...

შიოს მოკლეზე უნდოდა გადასვლა  
სადგურისკენ, იქ კი გზად პატარა რუ  
მიედინებოდა, რომელიც წვიმაში კარგა  
მოზრდილ დეღელ ქცეულიყო. შიო  
ადვილად გადავიდა, გოგოს კი სველ  
ფიცარზე ფეხი დაუცდა... „შიო“, ერთიც  
დაიძახა და პატარა ხელებით და ფეხებით  
უძალიანდებოდა წყალს, თან კი შიოსთვის  
წამოდებულ ქადას არ უშვებდა ხელს...

შიოს სმენასაც მისწვდა სუსტი  
დაძახილი და მოიხედა. ქადანი, პაწაწუნა  
ხელი დაინახა მხოლოდ, როგორ მიჰქონდა  
წყალს და „გვიშველეთ, ხალხო“, ისე  
დაიდრიალა, წკარუნი აუტყდათ სახლებში  
ჭურჭელს...

თავის ასაკისათვის შეუფერებელი  
სიმარდით გადახტა წყალში და რამდენიმე  
წამში უკვე გულში იხუტებდა პატარა  
გოგოს, რომელსაც ისევ ქადა ეჭირა  
ხელში...

წელან თუ ცარიელი იყო ქუჩა, უკვე  
ყველანი აქ იყვნენ...

ზოგმა, სველი შიო და გოგო რომ  
ერთად დაინახეს, უკვე აღიდებულ რუდან  
ამოსულები, იფიქრეს, ალბათ შიომ რამე  
აგნო, ჩავქოლოთ ეს ნაგიჟარი, სხვა დროს  
ბაღლს არაფერი მოსწიოსო, მაგრამ  
ღმერთი ხო ყველაფერს ხედავს და ერთი  
კაციც გამოჩნდა ყველაფერს დამნახავი:  
„შიო არაფერ შუაშია, პირიქით, წყალს  
მიჰქონდა გოგო და გადაარჩინა“, – ხალხი  
დააწყნარა.

ამასობაში ბებიასაც გაღვიძებოდა  
შიოს ღრიალზე და გაბმული ხმით კიოდა,  
მიშველეთ, ბაღლი დაიკარგაო...

აქ არის შენი გოგო, შიოსა ჰყავს,  
ნუ გეშინიანო, მეზობლებმა დაუძახეს...  
წვილ-კივილითა და ქაქანით მოვარდა  
ბებო, „მიშველეთ, ხალხო, ბაღლი მომპარა,

ამ გიჟმა“ ჰყვიროდა... ხალხი აწყნარებდა,  
შიო არაფერ შუაშია, პირიქით, ბაღლობა  
ეკუთვნის, აღიდებულ რუდან ბავშვი  
ამოუყვანიაო... გოგომ იფიქრა, ბებო ქა-  
დაზე თუ დარდობს და იმიტომ ბრაზობს,  
ალბათ ჰგონია, შიომ მოიპარაო და ისიც  
ბებოსკენ გაიქცა...

„ბებო, შიომ არა, მემოვიპარეჟადა,  
შიოსთვის მინდოდაო...“

## ორი მეგობარი

*ედვინება თამარ ბარძიმაშვილს*

სოფელს მდინარე ჩაუდიოდა და შუად  
ჰყოფდა. რაღაცა ჰყოფს, რაღაცა აერ-  
თიანებს. მდინარე რა მდინარეა თუ ხიდი  
არ აქვს. ჰოდა, ამ მდინარესაც ხიდი ჰქონდა  
გადაკრული არტახივით – გამაერთიანებე-  
ლად. სანამ მშრალი ამინდები და გვალვები  
იყო, ჰგუობდა მდინარე არტახს, მირაკრაკ-  
მიჰლუნობდა თავისთვის. გაავდრდებოდა,  
შფოთვას დაიწყებდა, აფორიაქდებოდა,  
გადიდებ-აღიდებოდა, საძირკველს გამოა-  
ცლიდა და მოშლიდა ხიდს, თითქოსდა  
თავისუფლებადანატრებული...

ორი მეგობარი ცხოვრობდა სოფელში  
– სოფელში რა, ერთი ხიდის ერთ თავთან,  
მეორე კიდე მეორე. ერთ წელს და ერთ  
დღეს, ერთ სამშობიაროში დაბადებულები,  
– თვალი რო აახილეს, პირველად ერთმა-  
ნეთი დაინახესო, ასე ხუმრობდნენ. წლებმა  
იცის ჭირი და ლხინი, ყველაფერს ერთად  
იზიარებდნენ, ჰოდა პირველად ისინი იწ-  
ყებდნენ ხიდის აგებას, აქეთა და იქეთა  
სოფელიც ეხმარებოდათ და ააგებდნენ  
ხიდს და ისევ ერთიანდებოდა სოფელიცა  
და მეგობრობაც.

მიდიოდა წლები. დაბერიკაცდნენ  
მეგობრები, ერთს შეთხელებულ თმებზე  
ჩამოათოვა, მეორეს აღარც ის თეთრი თმა  
არ შერჩა. მეგობრობა არ დაუბერდათ  
მხოლოდ, ისევ ისეთივე ლალი დაურჩათ,  
როგორც ბავშვობაში. ერთხელაც, ორნი  
რომ უსხდნენ სუფრას, ასეთი რამე წამოცდა  
ერთს – თითქოს და ხუმრობით: ხიდის  
ერთ თავთან შენ იდარაჯე, მეორესთან მე  
ვიფხიზლებ, სიკვდილი ერთმანეთთან არ  
გადავუშვათო.

გამოხდა ხანი. დაიძინა ერთმა და ვინ  
იფიქრებდა, თურმე სამუდამოდ... ცა შეძრა  
კივილმა. მოვარდა სოფელი ხიდს აქედან  
და ხიდს იქიდან.

ხოდა ქალების კივილს კაცის ბლავილის  
ხმაც შეუერთდა: „მაპატიეო, არ გადმომიშ-  
ვიაო, ბიჭო, სიკვდილი, გადმომეპარაო...“

# ნაპირები

ედვენება პოეტ  
ზაზა სუყაშვილს (ჭერელს)

მამა და ორი ვაჟი ანკელებით თევზაობდნენ. არადა არ ეკიდებოდა თევზი. აქ ალაზანი ახლა ორი ქვეყნის საზღვარიცაა და მდორედ მიედინება, თითქოს და ენანებაო, ქართულ მიწას რომ ემშვიდობება. დღეს, ალბათ თუ წვიმდა საქართველოს მთებში, აღიდებულა მდინარე. მზე კი ისე აცხუნებს, როგორც უდაბნოში იცის შუადღისას, როცა ჩრდილები იკარგება.

მერე ერთმა ბიჭმა, შვიდიოდე წლისამ, თევზაობას თავი დაანება და წყალში შეცურა. ცოტაც და მხარულით მიაპობდა ტალღებს. რაღაცა ძალა ეწეოდა მეორე ნაპირისაკენ, რომელზეც ერთხელ უთხრა მამამ, იქ საქართველოა, შვილო, ჩვენი სამშობლო. აქაც ხო ჩვენი სამშობლოა, — გაკვირვებია მაშინ პატარას. კიო, —

მამამ. აქაც საქართველო ყოფილაო, — გულში გაუფიქრებია ბიჭს.

ალაზანმაც სულ აკვანივით არწია, თან თითქოს ისიც ეხმარებოდა ბიჭს მეორე მეორე ნაპირისთვის მიეღწია. ცოტაც და ფსკერს დაეხვინა ხელიც და ფეხიც. ნაპირზე გასული, ფეხზე არც ამდგარა, მუხლებზე დაჩოქილი ჯერ დიდხანს კოცნიდა მიწას, მერე კი ისე ჩაეხუტა, მშობელ დედას რომ ჩაეხუტება შვილი.

მამამ იფიქრა, მდინარემ არ გაიტაცოსო. ისიც უკან მიჰყვა. მერე მამა და შვილი კარგა ხანს ისხდნენ ალაზნის ერთ ნაპირზე და იქიდან უცქერდნენ მეორე ნაპირზე დარჩენილ ერთი ძმას, მეორე შვილს, ორივენი კი საკუთარ სოფელს, ადრე ქათმისხევი რომ ერქვა, ახლა კი ალიბეგლო ჰქვია.

## თამაჩ შანიშვილი

ერთი ლექსი



### სიზმარში დამიძახა სახლმა...

გამთენიისას,

მამლისყვილისჟამს

სიზმარში დამიძახა სახლმა...

მსხლის უხსოვარი ფესვებიდან ავანთე მზე და

გულში ჩავიმშვიდე...

დილის ლოცვას ვინ დაასწრებდა

დედის ქარმიწიან ხელებს,

დიდილოიანი ეკლესიის მარიამის ფრესკის ფერს...

ანდა მაყვლის თავსაბურველს

ვინ დაუწყლულებდა ჟამის ნაკაწრებს

სევდობლად,

ღრუბლის წეროებში...

როცა სივრცესაც კი გუმბათის ფორმა აქვს

და თვალები მტირალა კლდის მონაჟურია...

...და მოსახილველი მთვარისჩინივით —

ღია აივანზე

ცისკრისმეჭირისუფლეს

ბებრი ვაზის

ლერწებსიმშვიდით...

ეძინა მამას!





ერთი ლექსი

## ჯანა ლეხიძე

### ათასწლეულთა გადმოძახილი

ჩემთვის ვჩურჩულებ, სულში გეძახი,  
გესაუბრები ულაპარაკოდ,  
ეს მე ვარ, მე ვარ, შენი ზევახი,  
როგორ ამტკივდი, ჩემი კარპაკო...

ორი ათასი წელიწადია,  
გეძებ კოსმიურ გარიჟრაჟებში,  
მუხლმოყრით ვხვდები ყოველ განთიადს,  
დღემდე სისხლი მდის შენით გაჟღენთილს...

სულ მელანდები და მედარდები,  
ყველგან შენ გხედავ, სადაც შუქია,  
მეფე ამოტად მოველ განგებით  
და შენ იყავი ჩემი შუქია...

გლეხიც ვიყავი, რკინის მჭედელიც,  
გლეხკაცს მიწამდე რალა უკლია,  
შენი ნაკვეთი ქარვის ბეჭედი,  
სულის სამშვენი სამკაულია...

გზირად ვაქციე ამაოება,  
თინათინობდი, ვიყავ რუსთველი,  
ცხოვრება, როგორც ვრცელი პოემა,  
სიყვარულია დაუსრულები...

რუ თუ წმინდაა, ზღვაც ვერ დაახრჩობს,  
ბევრჯერ ჩანჩქერიც წყაროს შენატრის.  
შენ? – მოწყვეტილი კორდზე ყაყაჩო,  
მე? – საზედაშე ყურძნის მტევანი...

ახლა გარეთ წვიმს, სულში ქარია,  
ყველა გზაზე ვართ დიდი სოფლისკენ,  
ღმერთო, მოკვდი თუ მხოლოდ მთვრალი ვარ  
და წამიერად წავიბორძიკე?!

დაშთენილი ვარ ურაკპარაკოდ,  
ციდან მთელი ხმით ვყვირი, გეძახი!..  
გამომიმზევდი ჩემო კარპაკო,  
ეს მე ვარ, მე ვარ, შენი ზევახი!..



## საუბრები რეზო ინანიშვილთან

2013 წლის ლიტერატურული ჟურნალი „ანელი“ გადავშალე თუ არა პირველივე გვერდიდან დიდი ხნის წინათ გაცნობილმა სახემ შემომცინა. მე ის, რეზო ინანიშვილი, გასული საუკუნის 50-იან წლების გახეთ „ახკომის“ რედაქციაში გავიცანი დამწყებ ლიტერატორთა ერთ-ერთი შეკრების დროს, ცხადია, არა მარტო ის, სხვებიც. მაგ: რეზო თაბუკაშვილი, მუხრან მაჭავარიანი, ლადო მრელაშვილი, ნოდარ გურუშიძე და სხვები.

მაგრამ რეზო ინანიშვილი, მიუხედავად ჩვენი ხანმოკლე სიახლოვისა, მაინც უფრო ახლოს და შინაურულად გავიცანი. შეკრების დასრულების შემდეგ სახლისკენ მიმავალი გზა ყოფილი მალაკნების ბაზრამდე ერთი გვექონდა და ფეხით მივუყვებოდით.

ერთ დღეს გავიგე, რომ მწერალთა კავშირში ეწყობოდა პოეტ ილო მოსაშვილის პიესის „ჩაძირული ქვების“ განხილვა. დანიშნულ დროს მივედი, იქნებ შესაძლებელი იყოს დასწრება-მეთქი... ერთი ჩემი თანატოლი ბიჭიც მოვიდა. ისიც უხერხულად გრძნობდა თავს, მაგრამ ყველა რომ შევიდა, დარბაზში შევიხედე და ზედ კარებთან ორი სკამი აღმოჩნდა თავისუფალი, მომდევნო სკამზე კი იჯდა იოსებ გრიშაშვილი – შემოდით, ადგილები თავისუფალიაო. დარბაზის თავში, მაგიდასთან ოთხი თუ ხუთი კაცი იჯდა. მარცხენა მხარეს – პიესის ავტორი. ცოტა ხანს კონსტანტინე გამსახურდია და სანდრო შანიშვილი კამათობდნენ რალაცაზე.

..მაგიდასთან შუაში მჯდომი წამოდგა, ბოდიში მოუხადა მოკამათეებს და ვილაცაზე თქვა, ალბათ შეაგვიანდებაო. დავიწყოთო და სიტყვა მისცა.. არ ვიცი, ვინ იყო, დავიწყო, მაგრამ სულ ნაკლებზე ილაპარაკა, მეორემაც, ავტორი კი მოლუშული იჯდა, ნერვიულობა აშკარად ეტყობოდა ამ დროს შემოვიდა ბესო ჟღენტის და თავისუფალ სკამზე ჩამოჯდა. თავმჯდომარემ დარბაზს გადახედა – კიდევ ვის სურს სიტყვით გამოსვლაო, მსურველი რომ არ აღმოჩნდა, ბესო ჟღენტს დაუთმო ტრიბუნა:

– ამხანაგებო, მე არ ვიცი, აქ ვინ რა თქვა, მაგრამ მე ჩემს აზრს მოგახსენებთ:

დავიწყო ქებით და დაამთავრა ქებით. ილო წელში გაიშალა, ჩვენც ავიშალენით, მე და ჩემი თანატოლი ერთად გამოვედით და გავეცანით ერთმანეთს. ის ბიჭი აღმოჩნდა გურამ თევზაძე... შემდეგ ცნობილი ფილოსოფოსი. ერთმანეთს ჩვენი ლექსები გავაცანით და შევთანხმდით მეორე დღეს „ახკომის“ რედაქციაში შევხვედრილიყავით.

მეორე დღეს მე და გურამ თევზაძე შევხვდით დათქმულ ადგილზე. იქ თურმე დამწყებ ლიტერატორთა ჯგუფი იკრიბებოდა ხოლმე. ოთახში ორი უცნობი დავგვხვდა. ერთი ჯგუფის ხელმძღვანელი შალვა ამისულაშვილი, ხოლო მეორე შემდეგში ყველასთვის ცნობილი რეზო ინანიშვილი იყო. გაცნობის შემდეგ შალვამ მითხრა, მოგვასმენინე რამეო. წავიკითხე ერთი ლექსი, რომელიც გამახსენდა – კეთილი იყოს შენი ფეხი ჩვენს ოჯახშიო.

მე და რეზო ინანიშვილი „ახკომის“ რედაქციიდან ერთად გამოვედით. კკითხე, სად ცხოვრობდა ამჟამად. ცხრა ძმის ქუჩაზეო, მალაკნის ბაზრის ზემოთ.

– მეზობლები ვყოფილვართ - მეთქი. გავაგრძელებთ გზა მარჯანიშვილის მიმართულებით. კკითხე, ხომ არ გეჩქარება – მეთქი. არა, ჯობია, ფეხით წავიდეთო.

მე და რეზოს, როგორც შევატყვე, სოფელზე სასაუბროს რა გამოგვიღებდა, როცა კი კარგი ამინდი იქნებოდა, შევჩერდებოდით ჩვენი გზის გასაყართან და ვუყვებოდით ერთმანეთს ჩვენი სოფლის ამბებს. მაგრამ მოხდა ისე, რომ ჩვენი გზები მალე გაიყარა. მე ოთხი წელი სამხედრო სამსახურში მომიწია ყოფნა. დიდი ხნის შემდეგ მის მოთხრობებში შევნიშნე იმდროინდელი საუბრების ანარეკლი. მაგალითად, ერთი ადგილის „საკარდენახოს“ აღწერილობა სიღნაღის და გურჯაანის გასაყართან, თვალსაჩინო ადგილზე სერზე მდგომი ბოკვის ირგვლივ დიდი მხატვრის დახატულ პეიზაჟსა გავს, მხოლოდ სიტყვისა და კალმის მომარჯვებით. ან – „იქ ახლა შაიშმელაანთ ძალი იდგა და მოწყენილი ყფდა, ყოველ სულდგმულში არიან კარგებიც და ცუდებიც, მეტსაც გეტყვი: კარგები უფრო მეტნი არიან, ვიდრე ცუდები. მით უმეტეს ძაღლები“.

ქართული ჟურნალისტიკის მე-20 საუკუნის მნათობები შეიძლება თამამად ვუწოდოთ ნარგიზა მგელაძეს და ნოდარ ჩხეიძეს. პირველმა ის-ის იყო სამოცს გადააბიჯა და ჯანმრთელობამ უმტყუნა, მეორემ ორმოცსაც ვერ მიაღწია, ბრმა შემთხვევამ შეიწირა. რედაქტორები დღენიადავ მოუწოდებდნენ დამწყებ ჟურნალისტებს, ეწერათ ისე, როგორც ნარგიზა წერდა. მიებაძათ ნოდარ ჩხეიძისთვის, ეხელმძღვანელათ მისი ნაწერებით. ჩვენც ვბაძავდით, თუ როგორ გამოვვლიოდა, მკითხველმა უკეთ იცის. შევირდმა ეს წერილი, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, უფრო სწორად – ლექტორს უძღვნა. შემთხვევით წავაწყდი ძველ „ლიტერატურულ საქართველოში“. ნარგიზას როდი სჩვეოდა საკუთარ თავზე საუბარი. ღრმად მწამს ამ ორი საინტერესო ადამიანის შესახებ გარკვეული შთაბეჭდილება ამითაც შეექმნება მკითხველს. ნარგიზა მგელაძეზე დაუსრულებლად შემიძლია ვწერო, არ მომეზრდება, არც სათქმელი შემომაკლდება. ესენი იყვნენ 60-იანელთა საინტერესოზე საინტერესო თაობა. მწერალთა შუაგულში მდგომი ორი ნიჭიერი ადამიანი...



...„მთების გიჟი იყო ნოდარ ჩხეიძე, გული სულ მთებისკენ მიუწევდა... ფანატიკური სიყვარულით უყვარდა ძლიერი, სულითა და ხორცით ძლიერი ადამიანები, იმიტომ, რომ თვითონ იყო ასეთი – დაუოკებელი, უშიშარი, გულით გამორჩეულ ხალხს გადაყოლილი,“ – წერს ერთგან ჯუშბერ თითმერია.

...„მისი საფლავის ქვის ერთ გვერდს აწერია – „მოვალს უმჯობესი შემდგომად ჩემსა“; ქვის მეორე გვერდზე – „მოვედით, ძმანო, შთავიხედნეთ საფლავსა“. ასეთი იყო მისი რწმენა, რომ შემდგომი თაობა ჩვენზე უკეთესი იქნებოდა, ჩვენზე მეტს მოუტანს და შესძენს ხალხსა და სამშობლოს. ...ნოდარი თავის უპირველეს მოვალეობად თვლიდა, ახალგაზრდა ადამიანისთვის ჯერ სული ესწავლებინა და მერე ნივთი, თავისი საქციელითა და ცხოვრებით მაგალითს ქმნიდა, მაგალითით ახდენდა გავლენას სხვებზე.... ქართველი კაცის საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი რაიმე წარმატება ნოდარს საკუთარ გამარჯვებაზე მეტ სიხარულს ჰკვირდა. ალტაცებული, აღფრთოვანებული ბუნების კაცი იყო – სიყვარული იცოდა და ამიტომ“.

ჭაბუა ამირეჯიბი

...„ნოდარი იყო ფეხად მთარული სიცოცხლე, ჯიუტი, უტენი, კეთილად ჯიბრიანი, სწორედ ისეთი, ჩვენი მშობლიური ენა სიყვარულით გიჟმაჟს რომ ეძახის; დაუდგრომელსა და მოუსვენარს სულ სადღაც მიეჩქარებოდა; უნივერსიტეტში ლექციების კითხვის დაწყებისთანავე ახალგაზრდების უსაყვარლეს მასწავლებლად იქცა. პირველი დემოკრატი, შინაგანი თავისუფლებით, სითამამითა და სიმართლით შემკული ახალი ტიპის მასწავლებელი – მეგობარი, რომელსაც ახალგაზრდობასთან პირდაპირ დგომის მორალური უფლება ჰქონდა. ამავედროულად, ნოდარ ჩხეიძეს შეეძლო ადამიანის სულისა და ნაწერის ისეთი ქვეტექსტების ამოკითხვა, რომელიც განსაზღვრავდა კიდევ ამა თუ იმ პიროვნებისა და ლიტერატურული ფაქტის არსსაც და ღირებულებასაც. მუდამ ჩემს თვალში კითხულობდა იმას, რის თქმასაც არ ვაპირებდი, ანდა სულაც ვერიდებოდი“.

იზა ორჯონიკიძე

ნოდარ ჩხეიძე მწერალთა კავშირში მე-20 საუკუნის ვარსკვლავების, გალაკტიონ ტაბიძისა და კონსტანტინე გამსახურდიას რეკომენდაციით შევიდა. ამაში ყველაფერია ნათქვამი: მქონდა ბედნიერება, ჩემს ცხოვრებაში იყო საუკეთესო 12 წელი, მემუშავა ნარგიზა მგელაძის გვერდით. მისი თხოვნა-დავალებით შევხვბოდი ნოდარ ჩხეიძის ოჯახს, როგორც ჟურნალისტი რესპონდენტებს – მეუღლეს, მომხიბლავ, ღირსეულ ქალბატონს, ლიანა მახარაძეს, შეიღებეს ხათუნა, გაგა და ბაჩო ჩხეიძეებს.

ნანული ბუკია

# სინანული დაუწერელი წიგნების გამო

მესამე კურსზე, ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტთა ცხრილში, გაჩნდა ახალი საგანი – საზღვარგარეთის პრესა. ლექტორის გრაფაში – უფროსი მასწავლებელი ნ. ჩხეიძე. ლექციაზე, რომლის დაწყებას ინტერესით ველოდით, მსუბუქი, ახალგაზრდული ნაბიჯით შემოვიდა ჩვენზე ათიოდე წლით უფროსი შეგვერემანი, გამხდარი კაცი, რომლის ასაკი შეიძლება ვერც გაგესაზღვრათ, რომ არა ძალზე მეტყველი, ირონიულად მოწკურული თვალები და ჭაღარაგაურეველი, რბილად დაყრილი ხშირი ქოჩორი, სახე კი უფრო ხანმრავალი კაცისა ჰქონდა, დაძაბული ფიქრით აღბეჭდილი. ეს სახე იოლ ცხოვრებაზე არ მეტყველებდა და, როგორც შემდეგ გავიგეთ, ალალი ცხოვრებით არც უცხოვრია მუდამ მშფოთვარე ჩხუბისაგან თავის არ ამრიდებელ, თავგადასავლებისა და ფათერაკების მაძიებელ, არაორდინალურად მოაზროვნე მის პატრონს.

– მე თქვენ უნდა გასწავლოთ საზღვარგარეთის პრესა, – გვითხრა მან და აუდიტორია ყურადღებით მოათვალიერა, თითქოს ამოწმებდა, შეიძლებოდა თუა არა ჩვენთან ისეთი საუბარი, რაც ამ ფრაზას მოჰყვა, – მაგრამ, გულანდილად რომ გითრათ, მე სწორედ ისე ვიცი, რაზე წერს „სკინტეია“ თუ „ჟემინჟიბაო“, როგორც თქვენ, ანუ ბევრი არაფერი ვიცი, რადგან არც ერთი მათგანი ხელში არ მჭერია და, ცხადია, არ წამიკითხავს, არც იმაში ვარ დარწმუნებული, თქვენ რაიმე შეგმატოთ იმის ცოდნამ, რა სწერია ამ გაზეთებში.

ისევ გამჭოლი მხერა. აუდიტორია რაღაც უჩვეულოს მოლოდინმა მოიცვა. ჩვენ ლექტორებისგან ასეთ გულანდილობას, ნდობის ამგვარ გამოვლინებას მიჩვეული არ ვიყავით. გუმანით მივხვდით, რომ ის აუცილებელი ბარიერი, გარკვეული დისტანცია ლექტორსა და სტუდენტს შორის, რაც სხვებთან აუცილებელი იყო, აქ იშლებოდა და ჩვენს ურთიერთობაშიც რაღაც ახალი და, ამდენად, უკვე საინტერესო შემოდიოდა. თუკი ლექტორი ასე თავისუფლად, თამად გამოთქვამდა აზრს (თანაც როგორს, მაშინდელი ჩვენი გაგებით)

თითქმის მკრეხელურს, „არ წამიკითხავს, არ ვიცი“, ჩვენ მით უფრო შეგვეძლებოდა ასევე შეუბოროტავად, უკომპლექსოდ გამოგვეთქვა ჩვენი აზრი – „მძაფრი ახალგაზრდობის გამო“ თამამი, დაუვარცხნელი. ერთი სიტყვით, ვიგრძენით თავისუფლების სიო და განდობილობის სიამაყე. ეს კაცი ჩვენ გვენდო, თითქოს რაღაც სასიკეთო შეთქმულების თანამონაწილედ გვაქცია და ამ ნდობის მოტყუება ჩვენგან უზნეობა იქნებოდა.

– თუ თანახმა იქნებით, მე გთავაზობთ ჩემს ლექციაზე დავიწყოთ ამ წიგნის კითხვა, იგი ადვილი გასაგები არ არის, მაგრამ უდიდეს ინტელექტუალურ სიამოვნებას მოგანიჭებთ და „სკინტეიაზე“ მეტად გამოგადგებათ, რადგან აზროვნებას შეგაჩვევთ, – გვითხრა ლექტორმა და წიგნი გადაშალა. ეს იყო ჰეგელის – „ლექციები ესთეტიკაში“, – რუსულ ენაზე.

– გამოცდა რომ გვაქვს თქვენს საგანში, რას ჩავაბარებთ? – იკითხა რაიონიდან ჩამოსულმა სტუდენტმა, რომელმაც, ცოტა არ იყოს, შემკრთალობა გადახედა სოლიდური მოცულობის წიგნს.

– გამოცდაზე ვისაც რა ნიშანი უნდა, იმას დაეუწერ, – დაგვამშვიდა ლექტორმა.

მთელი სემესტრის მანძილზე ნოდარ ჩხეიძე გვიკითხავდა და გვიხსნიდა ჰეგელის ესთეტიკას. გულწრფელი არ ვიქნებო, რომ ვთქვა: ყველამ ყველაფერი ადვილად გავიგეთ და ჰეგელის ურთულესი ნაშრომი დაეძლიეთ-მეთქი, მაგრამ ის, რაც გავიგეთ, თვითონ ნოდარის კომენტარებითა და დიდი ძალისხმევით, წიაღსვლებითა და პარალელებით, ჩვენთვის სწორედ რომ გონების გახსნის, გონის წვრთნის, გონების თვალის ახელის დასაწყისად იქცა. ისეთი სავალდებულო საგნების ფონზე, როგორც იყო საბჭოთა პრესის თეორია და პრაქტიკა, ან სასჯელივით მოსახდელი მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლები და სხვაც ამის მსგავსი, სადაც კაცს აზროვნება კი არა, ლენინის ციტატების, ბონჩ-ბრუევიჩის სტატიების სათაურების, პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების, ჟურნალების: „ზვეზდასა“ „ლენინგრადის



შესახებ“ და უამრავი სხვა სისულელის დაზებერება სჭირდებოდა, სტუდენტებთან ურთიერთობის ნოდარ ჩხეიძისეული სტილი თითქმის უპრეცედენტო იყო. უპირველესად, ლექტორმა აკვირპაღალა მისთვის „ბატონობით“ მიგვემართა. ერთხანს ასეთი ფამილარობა გვეხამუშა, მაგრამ მალე მივეჩვიეთ და „ბატონი ნოდარი“ ჩვენთვის უფროს და პატივისცემ, მაგრამ მაინც მეგობრად გადაიქცა.

სულ მალე დავესწართ ნოდარის საკანდიდატო დისერტაციის დაცვას. რთული თემა იყო, ნახევრად ფილოსოფიური. მერე თვითონ ხუმრობდა: ფილოსოფოსებს ჩემი ნამუშევარი მარტივად მოეჩვენათ, ფილოლოგებს – მეტიმეტად რთულად. თვითონ ფილოსოფიის ფაკულტეტი ჰქონდა დამთავრებული. ასე იყო თუ ისე, იმ ნაშრომშიც ჩანდა მისი, როგორც კრიტიკოსის ინტერესთა სფერო, მისი ესთეტიკური მრწამსი. ნოდარ ჩხეიძე ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი გახდა. ჩვენდა გასახარად, ამ კურსის წაყვანაც ნოდარ ჩხეიძეს დაევალა. ვსწავლობდით, როგორ აგვეცილებინა თავიდან კლიშეებივით გაცვეთილი, დაშტამპული ფრაზები, რომლითაც „სავსე იყო ჰაერი“. ვარჩევდით ერთმანეთის დაწერილ ნარკვევებს. კვლავ ვწერდით, ვკამათობდით, ხანდახან მწარე კამათი ჩხუბშიაც გადადიოდა. ნოდარი, ერთი შეხედვით, იშვიათად ერეოდა ჩვენს კამათში, მაგრამ უხილავი ღირიჟორივით მაინც ის აძლევდა ტონს და მოხერხებულად წარმართავდა ამ ალიაქოსს სასურველი აზრისაკენ. მისგან სასხვათაშორისოდ ნათქვამი ფრაზა – „შენგან ჟურნალისტი დადგება“, ისე გვახარებდა, თითქოს პულიტცერის პრემია მოეცათ ჩვენთვის.

თითქმის ორმოცი წელი გავიდა ამ დღეებიდან და ახლაც თვალწინ მიდგას, როგორი სხივი ჩაუდგებოდა თვალეებში, როცა საუბარი მის საყვარელ მწერლებს, ვთქვამთ, გურამ რჩეულიშვილს ან ჰემინგუეის შეეხებოდა. „თუ გახსოვთ, გურამის მოთხრობაში ერთი ბრწყინვალე დეტალია, მოხუცი ცოლ-ქმარი ტრამვაიში ზის. ტრამვაიმ ბორბლებში ჩავარდნილ ახალგაზრდა კაცს ფეხი გადასჭრა, მოხუცებმა ინსტიქტურად ფეხები აკეცეს, თითქოს იმ საცოდავის ტკივილს თავისი სიმძიმე ააცილებსო. აი დეტალი!“ ან სხვა დროს,

როცა ჰემინგუეის სტილზე ლაპარაკობდა (ეს მწერალი მაშინ ის-ის იყო აღწევდა ჩვენამდე რუსული თარგმანებით), გვითხრა: „ჰემინგუეი ასე ახასიათებს პერსონაჟს: „У него не хватало передних зубов и он вес и пел патриотическими чувствами“ – არც ერთი სხვა მწერალი ასე არ დაწერს. ეს არის სტილი!“ და ჩვენც ჩაკვირკიტებდით ჰემინგუეის. ნოდარი აღფრთოვანებით ლაპარაკობდა ანა კალანდაძეზე, მურმან ლებანიძეზე, ოთარ ჭილაძეზე და ჩვენ სიამოვნებით „ველაპავდით“ მათ ლექსებს. ნოდარი თავს უფლებას არ აძლევდა, კრიტიკულად, მით უფრო, აგდებით მოეხსენებინა სხვა ლექტორი, მაგრამ საკმარისი იყო, მას მავანზე და მავანზე ეთქვა – „ბატონი ესა და ეს“, მისი მალვალაკური მზერით, მალა აწეული წარბებითა და თვით ტონით, ჩვენთვის გასაგები ხდებოდა, რა აზრის იყო იგი „ბატონ X“-ზე, ანუ, არ იყო და არც უნდა ყოფილიყო მაღალი აზრისა. იყვნენ ისეთებიც, რომლებსაც იგი პატივს სცემდა, ღირსეული ადამიანები, ინტელექტუალები, არა აუცილებლად სამეცნიერო ხარისხის მატარებელი. როგორც კრიტიკოსს, მას ფაქიზი და უტყუარი ალლო ჰქონდა. მაშინ, როცა ჩვენ პირველ-მეორე კურსზე ვსწავლობდით, ჭაბუა ამირეჯიბს ერთი პაწია წიგნი ჰქონდა გამოქვეყნებული. ეს წიგნი და მისი რამდენიმე საჟურნალო პუბლიკაცია ჩვენთვის ნამდვილად არ იძლეოდა იმის საფუძველს, რომ მასში მომავალი დიდი მწერალი შეგვეცნო და ვფიქრეთ, ნოდარი აჭარბებდესო, როცა მან გვითხრა: დაინსომეთ, ჭაბუა დიდი მწერალიაო, მ აგრამ ერთი ლაფსუსი მწერლის შეფასებაში მასაც მოუვიდა, და აი, რა: ერთ ცივ, ქარიან დღეს სემინარზე ნოდარმა გამხდარ ნიკაპზე ხელი მოისვა, თითქოს ძელებს ავარჯიშებდა და სხვათა შორის, გვითხრა: ყბა ამოვარდნილი მაქვს და ასეთ ამინდში მტკივაო.

– სად ამოიგდეთ? – ჰკითხეს ბიჭებმა.

– ერთი პოეტი გავაკრიტიკე და ნოკაუტით მწერალთა კავშირის კიბეებზე დამაგორა.

– მერე? – ინტერესით ვიკითხეთ ჩვენ.

– მერე ყბა ამომივარდა, ახლა მე და ის პოეტი კარგი ძმაკაცები ვართ. შესანიშნავი პოეტი, მართალი იყო მაშინ. შეეშლებოდა, რასაკვირველია, რამე, მაგრამ შეცდომას ძალიან განიცდიდა და კაცურად ასწორებდა.

ერთ პრაქტიკულ მეცადინეობაზე ეტიუდების წერაში ვვარჯიშობდით. თემა მშობლებს ეხებოდა. ყველამ დავწერეთ ერთი გოგონას გარდა.

– შენ რატომ არ წერ? – ჰკითხა ნოდარმა. გოგონამ თავი დახარა და არაფერი უპასუხა. ჩვენ გავისუსეთ და დავიძაბეთ, რადგან ვიცოდით, რომ იმ სტუდენტ გოგონას მამა ომში ჰყავდა დაღუპული, დედა ომის დროსავე გარდაეცვალა და თვითონ უდემამო ბავშვთა სახლში გაიზარდა. იქ დაამთავრა სკოლა. წყნარი, ფერმკრთალი, უხმაურო, უაღრესად წესიერი, საყვარელი გოგო იყო. ნოდარმა, ცხადია, ეს არ იცოდა, რადგან ჩვენ ქალიშვილის თავმოყვარეობას ვუფრთხილდებოდით და ამ თემაზე არასოდეს არავისთან ვლაპარაკობდით.

– მამ ხომ გყავს? – განაგრძო ნოდარმა.

– არა, – წყნარად უპასუხა სტუდენტმა.

– დედა? – არა.

– აბა „პრიუტში“ გაიზარდე? – ცალყბად ჩაიციხა ლექტორმა.

ჩამოვარდა მქისე, ავისმომასწავებელი სიჩუმე. პაუზა ცოტახანს გაგრძელდა.

– დიახ! – თქვა ქალიშვილმა და თვალში ცრემლი ჩაუდგა.

ნოდარს შუბლი გაუთეთრდა, თითქოს ახლა მიხვდა, რა უტაქტობა ჩაიდინა. გაფითრებულს, ისედაც ფერმკრთალი სახე ძველი საყდრის კედელივით გაუხდა, გამშემდა. წახდა კაციო, რომ იტყვიან, ისე დაემართა. ჩვენ ხმას არ ვიღებდით, გოგონა ფეხზე იდგა. ეს თავისთავად ნეიტრალური, თუმცა არასასიამოვნო სიტყვა, რატომღაც, გულში სჭრიდა იქ გაზრდილ ბავშვებს, თითქოს სამარცხვინო, საჩოთირო, დამამცირებელი რამ უთხრეს, არასრულფასოვნებაზე მიუთითეს. თავის დროზე ეს, ალბათ, იგრძნეს და ამ სახლებს ბავშვთა სახლები დაარქვეს, ისე რომ წინ „ობოლი, ან „უდემამოც“ არ დაურთეს და სწორედაც მოიქცნენ. იმ ბავშვებს კიდევ გულისტკივილი აკლდათ? ნოდარმა ტუჩი მოიკვნითა და ნელა, მძიმედ გასწია იმ სტუდენტის მერხისკენ. ჩვენ თავიც არ მიგვიბრუნებია, მხოლოდ თვალის კუთხით ვაყოლებდით მზერას მის მოძრაობას. გოგონას თავზე ხელი ფრთხილად, ძალიან ფაქიზად გადაუსვა და სულ სხვა, გულიდან ამოსული ხმით, თითქოს ვედრებით, წყნარად უთხრა: მაპატიე. ობლობის სიმწარე მისთვისაც უცხო არ იყო და,

ამდენად, ეს მონაინება ისეთი გულწრფელი გამოვიდა, რომ სულგრძელად ვაპატიეთ და უფრო ახლობელიც გახდა ჩვენთვის. სხვისი ჭირის გულთან უცნაურად ახლო მიტანა იცოდა. მასსოვს, ნოდარ დუმბაძეს შვილი რომ გარდაეცვალა, ნოდარ ჩხეიძის კრიმაჭაშეკრული, ფერგაცლილი სახე, მთელი დღეები რომ იქ კედელზე მიყუდებული იდგა, ჭირისუფლის სახისგან ძნელად გაარჩევდი, ისე განიცდიდა მეგობრის თავსდატეხილ უბედურებას. ფული, რასაკვირველია, არ მქონდა, მაგრამ თუ ცოტას მაინც მოიგდებდა ხელთ, ჩვენი თანაკლასელი, კიდევ უფრო უფულო ბიჭები ლუდის დასალეევად მიჰყავდა ხოლმე. გადავედით მესუთე კურსზე და მოსკოვში, „პრავდის“ რედაქციაში გავვიშვეს, როგორც მაშინ ეძახდნენ „საწარმოო პრაქტიკაზე“, ანუ რედაქციისა და გამომცემლობისათვის თვალის გადასავლებად, თორემ „პრავდამში“ ჩვენ ვინ გვიშვებდა და ან ჩვენ რა დაგვრჩენოდა იქ. ხელმძღვანელად ნოდარ ჩხეიძე დაგვინიშნეს. ბევრი ჩვენგანი პირველად მიემგზავრებოდა მოსკოვში და ატყდა ერთი ამბავი, რა და რა უნდა გვენახა იქ. დიდი თეატრი – აუცილებლად, პუშკინის სახელობის სახვითი ხელოვნების მუზეუმი – აუცილებლად, ტრეტიაკოვკა – აუცილებლად, – ნოვოდევჩინის სასაფალო, – ჩაურთო ნოდარმა, – მე ჩეხოვის სასაფლაო უნდა ვნახო, მართლაც, სანამ ჩვენ სტალინის ცოლის – ნადეჟდა ალილუევას და ზოია კოსმოდემიანსკაიას საფლავებს ვეძებდით, ნოდარმა მიაგნო უბრალო, თუჯის აჟურული ღობით შემოფარგლულ საფლავს და შიგ შევიდა. ჩემმა ამხანაგმა აპარატი ჩააჩხაკუნა და დაგვრჩა მშვენიერი კადრი – ნოდარ ჩხეიძე ჩეხოვის საფლავთან. მოსკოვში ბიჭებს ფული მალე გაუთავდათ და ერთ დღეს აღმოჩნდა, რომ ყველას ერთად (ხელმძღვანელის ჩათვლით) ხუთი მანეთილა ჰქონდა დარჩენილი და არამცთუ სადმე წასვლა-წამოსვლა, ფული საჭმელადაც არ ეყოფოდა.

– არა უშავს, – გვითხრა ლექტორმა ცოტა არ იტყოს შეშფოთებულეებს, – მოვახერხებთ რაიმეს. თავისი გახეხილი, თხელი პიჯაკი მოიცვა და წავიდა. საღამოს უპიჯაკოდ დაბრუნდა, გახარებული იყო.

– გაცივიდე, – თქვა მხიარულად, – კუხნეცკის ხიდზე შევთავაზე გამვლელს,

ეტყობა, ეიაფა და აილო. ორი დღის საჭმელი გვექნება. მესამე დღეს თბილისში ვბრუნდებოდით და ბილეთები ადრევე გვქონდა ნაყიდი. საგზალზე გოგოებს უნდა გვეზრუნა, რადგან დაკვირვებული ვიყავით, ბიჭებს სტიპენდია და, საერთოდ, ყოველგვარი ფული გოგოებზე გაცილებით ადრე ეხარჯებოდათ და მერე ნახევრად მშვირები ელოდნენ შემდეგ სტიპენდიას. გზა და გზა ვაგზლებზე ვყიდულობდით უპრეტენზიო საჭმელს – ცხელ მოხარშულ კარტოფილს, მჭავე კიტრს, შავ პურს, კომბოსტოს ღვეზელებს, ერთმანეთს ლუკმას ვუყოფდით და ასე მხიარულად დავბრუნდით თბილისში, ახლა უკვე ნამდვილ მეგობრებად ქცეულნი. მერე, როცა ახალგაზრდული გაზეთის რედაქციაში დავიწყე მუშაობა, ხანდახან ქუჩაში ვხვდებოდი თავის, სხვებისგან გამორჩეულ ულტრამარინისფერ კაშნესა და ასფალტისფერ პალტოში გამოწყობილს, ხან კიდევ სტუდენტები მოჰყავდა რედაქციაში პრაქტიკაზე. ძმურად მოვიკითხავდით ერთმანეთს, რადგან, მისივე თქმით, ჩვენ ძმაკაცები ვიყავით.

– მსოფლიოში რომელი ქალი მოგწონთ ყველაზე მეტად? – „ძმაკაცის“ უფლებით ვკითხე ერთხელ.

– ლუჩია ბოსე და ჩემი ცოლი, – გულწრფელად მიპასუხა ნოდარმა, რომელსაც უსაზღვროდ უყვარდა თავისი, მართლაც, მშვენიერი ცოლი.

...ნოდარის სიკვდილი რომ გავიგე, ვერაფრით დავიჯერე, რადგან დარწმუნებული ვიყავი, იგი ას წლამდე იცოცხლებდა და თუ მაინც სიკვდილი ეწერა, სადმე მწვერვალზე ასვლისას, ან ისეთ გმირულ სიტუაციაში დაიღუპებოდა, როგორც მისი საყვარელი მწერალი გურამ რჩეულიშვილი დაიღუპა, რომლისაც მას, როგორც ამბობდა, თეთრი შურით შურდა. წყეული ბედის ირონიით, ნოდარ ჩხეიძე თავისი სახლის წინ ავტობუსმა გაიტანა. მაშინ იგი ორმოცისაც არ იყო. ნოდარ ჩხეიძის უდროოდ დაღუპვით ქართულ სალიტერატურო კრიტიკას ერთი სრულიად გამორჩეული ხმა და კოლორიტი დააკლდა. ამ ნიჭიერმა ლიტერატორმა სიცოცხლეში მხოლოდ ორიოდე წიგნის გამოცემა მოასწრო. იგი სამოცდაათის მხოლოდ გაისად გახდებოდა. ულმობელი დრო მიდის და ბევრი რამ მიაქვს, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი – არა. რჩება ხსოვნა და სინანული მისი დაუწერელი წიგნებისა და წერილების გამო.

1997 წელი.



## თურქეთის განათლების სამინისტრომ თურქეთის საშუალო სკოლებში ქართული ენის სწავლების პროგრამა დაამტკიცა

თურქეთის განათლების სამინისტრომ თურქეთის საშუალო სკოლებში ქართული ენის სწავლების პროგრამა დაამტკიცა.

„პროგრამა ითვალისწინებს მიმდინარე წლიდან თითოეულ საშუალო სკოლაში ქართული ენის შემსწავლელი 10 და მეტი მოსწავლის არსებობის შემთხვევაში მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 კლასებში ქართული ენის 244-საათიანი სწავლების პროგრამას.

პროგრამის შედგენაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის თურქეთში ქართული კულტურის სახლის ხელმძღვანელს, თურქეთის სახელმწიფო ტელევიზიაში (TRT) საქართველოს შესახებ მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმის („კავკასიის ქარი“) ავტორს, ბატონ ერდალ ქუჩუქსა (ელიზბარ ციმნარიძე) და ცნობილ ანკარელ მწერალს, ქალბატონ ქევსერ რუჰს (ქეთევან ხანთაძე). პროგრამის თარგმანში ქალბატონ ქევსერ რუჰსთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ: პროფესორი ნანა კაჭარავა და ანკარის უნივერსიტეტის მაგისტრანტი მარიამ გაფრინდაშვილი. საქართველოს საელჩო ულოცავს თურქეთში მცხოვრებ ეთნიკურად ქართული წარმოშობის მოსახლეობას ამ ისტორიულ ფაქტს და მიღებული გადაწყვეტილების გამო, დიდ მადლობას უხდის თურქეთის ხელისუფლებას“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

„ტურფავ, ტურფავ!

რას უყურებ“... და

მისი ავტორი



ქართულ მწერლობას მთარგმნელობითი კულტურის საკმაოდ მდიდარი გამოცდილება აქვს. ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში შეიქმნა სამწიგნობრო-მთარგმნელობითი სკოლები, სადაც დაუღალავ მოღვაწეობას ეწეოდნენ ცნობილი ქართველი საეკლესიო მწერალ-მწიგნობრები: ექვთიმე და გიორგი ათონელები, თეოფილე ხუცესმონაზონი, ეფრემ მცირე და სხვა.

XIX საუკუნეში საუკეთესო ტრადიციების აღმდგენელ-გამგრძელებლები იყვნენ გაზეთები: „დროება“ და „ივერია“, რომლებსაც წლების განმავლობაში მეთაურობდნენ დიდი ილია და ცნობილი ქართველი მწიგნობარი, ლიტერატორი და პუბლიცისტი სერგეი მესხი.

მათ თავის გარშემო შემოიკრიბეს და დარაზმეს იმ დროისათვის აღიარებული მწერალ-მთარგმნელები, მათ შორის წლების განმავლობაში უმართებულოდ მივიწყებული პოეტი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე და იმ პერიოდის ინტელიგენციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იოსებ ბაქრაძე.

იოსები თარგმნიდა რუსულიდან. გულმოდგინედ შესრულებულმა მისმა თარგმანებმა საბოლოოდ შეადგინა ავტორთა ერთგვარი „მცირე ანთოლოგია“, რომელშიც შესულები არიან შემდეგი მწერლები: ტომას მური, უოლტერ სკოტი, ფრიდრიხ შილერი, ვიქტორ ჰიუგო, ბაირონი და სხვა.

საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობდა გერმანელი პოეტი, პუბლიცისტი, კრიტიკოსი ჰაინრიხ ჰაინე (1797-1856). მისი ნაწარმოებების მთარგმნელთა შორის ყველაზე ნაყოფიერი იოსებ ბაქრაძე იყო. სწორედ მას ეკუთვნის ჰაინეს ლექსის „ტურფავ-ტურფავ“ თარგმანი, რაც გადმოკეთებული ქმნილების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს.

სანამ უშუალოდ ამ ლექსს შევეხებით, გავიხენოთ, რაზე გაამახვილა ყურადღება ილია ჭავჭავაძემ, ზოგადად, გადმოკეთებულ ლექსზე საუბრისას. ილიას აზრით, თარგმანში სხვისი ცხოვრება, ხასიათი, ზნე-ჩვეულებაა გამოთქმული, ხოლო გადმოკეთებულში კი: „უცხო ხატი სხვისი ცხოვრებისა ცოტად თუ ბევრად ჩვენი ცხოვრების ხატად გარდაიქმნება და რამდენადაც ეს გარდაქმნა დიდია, იმდენადაა ნაშრომი კარგი და მოსაწონი. გადმოკეთებელს უფრო მეტი საგზალი უნდა, უფრო მეტი ღონე სჭირია, უფრო მეტი ნიჭი, ვიდრე მთარგმნელსა; გადმოკეთებელს ის ღონეც უნდა ჰქონდეს, რაც მთარგმნელს და ამის გარდა თვითმოქმედი ძალიც შემოქმედისა“.<sup>1</sup>

ილიასეულ მეტად ლაკონურ და ზუსტ განსაზღვრებაში აღნიშნულია თარგმნილი და გადმოკეთებული ლიტერატურის არსებითი განმასხვავებელი ნიშნები. გადმოკეთებისას, მწერლის მიზანია ხალხისთვის უფრო გასაგები და მისაწვდომი გახადოს ნათარგმნი



ნაწარმოებები, სხვა ხალხის საკუთრება თავისი ხალხის საკუთრებად აქციოს. ე.ი. ასეთ შემთხვევაში, თავისებურ ორიგინალურ შემოქმედებასთან გვაქვს საქმე. აქედან გამომდინარე, ტექსტოლოგები საგამომცემლო პრაქტიკაში სავსებით მართებულად გადმოკეთებულ ნაწარმოებებს ორიგინალურ ნაწარმოებთან ერთად ათავსებენ, ე.ი. მას (გადმოკეთებულ ლექსს) პოეტის ორიგინალურ ლექსად თვლიან.

1893 წელს ჟურნალ „ნობათის“ I ნომერში დაბეჭდილია ლექსი „მიპატიჟება სასწავლებელში“, რომელიც თარგმნილია რუსულიდან „приглашение в школу“; რაფიელ ერისთავმა ნაწარმოები განავრცო და მას ქართული იერი მისცა, ამიტომაც ის პოეტის ორიგინალურ თხზულებებშია შეტანილი.

იგივე ითქმის დიდი რუსი იგავმწერლის ი. კრილოვის იგავ-არაკების ამსახველ თარგმანებზეც.

დაბოლოს, რაც შეეხება ზემოთ ხსენებულ ლექსს „ტურფავ-ტურფავ“, რომელიც 1892 წელს გაზეთ „ივერიაში“ დაიბეჭდა, მოგვიანებით კი სიმღერად იქცა და საკმაო პოპულარობაც მოიპოვა ჩვენში. მრავალი რუსული თარგმანიდან იოსებმა მიხაილოვის მიიჩნია საუკეთესოდ და სწორედ ის თარგმნა.

ლიტერატორი ვენერა კავთიაშვილი მართებულად აღნიშნავს: „ტურფავ-ტურფავ“ იოსებ ბაქრაძემ ისე დაუახლოვა ქართული ხალხური ლექსის ბუნებას, რომ არა მარტო საქართველოში, თვით გერმანელ მწერალს ადოლფ დირსაც ქართული ხალხური ლექსი ჰგონებია და გერმანულ ენაზე უთარგმნია. იოსებ ბაქრაძეს ისე ოსტატურად დაუჭერია ჰაინეს განცდები, თითქოს, საკუთარ ხელში გადაუდუღებია, მთელი სისრულით გადმოუცია იგი“.<sup>2</sup>

აი, ლექსიც:

ტურფავ, ტურფავ! რას უყურებ,  
მოაცურე ჩემსკენ ნავი,  
ერთად დავსხდეთ და ვუყუროთ,  
როგორ არხევს წყალს ნიავი.

ნურას ფიქრობ ჩემზე ავსა,  
გულს მხურვალედ ჩამეკარი,  
თუ რომ შენს თავს ანდობ ზღვასა –  
მე რითღა ვარ უნდობარი.

მაგრამ გულიც ხომ ზღვა არის,  
ხან ღელავს და ხან მშვიდდება  
და ძვირფასი მარგალიტი  
ამაშიაც იმალება.

1. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტომი III, გვ. 125.

2. ვ. კავთიაშვილი, ეტიუდები გერმანულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობიდან, თბ, 1991, გვ. 118.



## ქვიშეთში დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმი აღდგება

2014 წელი ქართველი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ყიფიანის საიუბილეო წელია. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტს განახორციელებს.

სოფელ ქვიშეთში მდებარე სახლი, სადაც საზოგადო მოღვაწემ მთელი ცხოვრება გაატარა, დღეს დანგრევის პირასაა. პროცესის ორგანიზება საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს დაევალა. პროექტს პროფესიონალი არქიტექტორები შეიმუშავებენ, რომლებიც თანამედროვე ტექნოლოგიების საშუალებით შენობის გადარჩენის ზუსტ გეგმას დასახავენ. დიმიტრი ყიფიანი მე-19 საუკუნის საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურა გახლდათ. მისმა მოღვაწეობამ და პუბლიკაციებმა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ჩაუყარა საფუძველი.

# საოქახო ალბომი

## რატომ არ ხატავდნენ გალაკტიონს ჩოხაში?



მას შემდეგ თითქმის ორმოცი წელი გავიდა. „ხაზის რადიო“ (როგორც მაშინ უწოდებდნენ, ძალზე პოპულარული იყო თითქმის ყველა ოჯახში). ჩავრთე. გადაცემის თემა გალაკტიონს ეხებოდა. ყურადღებით დავეწყე მოსმენა და მივხვდი, რომ რომელიღაც ცნობილი ქართველი მხატვარი საუბრობდა გალაკტიონზე. ისე დამთავრდა გადაცემა, მისი გვარი არ გაუმეორებიათ, ან შეიძლება აღარ მახსოვს, მაგრამ, თითქმის სიტყვა-სიტყვით ვიხსენებ, რას ამბობდა მხატვარი. ის იხსენებდა, თუ როგორ დაავალეს, დაეხატა გალაკტიონი. დაინიშნა პირველი სენსის დრო, როდესაც პოეტი მხატვრის სახელოსნოში უნდა მისულიყო და დაეწყით მუშაობა ფერწერული პორტრეტის შექმნაზე.

„და აი, – განაგრძობს საუბარს მხატვარი, – მოდის გალაკტიონი და... რას ვხედავ... მას ჩოხა აცვია. – ბატონო გალაკტიონ, – მორიდებით მივმართე მე, – თქვენისთანა დიდი პიროვნების ჩოხაში დახატვა ცოტა უხერხული ხომ არაა, მე, მგონი, არ გეკადრებათ... – მართალი ხარ, ძამიკო, მართალი, – მიპასუხა გალაკტიონმა, სასწრაფოდ უკან გაბრუნდა და ცოტა ხანში მუქი ფერის კოსტიუმში გამოწყობილი მოვიდა.“

საშინლად ამაფორიაქა ამ ნაამბობმა... როგორ, გალაკტიონმა სპეციალურად

ჩაიცვა ჩოხა, თავად უნდოდა ასე დაეხატათ ბუმბერაზი პოეტი, მას უნდოდა ჩოხაში გამოწყობილი ენახათ მომავალ თაობებს და ამაზე უთხრეს უარი, დამამცირებლად მოეპყრნენ მისი ეროვნული სულის აღტკინებას?!“

აი, როგორი შემთხვევები აღიზიანებდა და უკლავდა გულს გალაკტიონს, რომელსაც ამ პერიოდში არც მატერიალურად უჭირდა და ოჯახური მზრუნველობაც არ აკლდა. თუმცა, გამორიცხული არ არის, რომ ეს მხატვრის ბრალი არ იყო. შეიძლება მასაც არ მიაჩნდა ურიგოდ, რომ გალაკტიონი ჩოხაში დაეხატა, მაგრამ, ალბათ, იცოდა, რომ დაუწუნებდნენ ამ ამბავს ქვეყნის სათავეში მყოფნი და შეიძლება დაესაჯათ კიდევ, გალაკტიონის ეროვნულ ტანსაცმელში დახატვისათვის.

ამის გახსენებისას უკვე ნათელია, თუ რატომ არ გვაქვს გალაკტიონის ფოტოები და ფერწერული ნახატები ჩოხაში, თუმცა კი, ამის სურვილი დიდ პოეტს ჰქონდა, მაგრამ, ეტყობა თავად გალაკტიონიც ვერ იდებოდა ხელისუფლების გაღიზიანებას, მას თავისი ოჯახის მაგალითზე ჰქონდა გამოცდილი მათი სისასტიკე. გასაგებია, როგორ თავზარდამცემად იმოქმედებდა მის სულზე მეუღლის სიკვდილით დასჯა, მაშინ ხომ გალაკტიონთანაც ძალზე მიახლოებული იყო სიკვდილი.

მაგრამ, საბედნიეროდ, გალაკტიონის ოჯახმა შემოინახა ფოტოსურათი, რომელშიც გალაკტიონი ჩოხაშია. ეს სურათი გალაკტიონის მეუღლემ, ქალბატონმა ნინო კვირიკაძემ, რომელიც ჩემს ბებიასთან, ანა ჯაფარიძესთან მეგობრობდა, აჩუქა ჩვენს ოჯახს. ფოტოსურათი რამდენჯერმე გამოვაქვეყნე.

ამჯერად მისასალმებელია, რომ ეს ფოტო და მცირე მოგონება ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულში“ გამოქვეყნდა, ჟურნალში, რომელიც დიდი ხანი არაა, რაც გამოდის, მაგრამ უკვე მოიპოვა მკითხველის სიყვარული და პატივისცემა.

თეიმურაზ პეტრიაშვილი,

*მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პათოფიზიოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.*

## უორდროპების გახსენება



გურამ შარაძე, ანდრო უორდროპი, აკაკი რამიშვილი უორდროპთა სასაფლაოზე სევენოუქსში, 1981 წ.

„1981 წლის შემოდგომაზე ოლივერ უორდროპის უმცროს ვაჟთან – ანდრო უორდროპთან ლონდონის მახლობლად კენტის საგრაფოს დაბა სევენოუქსში სტუმრობისას, მან დიდი თავაზიანობითა და სტუმართმოყვარეობით მიმიღო, დამათვალეებინა უორდროპთა საგარეულო სასაფლაო სევენოუქსში, სადაც სხვებთან ერთად მარჯორი და ოლივერ უორდროპებიც განისვენებენ“, – წერდა ბატონი გურამ შარაძე 1986 წელს.

საქართველო-ინგლისის ისტორიულ ურთიერთობებს ღრმა ფესვები აქვს. ჯერ კიდევ XIII ს-ში ჩნდება ინგლისურ წყაროებში ქრონიკები იბერიაზე, კავკასიონზე, იბერებსა და ლაზებზე, ტფილისზე... 1823 წელს ლონდონში, ისევე როგორც პარიზში, საახიო საზოგადოება დაარსდა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ინგლისში ქართველოლოგიის, როგორც მეცნიერული დისციპლინის ჩამოყალიბებას. XIX საუკუნის 30-იან წლებში ქართული ხელნაწერები ჩნდება ბრიტანეთის მუზეუმში. 1840 წელს ლონდონში დაარსებული ბიბლიური საზოგადოება ქართული ქრისტიანული ლიტერატურით ინტერესდება.

XIX ს-ში უკვე გვაქვს ინგლისური ლიტერატურის ქართული თარგმანები, ბაირონისა და ტატოს სულიერი ნათესაობაც ადვილად შეუნიშნავს ილია ჭავჭავაძეს. მოგვიანებით ქართული ლიტერატურული ძეგლების – „ვეფხისტყაოსნის“, „სიბრძნე-სიცრუისას“, „განდევლის“... ინგლისური თარგმანებიც გაჩნდა.

1887 წელს ოლივერ უორდროპმა მთელი საქართველო მოიარა. მისი მასპინძლები ილია ჭავჭავაძე, ივანე მაჩაბელი და იმდროინდელი ქართველი არისტოკრატია იყო. მან სამშობლოში დაბრუნებისთანავე დაწერა შესანიშნავი წიგნი – „საქართველოს სამეფო“. 1894 წელს კი მისმა დამ მარჯორიმ ინგლისურ ენაზე „ქართული ხალხური ზღაპრები“ გამოაქვეყნა. ჯერ 1894-1995 წლებში მარჯორი და ოლივერი, ხოლო შემდეგ, 1896 წელს უორდროპების მთელი ოჯახი სტუმრობდა საქართველოს. 1900 წელს ოქსფორდში გამოიცა მარჯორი და ოლივერ უორდროპების მიერ შესრულებული თარგმანი „წმინდა ნინოს ცხოვრებისა“, და-ძმა უორდროპების ქართველოლოგიურ მოღვაწეობასა და ქართულ-ინგლისურ კულტურულ ურთიერთობებს მიუძღვნა ბატონმა გურამ შარაძემ ორი უმნიშვნელოვანესი წიგნი: „ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე“ (1984 წ.) და „საქართველოს მზე და სიყვარული ალბინის კუნძულზე“ (1986 წ.).

ოლივერ უორდროპი მხოლოდ ქართველოლოგიითა და საქართველოში მოგზაურობით არ შემოფარგლულა. იგი ინგლისის დიპლომატიურ კორპუსში მსახურობდა, წლების მანძილზე კონსულისა და გენერალური კონსულის თანამდებობები ეკავა რუსეთში, რუმინეთში, ნორვეგიაში, საფრანგეთში... 1919 წელს ოლივერ უორდროპი ამიერკავკასიაში ბრიტანეთის უმაღლეს კომისრად დაინიშნა. იგი დიდი პოლიტიკური მხარდამჭერი იყო საქართველოს დამოუკიდებლობისა მისი ოკუპაციის შემდეგაც – მხარდამჭერი სიტყვითა და საქმით.

კიდევ ერთი, ოლივერ უორდროპმა ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოლდის ბიბლიოთეკაში მარჯორი უორდროპის (1869-1909) სახელობის ქართული განყოფილება დააარსა, სადაც ათასობით ქართული წიგნი და პერიოდული გამოცემაა დაცული.

1949 წელს კრებულ „ბედი ქართლისაში“ ჯონ ოლივერ უორდროპის (1864-

1948) გარდაცვალების გამო ლონდონში ქართველთა საზოგადოების გამგეობამ სამხედრო წერილი გამოაქვეყნა, რომელიც ასე მთავრდებოდა: „ქართული ემიგრაცია, ევროპის კონტინენტზე და ინგლის-ამერიკაში მყოფნი, ოლივერ უორდროპის ქვრივს მარგარეტ უორდროპისას, მის ორ ვაჟს და ასულს უცხადებს ღრმა მწუხარებას მათთვის და ჩვენთვის ძვირფასი ადამიანის დაკარგვისათვის და აღუთქვამს, რომ განთავისუფლებულ საქართველოში მისი ხსენება და სახელი დაუვიწყარი იქნება.“ ასეც იქნებოდა, რომ არა 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალება და შემდგომი მოვლენები. კიდევ ბევრი რამ იქნებოდა სხვაგვარად...

უორდროპებისადმი მაღლიერება ქართველ

ხალხს მათ სიცოცხლეშიც გამოუხატავს და შემდეგაც არაერთხელ მიუგიათ პატივი მათი ხსოვნისადმი.

ამ რამდენიმე დღის წინ ერთმა ახალგაზრდა მეცნიერმა საინტერესო იდეა გვამცნო – თბილისში ერთ-ერთ ქუჩას უორდროპების სახელი უნდა მივანიჭოთო. დამოუკიდებელ საქართველოში ნამდვილად უნდა გვქონდეს ამ ღირსეული გვარის ღირსეული წარმომადგენლების, ქართველი ერისა და საქართველოს მოამაგე ინგლისელი და-ძმის – მარჯორი და ოლივერ უორდროპების ქუჩა.

რუსუდან კობახიძე,

თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმის  
დირექტორი



ერთი ლექსი

თამაზ ლომიძე

\* \* \*

მოვედი, დედა,  
ყვავილები,  
რაც შენთვის ვკრიფე,  
გზად მშიერ ბატყებს დავუყარე –  
გულმადლიანებს...  
მე დამსხვრეულ და  
გაფანტულ სულს ვემბედი მინდვრად,  
კალთაში გიწყობ...  
სამყარო კი  
ისე ტრიალებს,  
თითქოს მოქცევა დაიწყო და  
ღროს ხელზე იხვევ...  
თითქოს უძღები,  
აუხსნელი ქარაგმა-შვილი

სუნთქვაშეკრული რომ დგახარ და  
ცასავით უმზერ,  
პირველად ნახე –  
დუმილივით ფრთებჩამოშლილი...  
მომხვიე, დედა, ეგ ხელები,  
მტევნები ვაზის,  
შენ ახლა ჰგავხარ  
შემოდგომის ნისლჩამდგარ ედემს...  
დამტოვე შენთან,  
თუ გინდა, რომ  
დავბრუნდე ისევ,  
დამტოვე შენთან  
სიცოცხლემდე რომ  
დ ა მ ე ლ ო დ ო ...



# „გონენანი გონიერსა“

## ზვიად ბაშაზიანი

### გურამ რჩეულიშვილის მოსაგონარი



#### ნაწილი I

გურამ რჩეულიშვილზე ფიქრისას უფრო და უფრო მკვიდრდება ჩემში ერთი აზრი, რომელიც შეეხება ქართულ ხასიათს, ჩვენი ეროვნული ფსიქიკის ერთ თავისებურებას.

ხშირად დასმულა კითხვა: რა არის ქართველი კაცისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი თვისება, რა არის ეს ძირითადი თავისებურება, რომელიც ისტორიულად მოსდგამს ჩვენს ერს და განსაზღვრავს მის ინდივიდუალურ პროფილს? პასუხს იძლევა დაკვირვება რჩეული ქართველი ადამიანების ბიოგრაფიისა, მათი ბედისა, მათი აღსასრულისა. ზოგან აშკარად, ზოგან კი უაღრესად ფარულად ჩანს, რომ ეს თვისებაა მოყვასისათვის თავგანწირვა, მსხვერპლი, საკუთარი სიცოცხლის არად ჩაგდება მოყვასის საკეთილდღეოდ. ჩვენი ისტორიის დიდი გმირები: ვახტანგ გორგასლანი, დავით და კონსტანტინე არგვეთის ერისთავები, დავით აღმაშენებელი, თამარი, დიმიტრი თავდადებული, ცოტნე დადიანი, იოთამ ზედგინიძე, ცხრა ძმა ხერხეულიძეები, თევდორე მღვდელი, ლუარსაბ მეფე, სვიმონ მეფე, ქეთევან წამებულები, სამასი არაგველი, ილია ჭავჭავაძე და სხვანი მრავალნი დიდმოწამენი და წმინდანნი გვიდასტურებენ ამას საოცარი სიციხადით. განსაკვიფრებელია, რომ ამ გალერეას ზედ ერთიანი უცხოელნიც, რომლებშიც საქართველომ აღზარდა ეს გრძნობა. ესენი არიან: წმ. შუშანიკი, წმ. რაჟდენი, ევსტათე მცხეთელი, აბო ტფილელი.\*

ქართულ ენაში არის ერთი გასაოცარი სიტყვა, რომელიც ნათელყოფს, თუ რამდენად ორგანულია ეს შტრიხი ქართველი ერისათვის. ეს არის სიტყვა „გენაცვალე“. აგრეთვე გამოთქმა „შენი ჭირიძე“, რომელ ენას გააჩნია მსგავსი სიტყვები? არც ერთს (აქვე დავსძენ, რომ მზადა ვარ აზრი შევიცვალო, თუ რაიმე კორექტივს მომაწოდებენ ლინგვისტები).

მოყვასისათვის თავგანწირვაშია ქართული ისტორიის პათოსი და როდესაც დაუფიქრდება: რამ მოიყვანა ქართველი ერი დღემდის, რამ გადაარჩინა ისტორიის შემზარავ ქარტეხილებს, რწმუნდები, რომ მხოლოდ და მხოლოდ ამ თავისებურებამ. ეს თვისება სისხლში ჰქონდა გამჯდარი ერს. ეს თითქოსდა თანდაყოლილი, შესისხლხორცებული რამ იყო, და არა გარეგანი, ეთიკური აღზრდის მიღწევა. ამიტომაც აისახა იგი ასეთი შეუდარებელი ძალით ქართულ ლიტერატურაში. განა ამას არ გვიმოწმებს „ვეფხისტყაოსანი“? სად არსებობს უფრო გრანდიოზული აპოლოგია მოყვასისათვის თავგანწირვისა? განა ამასვე არ გვიმოწმებს დანარჩენი ქართული ლიტერატურა? გავიხსენოთ ჩვენი კლასიკოსების გმირები, რა თვისება აერთიანებთ მათ ყველაზე მეტად?

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: ნაციონალური ხასიათის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი აძლევს ტონს ლიტერატურასაც. ასე რომ, მხოლოდ ამ გზით შეიძლება გავარჩიოთ „ნამდვილი“ და „არანამდვილი“ ლიტერატურა. ნამდვილი ლიტერატურა ნაციონალური ხასიათიდან გამომდინარე ღრმავდება და იზრდება ზოგადკაცობრიულისაკენ. ყალბი ლიტერატურა კი ფსევდოზოგადკაცობრიულიდან გზას ვეღარ იკვლევს ვეღარც ნაციონალური ნიადაგისაკენ და ამდენად, უნიადაგო და უსუსური რჩება ყველა სფეროში.

ნამდვილი ქართული ლიტერატურა ცურტაველიდან დღემდის ჩვენი ეროვნული ხასიათის ზემოხსენებული ასპექტით დანახვას, ამიტომაც ეგზომ შინაგანად ორგანული იყო ქრისტიანობა ქართველი ერისთვის. ქართველი ადამიანი დღემდის სისტემატური ჩიჩინის გარეშე ორგანულად, თანდაყოლილად შეიგრძნობდა ევანგელური მოძღვრების სისწორეს და ცხოვრებისეულად ახორციელებდა მას, მისთვის უცხო იყო რაიმე უკიდურესობების გამოვლინება, ფანატიზმი, ან წმინდანობის ნიღაბი, რომლებიც მხოლოდ იქ იჩენს თავს, სადაც რწმენის ნაკლებობაა, ან ქვეცნობიერი დაეჭვება. ნიღაბი იქ ხდება საჭირო, სადაც სახე არ არის. ამიტომაც არა გვაქვს ქართულ ენაში სიტყვა „ypocrite“, „ხანჟა“. სიტყვა „მოწმინდანო“ ხელოვნურადაა შექმნილი. „ხანჟობა“ როგორც ასეთი უცხო იყო იმ ერისთვის, რომელიც მთლიანად, როგორც ერთი კაცი, ეწამა ქრისტიანული რწმენისათვის, რომელმაც წარმოშვა ათი ათასობით მოწამეები, რომელმაც თავის ისტორიულ ამოცანად დაისახა ქრისტიანული იდეალის განხორციელება ცხოვრებაში, აზროვნებასა და ხელოვნებაში.

ამ ფაქტის ვერგაგებას ემყარება რუსთაველის ქრისტიანობის უარყოფაც. ქრისტიანული ლიტერატურის უცილობელ ატრიბუტად ზოგიერთს მიაჩნია დიდაქტიური ქადაგება დღემდისა. რუსთაველის პოემაში ქრისტიანობა შინაგანი, ცხოვრებისეული მამოძრავებელი ძალაა. იგი იმდენად ორგანულია ავტორისათვისაც და მისი გმირებისთვისაც, რომ არ საჭიროებს მათის მხრივ დღემდის შესახებ თეორეტიზებას. იგი მათ სისხლშია, მათ ძარღვებში, მათ სუნთქვაში. გალაკტიონმა თქვა: „წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაქართული“. რუსთაველი კი უთუოდ დასძენდა: „წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაქრისტიანული“.

(დასასრული მომდევნო ნომერში)

მასალა მოამზადა **სოფიო ჯაფარიძემ**



### რეკაზ ინანიშვილის „სამაგილო რვეულებიდან“

„ჩვენ უკვე ნაკლებად გვჯერა სილამაზის ძალისა. ეს იმიტომ, რომ ვერ ვასწრებთ, ჩავწვდეთ ნამდვილ სილამაზეს, ძალიან „დაკავებულები ვართ“ რაღაც უფრო მნიშვნელოვანებით“.

„სამყაროს პოეტური აღქმა წყაროა ტკივილებისა. სხვაზე რომ არაფერი ითქვას, მშვენიერება ხომ თვითონ შეიცავს ტკივილს. მაგრამ იგივე აღქმა წყაროა სიმტკიცისა. ესაა სწორედ ის, რაიც მშველის, რომ არ გაგბოროტდეს. მამადავითის თავზე ხეების კენწეროზე წამოღებულ ნისლს შეუძლია ბევრი რამ მაპატიებინოს ბევრისათვის“.

„თავგზას მიბნევს დიდი მასშტაბის ნგრევები, რომელთა საფუძველზე შემდეგში უნდა აღმოცენდეს ახალი დიდი ნაგებობანი. აქედან მომდინარეობს, ეტყობა ის მორიდებულობაც, რომანს რომ არ ვეჭვიდები არასოდეს“.

„ოცდათხუთმეტის არ არის და უკვე ისეთი მშვიდი, ისეთი ყოვლისმზილველი, ყოვლისგანმცდელი თვალები აქვს, შიში ავიტანს მის მაყურებელს. წინწკალს, წინწკალს ვერ აღმოუჩენ ოცნებისას, ნატვრისას, უამისოდ კი ქალის თვალების სილამაზე ვინ თქვა“!



\* \* \*

ჩემი თეთრი გვირილების  
 მზისკენ მზერა,  
 ჩემი ლურჯი კესანების  
 სიმორცხვე,  
 იისფერად, ვარდის ფერად,  
 ნათლის ფერად,  
 ფანჯარასთან ამიციკვდა  
 სიცოცხლე...  
 მზე მეღვრება ხელისგულზე  
 სიამით და  
 სულში ბავშვის თვალებს ახელს  
 სინაზე,  
 თმას მიწეწავს დილის ცელქი  
 ნიავი და  
 ნამი ბრწყინავს ჩემი ფანჯრის  
 მინაზე.  
 ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო  
 ზმანებები,  
 მზე შინა თუ მზე გარეთა, –  
 დაობენ...  
 აბა სევდას რანაირად  
 დაენებდები,  
 როცა სულში გვირილები  
 ხარობენ...  
 სხვა სამოთხის არცა მწამს და  
 არცა მჯერა,  
 არცრა მეტი სიამისთვის  
 ვილოცე...  
 ჩემი თეთრი გვირილების  
 მზისკენ მზერა,  
 ჩემი თეთრი კესანების  
 სიმორცხვე...

\* \* \*

შენ არც კი მიცნობ, შენ არ იცნობ  
 ჩემს გზებს და  
 სავალს,  
 არც არასოდეს არ მყოლიხარ  
 სულთან  
 ზიარად,  
 ნუ დამაყოვნებ, წამსვლელი ვარ  
 და მაინც  
 წავალ,  
 დღეს მაქვს სურვილი, რომ  
 ავიხსნა  
 თავაზიანად: –  
 დედამიწაზე ხეტიალმა  
 იცის  
 ამგვარი  
 უხერხული და უცნაური  
 არევა  
 გზების,  
 და უფერულად რომ მთავრდება  
 მერე  
 ამბავი,  
 და გული როცა აღარ გიცემს  
 ჩვეული  
 გზებით,  
 – წახვიდე უნდა! – მე მივდივარ, –  
 ვიცი  
 გადაჭრით,  
 ნუ დამაყოვნებ სიბრალულის  
 გამო,  
 ბატონო,  
 ჩვენ ვერ შევძელით, ვერ ვიცოცხლეთ  
 და ვერ  
 გადავრჩით...  
 მივდივარ, ვწუხვარ, უბოდიშოდ  
 უნდა  
 დაგტოვო...

\* \* \*

დღეს მინდა მზე და ლურჯი დარები,  
 დღეს, თორემ მერე, იქნებ, არც ღირდეს,  
 შენ სიყვარულის ნიაღვარებით  
 გულზე გადავლას უნდა დამპირდე.  
 უნდა დამპირდე მოსვლას და მერე  
 სულში ლურჯთვალა სიზმრად ჩარჩენას,  
 მოდი და მზისფერ ლექსებად მწერე,  
 სტრიქონში ღირდეს ეგებ, დარჩენა.  
 ამომიტანე მთაში სურნელი,  
 აყვავებული იასამანის,  
 და სევდა ჩემი, განუკურნელი,  
 და სული ჩემი, მზისკენ მაგალი,  
 ნესტიან ღამეს შეიშრობს ფრთებზე,  
 ამომზევდება აპრილის მზეში,  
 და ცისარტყელად გაწვება მთებზე  
 ჭრელი ზღაპრების თავსხმა და თქეში...  
 ახლა მჭირდება... შენი თვალების,  
 შავი თვალების ხანძრები მჭირდეს...  
 დღეს მინდა მზე და ლურჯი დარები,  
 დღეს, თორემ მერე, იქნებ, არც ღირდეს...

\* \* \*

მსაყვედურობენ  
 ტკივილის გამო და  
 ტირილის გამო და...  
 სიცოცხლის გამოც!  
 არადა, რაც ტივი  
 ბავშვობას გამოსცდა,  
 მიტარებს ცხოვრება  
 უმკაცრეს  
 გამოცდას...  
 ...არცერთი მისხალი,  
 არცერთი წვეთი და  
 არცერთი კურცხალი  
 ყალბი და  
 უგვანო...  
 ბედისგან სასჯელად  
 რაც ჩემად ვიცანი,  
 — მას ვრითმავ,  
 უბრალოდ!..

\* \* \*

შენს თვალებს, შავსა და უძიროს,  
 მიწა ჭამს, ხარბი და უწყალო,  
 ღამე წუხს, თეთრი და უძილო,  
 სიმშვიდე მაღირსე, უფალო!  
 შენს თვალებს, ნათელს და სევდიანს,  
 ვივონებ, ვცდილობ და ვშფოთავ და...  
 საფლავთან ღანდები სხდებიან,  
 საფლავთან სიცოცხლე მოთქვამდა...  
 შენს თვალებს, ანთებულ კელაპტრებს,  
 ჩარჩოდან გადმოსვლა სწადიათ,  
 დღეები ვერ ცვლიან ვერაფერს,  
 დღეები წუხილში გადიან...  
 შენს თვალებს, შავსა და უძიროს,  
 სინათლეს, სიმშვიდეს ამ თვალთა,  
 მსურს, ისევე ვენდო და ვუმზირო,  
 ზღაპარი შეწყდა და დამთავრდა...  
 თვალებს კი, ნათელს და მზიანებს,  
 მიწა სჭამს, ხარბი და უწყალო,  
 უწამლე ამ გულის იარებს,  
 სიმშვიდე მაღირსე, უფალო!

სიზმრებს შემაფარე, ლამარია

ამაღამ დოღრისპირებს შევუყვები,  
 ოცნება მსუბუქი და ფრთამაღია,  
 ბავშვობის ბილიკებს შევუდგები,  
 ბავშვობას დავისიზმრებ, ლამარია...  
 ამაღამ მინდვრებიდან მონაბერი  
 ნიავი მუხლისთავეს ამილოკავს,  
 გულმა თუ ღვარცოფებად მონადენი  
 დოღრის ჩანჩქერები დაიოკა...  
 ამაღამ ვინახულებ სასაფლაოს,  
 ლექსებად ჩავუთბები მამაჩემს,  
 ეგებ, სევდის ფერი გავაცალო  
 ბედის ნაბოძარს და განაჩენს...  
 ამაღამ გულს ვიჯერებ, ლამარია,  
 ბავშვობის სიტკბოთი და ფერებით,  
 ახლა ყველაფერზე მთავარია,  
 სიზმრად შემაშველო ხელები...  
 დოღრისპირს შევუყვები უჩინარი,  
 ოცნება მსუბუქი და ფრთამაღია,  
 ცხადი თუ მკაცრია და სუსხიანი,  
 სიზმრებს შემაფარე, ლამარია...

(ლამარია — წმინდა მარიამი. სვან.)



\* \* \*

მთათა სითეთრეში ცისკრის ანგელოზი  
კოშკის ქონგურიდან გადაფრინდა...  
ბეთქილ! მიმეგზურე ალიონზე,  
ბეთქილ! ჭიუხებში წასვლა მინდა!  
ვერცხლი დაიღვრება ბილიკებზე  
ზეცის დანისლული თვალებიდან,  
თვლემენ თოგორაზე ღვეები და  
ყბები დაელაღათ მთქნარებისგან...  
მოდის, შემომფიცე და-ძმობა და  
მთებში გამიყოლე დადნაფიცია,  
ფეხზე წრიაპები მოვირგე და  
ტანზე ასალუხი გადავიცვი...  
მოდის, ჯიხვებია მჟავე წყლებთან,  
იქნებ, მიგვიახლონ მწყურვალეები,  
თორემ დაიღია ბარში ყოფნით,  
გული – დაიღალა მჭმუნვარებით..  
ხელი შემაშველე ციცაბოზე,  
კლდის ქიმს ცალი ხელით დაეკიდე,  
ჟინი თუ მოგივლის ნადირობის,  
თეთრ შუნს ქარაფებზე გაეკიდე...  
მხრებზე გადადებულ ნანადირევს,  
შუბლზე მზის აღმური ასდიოდეს,  
მთებზე გადაფრენილ ექოებად  
ორბი მოჰყოდეს ათიოდე!  
დალი გადმოივლის პიტალოებს,  
ნდომით შეგხედავს და გაგეცლება...  
...ბეთქილ! დღეს თუ თან არ გამიყოლებ,  
მერე მთებისათვის არ მეცლება...

# ეკატერინე ბაზერაშვილი



ეკატერინე ბაზერაშვილი წარმოშობით ქიზიყიდანაა. დაიბადა თბილისში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა – ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, ასპირანტურის ჩათვლით. ამჟამად უნივერსიტეტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელია. რომან „მალვიძარას“, ერთი ნოველის და ლექსების ავტორია.

2006 წელს მწერალთა კავშირში ეკატერინე ბაზერაშვილის შემოქმედებითი დებიუტი შედგა. მან პირველი კრებული უსახსოვრა მოწვეულ სტუმრებს.

მან დაამთავრა ზ. ფაღიაშვილის სახელობის მეორე საბუნების-სასწავლებელი. ვოკალს ასწავლიდა აწ გარდაცვლილი დიდი ქართველი ლოტბარი, ბატონი სულიკო კოროშინაძე. სადებიუტო წარმატება მან ძმის, თედოს ხსოვნას მიუძღვნა, რომელიც ერთი წლის გარდაცვლილი იყო. იგი ამ ტრაგედიის შემდეგ პირველად გამოჩნდა აუდიტორიის წინაშე. მან გადაწყვიტა – ძმის სულის უკვდავსაყოფად და მის საპატრივსაცემოდ, ისევ გაეგრძელებინა სიმღერა...

ბოლო ორი წელია, დაწერა საკუთარ ტექსტებზე რამდენიმე სიმღერა. ერთ-ერთი საპატრიარქოს სტუდიაში ბატონი მერაბ მამულაშვილის არანჟირებით ჩაწერა.

2012 წელს ნ. დუმბაძის სახელობის თეატრში მისი პერსონალური შემოქმედებითი საღამო გაიმართა. შემოსული შემოწირულობა გადაერიცხა მუხიანის წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის მშენებარე ტაძარს.

ამა წლის 21 მაისს თბილისის წმინდა სამების საკათედრო ტაძარში, საპატრიარქოს ახალგაზრდული განვითარების ცენტრის თანადგომით, გაიმართა ეკატერინე ბაზერაშვილის ლექსების, კაფიებისა და სიმღერების კრებულის „მელანცხებულის“ წარდგინება. წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობა „კალმოსანში“ (რედაქტორი მაია მიქაია). ფინანსური მხარდაჭერები: სავაჭრო ცენტრ „საბას“ მფლობელი ბატონი პაატა კაჭარავა, ივანე ვეფხვაძე და ეკას ძმა, გიორგი ბაზერაშვილი. კრებულისთვის რეცენზიები მოამზადეს პოეტებმა: ერეკლე საღლიანმა, თემურ ჩალაბაშვილმა, მაია მიქაიამ, იზა ვეფხვაძემ; მუსიკოსებმა: ნინო ჯავახიძემ და გიორგი სამარღანიშვილმა. კრებულის გარეკანი ეკუთვნის მხატვარ ქეთი ჯავახიძეს. კრებული პოეტმა ისევ თედოს ხსოვნას მიუძღვნა, ხოლო წიგნების რეალიზაციიდან შემოსულ თანხა სრულად ჩაურიცხა ისევ ზემოთ ხსენებულ ტაძარს. ამჟამად უნივერსიტეტის გარდა მუშაობს ნ4-ე საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებლად და აქტიურად აგრძელებს სამეცნიერო თუ პოეტურ მოღვაწეობას.

ვთავაზობთ ეკატერინე ბაზერაშვილის შემოქმედებიდან რამდენიმე ლექსს:

## გრძნობის კულმინაცია

რა ციოდა სულში!.. ცა კი  
ღვრიდა მოტკბო რაციონს,  
საზღვარს უკვე მივაღეპი  
ნაზად კულმინაციურს!  
დამპირდი და პირმღუმარედ  
დავღუმდი პირამდინ და  
პირმცინარი, პირაღმართად  
აიჭრა პირამიდა...  
თანამგზავრო, თანასხივო,  
რად ასხვისებ მაგ სხივებს?  
შორიდანაც, შორეულო,  
შორ-შორ ხედვას მასხივებ...  
გაისუსე?! სუსე... სუ! სი...  
სიყვარულით სამღერო,  
რა? ვინ? რავი... რა ვიცოდი,  
ნერვი როგორ დავღერო;

ღერა-ღერა აგიკინძავ,  
ოდეს რაც ითავისე,  
ვისი? ვისით? ვინ გაბედა,  
ბედი განდო თავისი?!  
მისაბადო, მისალოცო,  
ლოცვავ მისატევებო,  
შენი მზერით შევსებულო  
ვეებერთელა მტევნებო!..  
ჩამო! ჩა-მო!.. ჩამოასხი,  
სიტკბოებით შევთვერი,  
თრობით გადახუნებული  
თვალეები მაქვს შენფერი!  
ფერი-ფერსა... ფერწასულო,  
ფერი გედო სიცოცხლის  
და თუ მოგენატრებოდი,  
ეს მე აღარ ვიცოდი!

ნულარ მისხამ! ნუ დამისხამ!  
 მისხალ-მისხალ ვიცლები!..  
 ცვლილებებით გამოცვლილი  
 უცებ გარდავიცვლები...  
 გადმო, გადმოიარე და  
 გადმოშალე აზრები,  
 აზრშესხმულო, აზრგულადო,  
 ავრე რად მიბრაზდები?..  
 ადე! ადგი ფეხები და  
 ფეხმარდობით მეწვიე...  
 მიერთგულე და ამითი  
 უცებ წამომეწიე!  
 მერე მთვალე, მითვალთვალე,  
 მიმესვენე თვალებით,  
 სანამ სევდამ თვალებდიად  
 დამითვალა ვალები...  
 თვალ-წამწამო... წამო, წამით  
 წამიყვანე აქედან,  
 აქეთ, ა-ქეეთ! აქეთ ვცხოვრობ,  
 ამ ქვეყანას აქებენ!  
 ქებამ თუ არ დამაბრძავა,  
 ბრმა ვარ – მზერას ამიხელ!  
 ამინ! – ვთქვი და მერე ისევ  
 სულ სხვა მხარეს წამიხველ!..  
 დამცეს მუხლზე?.. ტყვიაც დამცეს?..  
 ავყევ პეპლებს და მწერებს?  
 არა! – ველარ გამოგგლიჯე  
 შენი ბედის დამწერელს!

### ს ხ ი ვ ი

ვუძღვნი უწმინდესს  
 აღსაყდრებიდან 32–ე წლისთავზე

მიყვარს სხივი,  
 სხივი მზისა,  
 სხივი თქვენი თვალებისა;  
 სხივი გრძნობის,  
 სიკეთისა,  
 სხივი სულთა გადაბმისა;  
 სხივი მიყვარს  
 მომავლისა,  
 ტაძრიდანა მომავლისა;  
 სხივი დიდი  
 მეურვისა  
 (და) ილია მეორისა;  
 მომწონს ხალხში  
 სხივი მთისა –  
 მეგობრული მეუღლისა;  
 წრფელი სხივი  
 მიყვარს სხვისაც,  
 სხივი თქვენი სიტყვებისაც;

სხივი თან აქვს,  
 არვის მისცა,  
 დაულამდა გზაში ვისაც;  
 სხივი მიყვარს  
 შორის რისა? –  
 დიდისა და პატარისა;  
 მიყვარს კიდეც  
 ჯვრისწერისა,  
 სხივი თეთრი ქორწილისა;  
 სხივი ერის,  
 თუ ბერისა,  
 მაკრობს სხივი იბერისა!  
 მიყვარს სხივი,  
 სხივი ღირსად,  
 მწამს სამშობლოს თეთრი დღისა!  
 სხივი მიყვარს  
 ან აფრისა...  
 მანვეს სხივი არაფრისა;  
 ჰოდა, მიყვარს  
 ყველა სხივი,  
 ჭეშმარიტის ყველაფრისა!  
 სიცოცხლის და  
 ღიმილისა,  
 შუბლზე სხივი მირონისა;  
 სხივი მიყვარს  
 ჯანსაღ ხისა,  
 გაუთელელ ბალახისა;  
 დამაქვს სხივი  
 ცრემლებისა,  
 სხივი ედგეს გარდაცვლილსა;  
 სხივი მიყვარს  
 სხივი ცისა,  
 ღამე მთვარეც სხივებს სცრისა;  
 მიყვარს სხივი  
 ოცნებისა,  
 სხივი ფერთა გამებისა;  
 მიყვარს სხივი  
 ხარებისა,  
 სხივი წმინდა სამებისა!  
 სხივი მიყვარს  
 ობლებისა,  
 სხივი ჩემი მშობლებისა;  
 ზეცას სხივი –  
 მამის, ძისა,  
 აქ კი სხივი – ჩემი ძმისა;  
 მიყვარს სხივი  
 მგალობლის და  
 გედის თეთრი ბუმბულისა;  
 უღედმამოს  
 შვილობისა...  
 მიყვარს სხივი მშვიდობისა!

## მელანცხებული

მდღერი მინდორი  
მოიფინება მოლალურებით,  
მორცხვი მიზეზი მოაზროვნედ  
მზერაში მხნედ მაქვს...  
მთვარე მანდილებს  
მომაფარებს მოლამუნებით,  
მორინდებული მარჯნისფერით  
მომიცვა მხრებმა;  
მუნჯ მყუდროებას  
მერამდენედ მირღვევს მელანი,  
მარგალიტებსაც მარცვალ-მარცვალ  
მომითვლის, მალავს...  
მოსალამოვდა, მოვაჭენე  
მარდი მერანი,  
მოვირგე მე-ში მოტკაცუნე  
მეშვიდე მალა;  
მიტევებები მოვითვალე  
მწიფე მსხლებივით,  
მწუხარებები მეგონა  
მსვამდნენ მორიდებულად,  
მსურდა მეფრინა,  
მეკეიფა მუდამ მსმელივით,  
მეც მყვარებოდა,  
მერე მაინც მომინდებოდა.  
მომისმენთ, მჯერა,  
მოშორებით მოჩანს მსგავსება,  
მწირი მოთხრობა მიმიძღვნია  
მხოლოდ მზისათვის,  
მამსუბუქებდა, მათობდა, მჭამდა,  
მაინც მავსებდა...  
მალლიდან მთხოვეს  
მიტევება მხდალი მტრისათვის;  
მლოცველთან მივალთ,  
მონასტერში მაცვეს, მაპურეს...  
მაპული მრწამსით  
მოვილოცოთ მონანიებით,  
მოსიყვარულე მოძღვრის მკლავი  
მირონს მაპკურებს,  
მოგვებრუნდება მოგლეჯილი  
მიწის მილები...  
მერე მინდორნიც მოირთავენ  
მკერდებს მე-სავით,  
მომღიმარ მერცხლებს  
მესრებზე მოვსხამ მელლოდიურად,  
მხატვარ-მიჯნურნი  
მოაჯირებს მომილესავენ...  
მელანცხებული  
მიმეგობრეთ მარადიულად.

## ქიზიყურ მოტივებზე

სიმწიფე შემეებარა  
ჩემი მასპინძლი ვენახებ,  
გულზე შამადგა წადილი,  
ნეტად ერთხელაც მენახე!  
ფორედ წყაროზე გნახამდი,  
წყურვილ მამიკლამ გრძნობისად,  
ვერავენ აღმოაჩინე  
აქ შენი გარეგნობისა!  
არადა მახსოვს, რალა დროდ,  
მეგობრობა რომ შავფიცე...  
თუ გინდა ცოცხალ მამისწრო,  
მამხედე, ჩემ თავ გაფიცე!  
ახლა რა წყალში შავვარდე,  
რად შამამინდი საფიქრად?  
შენ რო შამოხველ საგულედ,  
იმ წუთად სხვა მზე ჩამიქრა!  
თავ შავახსენებ მორცხვად,  
იქნებ შენც ამად ელოდი?  
მაგ მოქარგული სიტყვებით  
უღიმილობად შველოდი!..  
ერთიც ჩამოვკრა ჩანგურზე,  
მინდა გიმღერო, გაამო,  
ამ გაგანია სიცხეში  
შენ დადქრი სიო საამოდ!  
პასუხზე დეგელოდები,  
ამ ლოდინ წლები შავლიე...  
არადა შავი, კახური  
სულ ერთი ჭიქა დავლიე!  
მივხვდი რასად გავ ტრფიალი –  
თურმე ყოფილა მაჭარი,  
სევდა მკლამს ოხერტიალი,  
პირზე ავიკრამ ბაწარი;  
თუ არ გიყვარვარ, გემეცა,  
ამ უთქმელობამ შამიკლა,  
მითხარ, ჯო, სულ არ გეგექცე,  
ალაზან თავ ვინ მაიკლამს?!  
მაინც მე გეტრფი შორიდან,  
ახლოდ სიმღერით დავცხება,  
სხვა გზასაც ვერ იშოვნე და  
მაკოცო, ეგეც შავრცხვება!  
ყველა ხელსაქმედ გადავდებ,  
წეგეჩხუბები შართა,  
ის მაინცა თქვი სხვად დადდე,  
ცოლადაც იმად შაირთამ...  
პასუხზე დეგელოდები,  
ამ ლოდინ წლები შავლიე.  
არადა, ქარვი მაჭარი  
სულ ერთი ჭიქა დავლიე!



## ჩემი სიცილი

(ანუ დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი)

მეც მყვარებოდა – მკლავდა სურვილი,  
რა ვქნა, თუ დღენი დიოდნენ მდორედ?..  
ახლა გვაფხიზლებს წვიმის სურნელი  
და მეც ვიციანი ნოტებით: დო, რე...  
ვიციანი, ვხედავ, გახარებ ამით,  
ტონი იცვლება ნოტებით: მი, ფა...  
ღრო მაშინ კრთება სულ ერთი წამით,  
ქარიც დატოვებს ნეკერჩხალს, იფანს...  
მე შენში ვხედავ მომავლის საყრდენს,  
რატომღაც შენც კი მიწონებ ფასონს,  
ჰა, აშენებენ დიდებულ საყდარს,  
ჩვენს ერთ კენჭს დავდებთ სიცილით: ფა, სოლ...  
სიტყვებს არ შვენივთ ჰაერში სროლა,  
შენს გვერდით ღროის შეგრძნებას ვკარგავ,  
ასე მგონია. ვიციანი: სოლ, ლა...  
და მარადიულ სიყვარულს ვქარგავ.  
თუ არავინ გვყავს ერთურთის ფასი,  
თუ ეს ზაფხული სჯობია წინას,  
სულს უხარია ნოტებით: ფა, სი...  
ამ სიხარულით დავესწროთ წირვას...  
რადგან მიპოვე, ღროის მეგზურო,  
რადგან მე შენით ვიციანი – სი, დო...  
მე ისე მინდა შენზე ვიზრუნო –  
ბედნიერება ორივემ ვზიდოთ!

\* \* \*

ნაპირს მივუყვები ფეხ და ფიქრშიშველი,  
ახლა წყალში შესვლაც ჩემთვის ალაღია,  
მზემ დღეს ცალი ლოყა ისე მომიშვირა,  
ჩემი სულისანი შორს ხომ არ არიან?!  
ამა სოფლის ტალღამ წამი დიდხანს ღეჭა,  
ნაპირს გადასული შორეთს ვიყურები,  
ზეცას ვერ გაუქრა მხოლოდ ერთი ღრიჭო -  
რადღად ვიდარდოთ და გავხრათ რიკულები?..  
გულზე დამადექი უმი ლუკმასავით,  
მე კი მაინც მოსვლა შენთან დავაპირე,  
იმედშემორღვეულს რწმენას მიკემსავდი,  
შენით დაიტბორა ჩემი სანაპირო...  
მე ხომ სირინოზთა ჯგუფმა გამომრიცა,  
ცოდვის შუქურასაც გვერდით ჩავეუარე,  
ვიგრძენ სინანული, ეს რის გამო იყო  
და დღეს შენით ტკბობა რადღად ვიუარო?

ნაპირს მივუყვებით სულ და ფეხშიშველნი,  
გულზე დაგეკიდე უფლის ჯვარცმასავით...



\* \* \*

მე (ც) მენატრებიო,  
მომწერე ერთხელ...  
ყველა სხვა ფურცელს  
სიყვითლე შეჰპარვია,  
აღბათ, მონატრება  
დიდხანს ყვავილობს.

\* \* \*

ჩვენ შორის სიცარიელე  
ისეთი დიდია და, ამავე დროს, პატარა,  
სულ ერთი სიტყვა ამოავსებდა:  
მიყვარხარ.

\* \* \*

შვილი – გული,  
შვილიშვილი – გულისწვერიო,  
გამიგონია,  
გულისწვერიდან მეწყება ტკივილი...  
დედაო – ამბობს პატარა...  
მამის სახე ჩარჩოში ჰკიდია.

\* \* \*

ვალე კარადას,  
დღეები ჰკიდია თაროზე,  
გაყვითლებულებს ნაფტალინის  
სუნი აქვთ.  
გამოვაზამთრებ,  
იქნებ გაზაფხულზე დაიყვავილონ.

\* \* \*

ჩარჩოში ჩავსვი ჩემი სხეული,  
ოდესმე საფლავის ქვად გადავიქცევი.

\* \* \*

მოსადამოვდა,  
უფრო სწორედ უკვე ღამეა...  
ფეხმოჭრილი საწოლისაკენ  
ხელმკლავით მიმაცვილებს ჩემი  
მარტოობა.

სიტყვები გაგეფანტა,  
რა მძიმე ყოფილა  
საბელშებმული მარტოობა,  
ცრემლები გაგიშრა,  
ვერა და ვერ გაღვივდა ტრიალ  
მინდორში დათესილი  
შენი სიყვარული,  
წლები გაგიფრინდა,  
სარკეში უკულმა არეკლილი  
შენი ცხოვრება

მითია,  
რომელიც წარსულსაც კი არ დარჩება,  
სხეული დაგიმძიმდა,  
ეს სიბერე კი არა,  
აუზღენელი ოცნებების ტვირთია  
ვერა და ვერ შეგისრულა ჯინმა  
(თუმცა ეს ჯინიც არასოდეს ყოფილა).

შენი ოთახის კედლებზე  
დახატული მომაგალი  
მხოლოდ ერთი გაცრეცილი ფურცელია,  
სულს შეუბერავ და გაიფანტება,  
სასახლე, ვისთვისაც ააშენე,  
ის საკუთარ სამყოფელშია ჩაკეტილი,  
რატომ გგონია, რომ კარებს გაგიღებს,  
მას კი, ვინც ამ სასახლეშია,  
არასოდეს დაუნახავს შენში  
დედოფალი,  
მხოლოდ ერთი უბრალო  
მსახური იყავი.  
შენმა პრინცმა

დაგვიანებული გაზაფხულივთ გადაუარა  
ამ სასახლეს.

კარი გამოიჯახუნე,  
ეს სასახლე არასოდეს ყოფილა შენი,  
იქნებ იპოვო ციციანათელების ქვეყანა...  
სიტყვები გაგეფანტა,  
უბრალოდ ვერ გაიგეს შენი ძახილი.  
შიშველ სხეულზე ეკლიანი კაბა ჩაიცვი,  
და სისხლის წვეთებით  
დატოვე გზავნილი, –  
ეგებ წაიკითხონ.

\* \* \*

არაფერი შეცვლილი,  
ისევ ის პატარა გოგო ხარ

ფანჯრის მინაზე ცხვირმიბჯენილი რომ  
ელოდა თოვლის დედოფალს,  
მერე კი კონკიას ხატავდა და  
ზღაპარს ყვებოდა უფლისწულზე.  
არაფერი შეცვლილა,  
ბავშვობა გამოყოლილი სიზმრებით  
საზრდობ ისევ  
და ელოდები, როდის გაჩუქებენ სამ კაკალს,  
ნატვრა რომ აისრულო.  
შენი ბავშვობის ოთახი გენატრება  
და იასამანის სურნელი,  
ქალღმერთის გაყვითლებულ ნაგლეჯზე  
დატეულა დიდი ისტორია  
ზღვისპირეთის უფლისწულზე.  
შენი სული ისევ მეოცნებე და სათუთია,  
ბოროტ მოქანდაკეს უნდოდა ქვად ექცია.  
აპრილი მოსულა,  
შენ ყიდულობ იებს და ლარნაკში აწყობ...  
ცალუღელა ხარივით  
მიერეკები ცხოვრებას  
და იხურება ზღაპრის წიგნი.  
ოცნებები ვერ თუ არ სრულდება  
და დამჭკნარი იასამანის სურნელი  
მოაქვს ქარს,  
რომელიც შენი ერთგული მეგობარია.  
არაფერი შეცვლილა,  
შენ ისევ მეოცნებე სული გაქვს...  
დრო კი უღმობლად კეცავს საათებს.

\* \* \*

წლები სწრაფად გაირბენსო,  
უთხრეს...  
მან კი ეს დრო წუთებად დაყო,  
ძალიან შორი იყო დასასრულამდე.  
თავი დაღუნა,  
მთრთოლავ სხეულზე მჭიდროდ მიიკრა  
შვილი,  
რომლის თვალებში ჯერ არ სახლობდა  
მამა...  
და ასე დარჩა უსასრულო გზის  
დასაწყისში  
ტუსაღის ცოლი.  
შვილის მაგივრად დაწერილი ლექსი  
წლებია  
სარკეში ირეკლება დედის თვალები  
და მუჭში მომწვედელი ცრემლი  
უბეში პოულობს ადგილს...  
დედა-ჩემი კი დგას თმაგაშლილი,

როგორც ქანდაკება  
და ტკივილშემხმარი თვალებით  
უყურებს წარსულს.  
ჩვენ, ორი წყვილი თვალი  
მეხამრიდება ვქცეულვართ...  
დედის თბილი ხელისგული  
გვეხება თმებზე  
და ყელში ერხირება სიტყვები:  
„ყველაფერი კარგადაა“.  
მე ვიცი, რომ ეს მყიფე სიტყვებია,  
რომ ტკივილიანია მისი ყველა დილა...  
წლებია,  
ფანჯრის მინაზე შრება დედის თვალები  
და ზურგზე ხურჯინივით  
ჰკიდია მარტოობა.

\* \* \*

ჩემი ფანჯრის რაფაზე  
წითლად იწვის  
ბალბა – ბავშვობის ყვავილი,  
წყალი მომაპკურეო...  
მეც წითელი კაბა მაცვია  
და შენ გეძახი,  
მოდი,  
სანამ დავიფერფლები (თ).

\* \* \*

მოსალამოვდა,  
უფრო სწორედ უკვე ღამეა...  
ფეხმოჭრილი საწოლისაკენ  
ხელმკლავით მიმაცილებს ჩემი მარ-  
ტოობა.

\* \* \*

ჩემი ცხოვრების შემოდგომაა,  
ბელურა ჩიტი –  
მოზუზული და გაყინული...  
ფეხებს მითბილავს მომავალი,  
ჯერ არ მოსული ჩემთან...  
კედლებიდან მიყურებს  
სალვადორ დალი...  
ვერასოდეს ამოვხსნი.  
ოთახს ავსებს ვივალდი...  
ოპერის აჩრდილია ჩემთან.  
მომეხვიე მხრებზე  
და დამხატე სიტყვებით  
(როგორც მოდილიანმა ჟანა)  
სანამ გარდავიცვლები(თ)  
მე და ჩემი ფიქრები.

# ჯუბილიანი ჩიშახიანი

## ფრაგმენტები ამერიკული დღიურიდან

ვინ არის ჯუბილიანი ლეჟავა?!



ლეგენდარული ქართველი ველომოგზაური და მსოფლიოს რეკორდსმენი ჯუბილიანი ლეჟავა 75 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ჯუბილიანი ლეჟავა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბუნების დაცვის ელჩი იყო, 2009 წელს მსოფლიოს წლის ადამიანად დაასახელეს. თბილისისა და რუსთავის საპატიო მოქალაქე დაჯილდოებული იყო ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით, ასევე, ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო ნიკოლაძის მედლებით. მინიჭებული ჰქონდა „სპორტის რაინდის“ წოდება.

ჯუბილიანი ლეჟავამ 1993 წლიდან 2002 წლის ჩათვლით მსოფლიოს შედიგე კონტინენტის 240 ქვეყანაში ველოსიპედით იმოგზაურა და გახდა პირველი, ვინც ეს მოახერხა – უწყვეტად 3333 დღის განმავლობაში გაიარა 285 ათასი კილომეტრი. გარდა ამისა, მან არაერთი მსოფლიო რეკორდი დაამყარა იატაკიდან მკლავებზე აზიდვაში.

ჯუბილიანი ჯიშკარიანის ეს ჩანაწერი სწორედ ჯუბილიანი ლეჟავას პიროვნებას წარმოაჩენს.

**გია ვოლსკი** – გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს წარმომადგენლის მოადგილე, საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი:

– იმ დღეს გაეროს შტაბბინაში ჩატარებული მორიგი შეხვედრიდან დაებრუნდი. ჩვენი წარმომადგენლობის ერთ-ერთი ოთახი უცხო პირს დაეკავებინა. მაგიდაზე მსოფლიოს რუკა გაეშალა და მარკერით რაღაც ხაზებს ავლებდა. იმ დროს შევედი, გობის უდაბნოზე რომ გაავლო ხაზი. იგი ველომოგზაური ჯუბილიანი ლეჟავა აღმოჩნდა, წყნარი, თავმდაბალი, უადრესად გაწონასწორებული პიროვნება.

ინჟინერ-კონსტრუქტორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, გინესის მრავალგზის რეკორდსმენი ჯუბილიანი ლეჟავა, რომელსაც მოგზაურობის დევიზად რუსთაველის „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“ –

აერჩია, სახალხო დიპლომატიის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა. მას უკვე მოეწყო აზია, ავსტრალია, ოკეანეთის ქვეყნები და ამერიკაში შთაბეჭდილებებით დატვირთული ჩამოვიდა.

გაეროში საქართველოს წარმომადგენლის, ბატონი პეტრე ჩხეიძის დავალებით გაეროს საზოგადოებრივი ინფორმაციის დეპარტამენტს მივმართეთ პრესკონფერენციის თაობაზე.

გაეროში აკრედიტებული ჟურნალისტები მაღალი კასტაა. ისინი მსოფლიოში მიმდინარე ძირითადი მოვლენებისა და პროცესების საქმის კურსში არიან. მათი დაინტერესება მნიშვნელოვანი იყო.

წინასწარ ყველას გაეუგზავნეთ პრესრელიზი ბატონი ჯუბილიანის მოგზაურობის შესახებ. გაეროს პრინციპებთან მისი აზრების სიახლოვეზეც აღვნიშნეთ.

დღემდე არც ერთ ოფიციალურ პირთან შესახვედრად არ შეგვეკრიბა ამდენი ჟურნალისტი.

ქართულ ოლიმპიურ სპორტულ კოსტუმში გამოწყობილი ბატონი ჯუბილიანი საკონფერენციო დარბაზში შევიყვანეთ, ველოსიპედით, მასზე დამაგრებული სრული კეპიპირებით. უამრავი ჟურნალისტი მოვიდა. ზოგიც პრესცენტრებიდან, შიდა საკაბელო ტელევიზიით აღევნებდა თვალს. გაეროს სამდივნოს სხვა თანამშრომლებიც მოვიდნენ. გვსურდა ბატონი ჯუბილიანის შემართებისა და თავდადებისთვის ცოტაოდენი პოლიტიკური ელფერიც მიგვეცა, და მართებულიც იქნებოდა!

პრესკონფერენციის დაწყებამდე, გაეროს საპროტოკოლო სამსახურის ხელმძღვანელმა, რომელსაც აშკარად, დადებითი განწყობილების შექმნა სურდა, ჟურნალისტების გასაგონად ბატონ ჯუბილიანს მიმართა:

„რამდენიმე დღის წინ ტრასაზე მოვდიოდი მანქანით. ძლიერ წვიმდა. ამ დროს შევამჩნიე, ვიღაც თავგანწირვით მიაპობდა „ქარიშხალს“, ველოსიპედზე ამხედრებული, ქართული ალმით. გავიფიქრე,



რადენ ძლიერი უნდა იყოს ადამიანი, ასეთ ვითარებაში რომ იმოგზაუროს-მეთქი. ახლა კი აგერ გიყურებთ“, – ხელი გადახვია და მასთან სურათი გადაიღო.

ჯუმბერი ერთხანს ჩაფიქრდა.

– არა, მე არ ვყოფილვარო ის სანაქებო ველოსიპედისტი, – განაცხადა.

პრესკონფერენცია დაიწყო. ყველანი ვრცელი სათავგადასავლო მოთხრობის მოსასმენად მოემზადნენ...

- რამდენი კილომეტრი გაქვთ გავლილი?
- იყო პირველი შეკითხვა.
- მოკლე პასუხი ციფრის მითითებით.
- არ დაიღალეთ?
- არა.
- სახლში არ ნერვიულობენ?
- ალბათ.
- ყველაზე მეტად რომელ მონაკვეთზე გაგიჭირდათ?
- რა ვიცი; ადვილი არც ერთი მონაკვეთი არ იყო.
- განსაკუთრებით საინტერესოს რას შეხვდით?
- ხალხს.

პრესკონფერენცია დაიშალა. ყველანი წავიდ-წამოვიდნენ. ინტერვიუ არსად დაბეჭდილა. ან რა უნდა დაბეჭდოთ? ჰო და არა?

მაგრამ, ერთი დაუჟკვირდეთ, რამდენად ღირსეული იყო მისი თითოეული პასუხი, თავმდაბლობა, სიმშვიდე. შემდეგ დაგრწმუნდი, – მშვენიერი მოსაუბრეც ყოფილა. განშორების შემდეგ რამდენიმე წერილიც მივიღეთ მისგან. წერაც კარგი სცოდნია, აზრიანი, ლაკონიური. რამდენჯერმე მცირე თანხაც გაუფრთხილეს სხვადასხვა ქვეყანაში. თავად არასოდეს არაფერი უთხოვია, თუმცა ვიცოდით, – უადრესად უჭირდა. შევთავაზეთ, ჩვენი ანგარიშით დაერეკა ხოლმე. ჯუმბერმა ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის ქვეყნები შემოიარა, ანტარქტიდაზეც დადგა ფეხი; ცოტა ხნით კვლავ შტატებში დაგვიბრუნდა; შეისვენა და აფრიკისკენ გაუდგა გზას, ომებითა და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებით დამძიმებული კონტინენტისაკენ, ქართული აფორიზმით შეიარაღებული...

**დავით დონდუა** – საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში:

– გეოგრაფების ოჯახში გავიზარდე. ჩვენს საოჯახო ბიბლიოთეკაში უამრავი წიგნი იყო მოგზაურობებზე, აღმოჩენებზე, თავგადასავლებზე. როგორც ყველა ბავშვი, ამ წიგნებით ვიყავი გატაცებული. მასსოვს,

ჯერ კიდევ მაშინ ვცდილობდი, ჩამეხედა მოგზაურობისა და თავხეველადებული ავანტიურისტების გულში; გამეგო, ვინ იყვნენ ისინი, რა ამოძრავებდათ, როცა სახიფათო მოგზაურობაში მიემზადებოდნენ. ახსნა მრავალი იყო. ზოგს წიგნის ავტორები და მემატიანეები გეკარნახობდნენ; ზოგსაც თავად ვპოულობდით. იმ პერიოდის მოგზაურთათვის მიზეზის მონახვა ძნელი არ იყო, – ახალი მიწების აღმოჩენა; მსოფლიო რუკაზე სახელის დამკვიდრების სურვილი; გამდიდრების წყურვილი; მართლმსაჯულებისგან დამალვა და სხვა.

როდესაც პირველად გავიგე, – მეოცე საუკუნის მიწურულს, კოსმოსის ხანაში, ქართველი კაცი მარტოდმარტო, ველოსიპედით დედამიწის გარშემო მოგზაურობას აპირებდა, უმალ გამიჩინდა კითხვა, – ვინ არის ჯუმბერ ლეჟავა?! რის დამტკიცება სურს ამ ადამიანს; ისეთი რა უნდა იხილოს, სხვას რომ არ უნახავს; ან რა ისეთი რეკორდის დამყარება სწადია, ქვეყანა ალაპარაკოს და სახელი მოიხვეჭოს, -მეთქი. მითუმეტეს დღეს, გინესის რეკორდების წიგნში რამდენჯერმე ყოფილა შეყვანილი, უფრო გამიკვირდა, – ღირდა კი წამოწყება იმად, ოჯახი, თბილი კერა ამდენი ხნით დატოვო და გაემშურო მოგზაურობაში, სადაც უამრავი გაუთვალისწინებელი დაბრკოლებები და ხიფათი გელის?

1998 წლის შემოდგომას საშუალება მომეცა პირადად შევხვედროდი ჯუმბერ ლეჟავას, როცა ის რამდენიმე დღით შეყოვნდა ვაშინგტონში, აფრიკის სახელმწიფოებში შესასვლელი ვიზების გასაფორმებლად. აფრიკის ოცამდე სახელმწიფოს ვიზის მიღებაში დავეხმარეთ. ზოგიერთი ქვეყნის კონსული გაოცებული იყო! – კაცს თავი თუ არ მობეზრებია, ჩვენს ქვეყანაში რა უნდაო! ჩვენს ხალხს ეშინია იქ ცხოვრება და რაღა დროს ველოსიპედით მოგზაურობაო!

ბატონი ჯუმბერი ყველას ოლიმპიური სიმშვიდით უმტკიცებდა – თქვენ ვიზა მომეცით, და ჩემზე ნუ იღარდებთ, არ დავიჩაგრებიო...

ვიდრე პირადად გავიცნობდი, მეგონა ექსცენტრული პიროვნება იქნებოდა, როგორც ყველა თავხეველადებული მოგზაური. უსაზღვრო იყო ჩემი გაკვირვება, იმდენად დინჯი და გაწონასწორებული კაცი აღმოჩნდა. ამან არა თუ ამიხსნა მისი ფენომენი, პირიქით, ახალი კითხვები გამიჩინა. გულახდილად უნდა ვთქვა – ცხოვრებაში იშვიათად შევხვედრივარ ასეთ საინტერესო პიროვნებას. დედამიწაზე

არ მეგულება კაცი, ამდენი საოცარი რამ ჰქონდეს გასახსენებელი და მოსაყოლი. იმედია, იგი მალე დაბრუნდება სამშობლოში, თავისი მოგზაურობის შთაბეჭდილებებს მშვიდად მოუყრის თავს და წიგნად (ან იქნებ წიგნებად?!) გამოსცემს. იმდენი საინტერესო მოგონება და გამოცდილება აუკინძავი არ უნდა დარჩეს. ჯუშბერ ლეჟავას შთაბეჭდილებები და მოგზაურობისას გადაღებული უნიკალური ფოტოსურათები მაინც ფასდაუდებელია!

ეჭვი არ მეპარება, მისი ჩანაწერები საინტერესო საკითხავი იქნება ყველა თაობის ხალხისთვის.

იქნებ, იმ წიგნის წაკითხვის შემდეგ უფრო გამიადვილდეს ვუპასუხო კითხვას, – ვინ არის ჯუშბერ ლეჟავა?!

*სამხრეთ კაროლინა, აშშ*

### ვაიმე, ზურაბ, სადამდის?!

საოცარი მისალმება იცის ზურაბ ქაფიანიძემ, თუ გუნებაზეა, რა თქმა უნდა. დათვის ტორს დაგკრავს ბეჭზე და უხმოდ ჩაგიკრავს გულში.

ერთხელ გამომცემლობა „სამშობლოდან“ რუსთაველისკენ ერთად გავუყვებით გზას. ზუსტად საათ-ნახევარს მოვუნდით სამასიოდე მეტრის გავლას, ვიდრე მეტრო „რუსთაველამდე“ მივალწევდით. ზურაბს ყოველ ნაბიჯზე აჩერებდნენ, ემასლათებოდნენ, მთისას და ბარისას ეკითხებოდნენ. ვატყობდი, ზოგი ახლოს არც კი იცნობდა, მაგრამ ეამაყებოდა, შუაგულ ქალაქში, მოზიმზიმე ხალხის თვალწინ ცნობილ მსახიობს შინაურულად რომ ებაახებოდა და ასეთ შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებდა...

იდა ზურაბი – თავდახრილი, გაღიმებული, და მშვიდად ისმენდა ქათინაურებს; ზოგჯერაც სახე მოეჭუფრებოდა, – დამშვიდობების დრო იყო. დაბამბული, ლურჯი კურტაკი ეცვა, რომელიც ვერ ფარავდა მის ღვეურ აღნაგობას. ბუშლატი აშკარად ვიწრო იყო, – ღილები აწყვეტაზე ჰქონდა. ასეთი რამ პატიმრებს აცვიათ ზონაში. ამაზე ზურაბმა ერთხელ იხუმრა, – მეც პატიმარი ვარ, ოღონდ ზონის გარეთო...

რამდენჯერ გულდაწყვეტით შემვივლია თვალი მისი ჩაცმულობისათვის, – ქათქათა, მაგრამ ხშირი რეცხვისაგან საყლოგაცრეცილი პერანგი, მუხლებგამობერილი, ჯვალოს ნაცრისფერი შარვალი, მისიკვდილებული, ლანჩლამდნარი ფეხსაცმელი (არ გინდა, ამხელა გოლიათის გაძლება?..).

– მღვდელი ჭილოფშიც იცნობაო, – ნათქვამია. ხალხი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა საყვარელი მსახიობის გარდერობს, მუდამ მისკენ ილტვოდა, მისგან იმედიანი სიტყვის გაგონება ეწადა. ცხადია, არავის აზრადაც არ მოსდიოდა ეკითხა, – იმ დღეს ნასადილვეი თუ იყო თვალებამღვრეული, დროდადრო ლომივით მბრღვენიანი დეკაკი, რომელიც ვერა და ვერ „მოერგო“ ახალ დროებას, „ვერ ისწავალა“ ყასიდად თავის კანტური და ძლიერთა ამა ქვეყნისათა ქება, პირიქით, მუშტიც კი მოუღერა ქვეყნის მათხრებელთ... ამიტომაც დარჩა „ძლიერთაგან“ გარიყული, მშიერ-მწყურვალი... გამომცემლობა „სამშობლოში“ მეოთხე სართულზე იყო ღარიბული სასადილო, ჟურნალისტების ქესატ ჯიბეს, რომ შეეფერება, ისეთი. იმ ბუფეტში კინკილა სიგაზე, მწვანილზე და გარედან უჩუმრად შემოტანილ ჭიქა ღვინოზე ისე მოგალხენდა, თითქოს სამეფო სუფრასთან მჯდარიყავი.

სოციალური უთანაბრობა ყველა დროში, ყველა საზოგადოებრივ ფორმაციაში იყო, არის და იქნება; მაგრამ გულდასაწყვეტი ისაა, რომ საქართველოში დღეს სწორედ ისინი ლალობენ, პიერ კარდენის მოდურ კოსტიუმებში გამოწყობილნი, უზრუნველად დაჯირითობენ „მერსედესებით“, „ბე-ემ-ვევითა“ და „ტოიოტებით“, „ჯიპჩეროკებით“, „შევროლეტებითა“ და „ლინკოლნებით“, ვისაც თითი არ გაუნძრევია ქვეყნის სასიკეთოდ; მის ძარცვა-ყვლეფასა და დაქცევაში კი იცოცხლე, ტოლი არავისთვის დაუღიათ.

...ორ წელიწადზე მეტია, თბილისის ქუჩებში არ გამივლია. სამწუხაროდ, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მდგომარეობა დღითიდღე მძიმდება თურმე...

– ნეტავ, იმაზე უარესი რაღა უნდა იყოს, ორი წლის წინ რომ იყო საქართველოში? – ვფიქრობ გაოგნებული, სისხლგამშრალი, სასოწარკვეთილი...

– ვაიმე, ზურაბ, სადამდე?!

– ხმა ამოიღე, ძმაო!

– ხომ არ დაგიობდა კოტორაშვილის კომბალი?!

– ახლა ხომ თავად ხარ კანონმდებელი?!

*ჩატანუგადან ძმურად მოგესალმება ჯუშბერ ჯიშკარიანი,*

*ტენესის შტატი, აშშ  
„ახალი ეპოქა“, 15-21 აგვისტო, 2003*



2015 წელს კოლაუ ნადირაძის დაბადებიდან 120 წელი სრულდება და სწორედ ამ თარიღს მინდა მივუძღვნა მომავალი წიგნი – „უკანასკნელი“, მოვიგონო კოლაუ ნადირაძე, ცისფერყანწელთა უკანასკნელი მოპიკანი, ისეთი, როგორიც ჩემს მეხსიერებას შემორჩა.

19 წლისა ვიყავი, მასთან რომ მივედი. მძაფრი შთაბეჭდილება, რაც პირველივე შეხვედრისას მივიღე, არასდროს გამინელდება: მოხუცი პოეტი წარსულზე მიაბობდა. ხშირად ახსენებდა პაოლოს, ტიცთანს, ვალერიან გაფრინდაშვილის, პავლე ინგოროყვას, სერგო კლდიაშვილის, გიორგი ლეონიძეს, ლეონიძის დახვრეტილ ძმას – ლევანსა და... გრიგოლ რობაქიძეს (ჯერაც აკრძალულ მწერალს) – ეს იყო ჩემთვის უცნაური და საოცარი;

ხოლო ჩვეულებრივი იყო ქუჩა, სადა ბინა, ოდესღაც თეთრი კარი, პატარა, ლამის წერტილისოდენა ძველებური ზარით, მის ქვემოთ, თავისივე პატარა ჩარჩოში, პაწაწინა ქალაღზე პოეტის ხელით მიწერილი – კოლაუ ნადირაძე. პატარა კაბინეტი ჰქონდა. მეუღრო, კედელთან წიგნების კარადა ედგა. ძველებური, სამუშაო მაგიდა, ტახტი; კედლებზე, მაგიდის მხარეს – გამოხუხუბული ფოტოები: დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, აკაკი, ვაჟა, ილია, ივანე ჯავახიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ცისფერყანწელები მწერალთა კავშირის ბაღში... და ჭადრის ხმელი ფოთლები – მოწითალო-ყავისფერი. კიდევ: ფრანგული ვაზეთი – „ლუმანიტე“ ვიქტორ ჰიუგოს დიდი პორტრეტით, აქეთ, ყინწვისის ანგელოზი;

ამ ფონზე იჯდა კოლაუ, როგორც პატრიარქი, დამოუკიდებელი საქართველოს უკანასკნელი თვითმხილველი და... მიაბობდა, თუ როგორ დამარცხდა 1924 წლის აჯანყება ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით. მიაბობდა, როგორ დახვრიტეს ლენინის ბრძანებით რუსეთის უკანასკნელი მეფე. როგორ მოხდა საქართველოს გასაბჭოება და როგორ უღალატეს ქართველებმა სამშობლოს;

...მერე, როცა, უფრო და უფრო შევეჩვიე, ვსაუბრობდით ყოფით საგნებსა და მოვლენებს. მე როგორც დამწყებ ფილოლოგს, ძველი, გარდასული ყოფის, ლიტერატურული ვნებათაღელვა უფრო მაინტერესებდა, გამუდმებით ვეკითხებოდი:

„თქვენ კი, კოლაუ ნადირაძე, რას იტყვით მაინც?“

– ბატონო კოლაუ, როგორ ფიქრობთ, დღეს ისევ სჭირდება ქართულ მწერლობას ცისფერყანწელები? ხომ ვერ მეტყობდით თქვენთვის ყველაზე უფრო პოეტურ ლექსს?

(ვინ იცის, კიდევ რამდენი ასეთი კითხვა ჩამოვწერე; ახლა ძველ ჩანაწერებს რომ ვათვალიერებ, ვნანობ ყმაწვილური დაუდევრობით, ეს ფურცლები რომ დამეფანტა);

კოლაუ მპასუხობდა, მშვიდად, აუჩქარებლად, შთამბეჭდავად. იგონებდა გარდასულ ყოფას, ცდილობდა წარსულის გაცოცხლებას:


– ქართულ ლიტერატურაში ჩვენამდე იყვნენ თერგდალეულები, მაგრამ პოეტური სკოლა, როგორც ასეთი, არა ყოფილა. ცისფერყანწელებმა შევქმენით ლიტერატურული სკოლა, ჩვენი გავლენა რომანტიზმსა და პარნასელებთანაა

გადაჯაჭვული; დღევანდელ პოეზიას გუანდერძეთ ის, რაც ახლა აქვს, ისტორიულად ჩვენი მისია შესრულებულია!

– კრიტიკაში ისიც ნათქვამია, რომ ყანწელები იბრძოდით აკაკისა და ილიას წინააღმდეგ და... ეს მართალია?

– არა, ბატონო! ჩვენ აკაკისა და ილიას წინააღმდეგ კი არა, პროვინციალიზმის წინააღმდეგ ვიბრძოდით, ილიასა და აკაკის უნიჭო ეპიგონთა წინააღმდეგ. მაშინდელ ქართულ ლექსს პროვინციალიზმის ელფერი ჩამოვაშორეთ. მართალია, ვიცავდით დღეის – ხელოვნება ხელოვნებისთვის, მაგრამ აი, ამ გაგებით, კაცი რომ ლექსებს წერს, ჯერ პოეტი უნდა იყოს. ლექსი ხელოვნების თვალსაზრისით უნდა იყოს მისაღები, თორემ სხვანაირი გაგება ამ დღეისა, ვერც კი წარმოგვედგინა. მიქელანჯელოს შედევრები ხომ ყველასია, აკაკის „განთიადსაც“ ხომ





კოლაუ ნადირაძის უკანასკნელი დაბადების დღე. 1990 წლის 26 თებერვალი

ყველა კითხულობს?!

**– ყანწილებმა სონეტი საბოლოოდ დაამკვიდრეთ ქართულ პოეზიაში და... რას მეტყობით სონეტზე?**

– სონეტი ფაქიზია, ძალიან ფაქიზი. პეტრარკამ სონეტი უმაღლეს დონეზე აიყვანა. რა თქმა უნდა, შექსპირმაც. დანტესაც კარგი სონეტები აქვს;

...მახსოვს, ეს რომ მითხრა, წამოდგა, კარადაში შექსპირის სონეტების რუსული, აღრინდელი გამოცემა მოძებნა და რამდენი სონეტი წამიკითხა.

რაკი დანტი, პეტრარკა, შექსპირი ახსენა, თარგმანზეც ვკითხე:

**– რაში მდგომარეობს კარგად თარგმნის საიდუმლოება? ლექსი, ალბათ, მაინც პოეტმა უნდა თარგმნოს?**

– არა! ვანო მაჩაბელი არ ყოფილა პოეტი, მაგრამ შესანიშნავად თარგმნა შექსპირი. კარგი თარგმანი, საერთოდ, იშვიათი მოვლენაა, მოითხოვს განსაკუთრებულ სმენასა და გემოვნებას. ისე, რა თქმა უნდა, თეთრი ლექსის თარგმნა უფრო იოლიაო, გაეღიმა.

მერე ისევ ქართულ პოეზიაზე მესაუბრა. მითხრა, ბევრი ქართული ლექსი მიყვარსო და... დინჯად დაიწყო: დაღამდა წვრილნი

ვარსკვლავნი, აყვავდნენ დასხდნენ ცაზედა... (ჩემდა გასაკვირად) ვაჟას ლექსი ბოლომდე წამიკითხა: რამ დააწერინა ასეთი ლექსი, ასეთ ლექსებს ხომ მხოლოდ ჰომეროსი წერდაო?! – ესეც დასძინა.

და მერე, იცით, ვისი ლექსი მოიგონა? ნოე ჩხიკვაძის „ვინ დამეძებს“, ეს ლექსიც ძალიან მიყვარსო, – მითხრა და მაშინ გამიკვირდა, ეს ლექსი რამ შეაყვარა-მეთქი, მაგრამ ახლა ვხვდები, ეს სტრიქონები რატომაც მოსწონდა:

მე მარტო ვარ, მარტო ვმღერი,  
ყრუა სოფელი,  
ვის ვუთხრა, ვის განვუმარტო  
სევდა-ნალგელი.

არვინ მყავდა, არავინ მყავს, არავის ველი, საიდუმლო მეგობარო, მომეცი ხელი!

არადა, თურმე, როგორ ზუსტად წარმოაჩინდა უკანასკნელი ყანწილის სულიერ მდგომარეობას ეს სტრიქონები?!

**– თანამედროვე ქართულ პოეზიაზე რას იტყობით?**

– ახლა ჩვენი ორიენტაცია აქვს აღებული ქართულ პოეზიას, ოღონდაც ამახინჯებენ. ნათალი უნდა იყოს ლექსი, კროსვორდი კი არა, თუმცა უმრავლესობას, რატომღაც, აბლაუბაიზში პოეზია ჰგონია: ვერ დაიჭირავს სიკვდილსა, გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი... მითხარით, ერთი რა არის აქ გაუგებარი?! ახლა გასაგები ლექსები აღარ იწერება (როგორც ყოველთვის, რადიკალიზმითაა გამორჩეული ნ. ჩ.). ამ რამდენიმე დღის წინათ, ლიტერატურის ინსტიტუტში ერთმა ვაჟმა ლექსი წაიკითხა (ახლა ვნანობ, რომ არ ვიკითხე, თუ ვინ იყო ეს ახალგაზრდა პოეტი ნ.ჩ.), შენიშნეს, გაუგებარიო, და იცით, რა უპასუხა, გაუგებარი რომ არის, იმიტომაა კარგი, თორემ გასაგებ ლექსებს ბებიჩემიც ხომ დაწერდაო?!.. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც იმედი მაქვს, რომ მათ შორისაც შემოგვრჩება კარგი პოეტიო.

ეს ძველი ჩანაწერი რომ გადავიკითხე, ლევან მაღაზონიას ერთი მოგონებაც ამოძიტივტივდა მეხსიერებაში: ბატონი ლევანი კოლაუს შეხვედრია სუფრასთან, რომელსაც, თურმე, ჩვეული მომხიბვლელით უძღვებოდა თბილისის მაშინდელი კოლორიტი, ცნობილი ფილოლოგი – სიმონ სხირტლაძე... ჰოდა, ჯერ გალაკტიონთან დაკავშირებით აუტენხავს კოლაუს ერთი ამბავი, როგორღაც დაუშოშმინებიათ, მაგრამ მერე, სუფრის ერთ-ერთი წევრი – ლექსმცოდნეობის თეორეტიკოსი ამოუჩემებია (რა თქმა უნდა, არც ისე უსაფუძვლოდ), და როცა იმ ახალგაზრდას სტალინის სადღეგრძელო შეუსვამს, სულ ძილად გადარეულა კოლაუ, პროტესტის ნიშნად, სუფრის ბოლოში გადამჯდარა და მისთვის ჩვეული ენაკვიმატობით გაუქილიკებია: ყველაფრის მცოდნეობა ვამიგია, ტროლეიბუსის მცოდნეობა, კოჭის ძაფის მცოდნეობა, ტყემლის ტოტის მცოდნეობა, მარა, დეგებრდი კაცი და ლექსმცოდნეობა არ გამიგიაო!

ახლა ამაზე ამტყდარა ერთი ამბავი. თამადას ახლაც დიპლომატიურად განუმუხტავს სიტუაცია. მოგვიანებით, სუფრა რომ აშლილა და სახლამდე რომ მიუცილებია ლევან მაღაზონიას ყანწელი, მოკრძალებით, მაგრამ მაინც ვაუბედავს და უკითხავს: ისე, ბატონო კოლაუ, ტყემლის ტოტის მცოდნეობა ნამდვილად არსებობსო?! და პოეტს ჩაუფხუკუნებია: ყველაფერი არსებობს, ლექსის კეთების მცოდნეობის გარდა, ყველაფერი! და თუ არსებობს, მხოლოდ უნიჭობისთვისო.



მაია კაკაშვილმა დაამთავრა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი, სპეციალობით ქართული ენა და ლიტერატურა, ახალი ბერძნული ენა და ლიტერატურა. 2000 წელს მიიღო ფილოლოგიის ბაკალავრის, 2002 წელს კი – მაგისტრის ხარისხი.



2006 წელს დაიცვა სადისერტაციო თემა და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი მიენიჭა. 2000-2008 წლებში იყო ბერძნული ენისა და მითოლოგიის მასწავლებელი I კლასიკურ გიმნაზიაში. 2013-დან კი არის ასისტ. პროფესორი და თსუ ბიზანტინოლოგიის მიმართულე-ბაზე კითხულობს არჩევით საგანს „ბერძნული რომანი და „ვეფხისტყაოსანი“.

1998-2002 წლებში სასწავლო პროგრამებით იმყოფებოდა ათენის, თესალონიკისა და პატრის უნივერსიტეტებში. იყო ონასისის ფონდის სტიპენდიანტი (2007 წ.).

2009 წელს მოიპოვა ახალგაზრდა მეცნიერთათვის საქართველოს პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტი. პროექტი: შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და ბერძნული რომანი.


20-მდე სამეცნიერო სტატიის ავტორია, ასევე – ქართულ-ახალბერძნული ლექსიკონის ერთ-ერთ შემდგენელია (იბეჭდება).

მაია კაკაშვილმა თარგმნა:

2003: თ. ათანასიადისის, გ. სკარიბასის, კ. ხაძოპულოსის მოთხრობები; 2005: კონსტანტინოს კავაფისის ლექსები – „სულის სახლში“. სიტყვასიტყვითი თარგმანი ეკუთვნის მ. კაკაშვილს, ხოლო გალექსა იზა ორჯონიკიძემ; 2006: ბიზანტიური რომანი „ევმატიოს მაკრემბოლიტესი“, ამბავი ისმინესი და ისმინიასისა; 2007: ბერძნული ხალხური ზღაპრები; 2007: ი. გრიპარისის, კ. კრისტალიის, გ. სკარიბასისა და თ. გორპასის ლექსები; 2013: ნიკოს კაზანდაკისის რომანი „ქრისტე კვლავ ჯვარს ეცმის“ (გამოიცემა თსუ გამომცემლობაში „ლოგოსი“); 2014: ბიზანტიური რომანები: თეოდოროს პროდრომოსის „ამბავი როდანთესი და დოსიკლესისა“ და ნიკიტა ეგენიანეს „ამბავი დროსილასი და ქარიკლესისა“. ეს რომანები, ევმატიოს მაკრემბოლიტესის რომანთან ერთად, გამოდის ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის სერიით „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკა“.

ამჟამად მ. კაკაშვილი დაკავებულია ბერძენი ნობელიანტი პოეტების გიორგოს სეფერისისა და ოდისეას ელიტისის თარგმნით, პოეტ მარიამ წიკლაურთან თანამშრომლობით.

## ნიკოს კაზანდაკისი



დიდი ბერძენი მწერალი და XX საუკუნის გამორჩეული ავტორი ნიკოს კაზანდაკისი 1883 წელს კუნძულ კრეტაზე, ირაკლიონში, ოსმანთა იმპერიაში დაიბადა და 1957 წელს გერმანიაში, ფრაიბურგში გარდაიცვალა.

იგი არაერთი რომანის ავტორია. ესენია: „კაპიტანი მიხალისი“ (1949), „ქრისტე კვლავ ჯვარს ეცმის“ (1948), „ცხოვრება და მოღვაწეობა ალექსი ზორბასი“ (1946), „უკანასკნელი ცდუნება“ (1951, კათოლიკურმა ეკლესიამ იგი აკრძალული წიგნების სიაში შეიტანა), „ძმათამკვლელები“ და სხვ.

ნ. კაზანდაკისის მსოფლიო პოპულარობა მოუტანა მისი რომანების ეკრანიზაციებმა. უიულ დასენმა გადაიღო ფილმი „ის, ვინც უნდა მოკვდეს“ („ქრისტე კვლავ ჯვარს ეცმის“ მიხედვით), მიხალის კაკოიანისმა – „ბერძენი ზორბა“ (მუსიკა მიკის თეოდორაკისისა, მთავარ როლში ენტონი ქვინი) და მარტინ სკორსეზემ – „ქრისტეს უკანასკნელი ცდუნება“.

მწერალი წარდგენილი იყო კანდიდატად ნობელის პრემიაზე.

ნ. კახანდკისი განისვენებს ირაკლიონის ვალავანთან, რადგან მართლმადიდებლურმა ეკლესიამ სასაფლაოზე დაკრძალვაზე უარი განაცხადა. მწერლის საფლავზე ასეთი წარწერაა: „არაფრის იმედი მაქვს. არაფრის მეშინია. თავისუფალი ვარ“.

მკითხველს ვთავაზობთ ნაწყვეტს რომანიდან „ქრისტე კვლავ ჯვარს ეცმის“. მასში აისახა ბერძნულ-თურქული ომის (1918-22 წწ.) რეალიები, როცა თურქებმა ბერძნული მოსახლეობა მცირე აზიიდან განდევნა. უფლისდროინდელი იუდეის ამბები თუ ბოლშევიზმზე მითითებები მჭიდროდ არის გადაჯაჭვული რომანის სიუჟეტურ ქარვასთან. ეს თხზულება ქართველი მკითხველისთვის იმითაცაა საინტერესო, რომ მასში რომანის ერთ-ერთი გმირი, კაპიტანი ფურტუნასი სიკვდილის წინ ბათუმსა და იქ გატარებულ დროს იხსენებს. ეს გასაკვირი არცაა, ნიკოს კახანდკისი ხომ ქართველი მწერლების, პირველ რიგში კი, გრივოლ რობაქიძის მეგობარი გახლდათ.

რომანში „ქრისტე კვლავ ჯვარს ეცმის“ მოქმედება ლიკოვრისში, აღმოსავლეთის ერთ ბერძნულ სოფელში იშლება. ტრადიციით ყოველ შვიდ წელიწადში ერთხელ ქრისტეს ვნებების ინსცენირება ხდება. მღვდელი გრიგორისი სოფლის თავკაცებთან ერთად იმ ადამიანებს ირჩევს, ვინც მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ წარმოდგენაში: ქრისტეს ერთი უბრალო მწყემსი მანოლიოსი განასახიერებს, იოანეს – ბატონი პატრიარქეასის ვაჟი მიხელისი, იუდას – სარაჯი პანაიოტაროსი, მაგდალინელს – ქვრივი კატერინა. რომანის სხვა გმირებიც გაუცნობიერებლად ამა თუ იმ სახარებისეულ როლს ირგებენ. სოფლის თავკაცები ფარისეველთა როლში გვევლინებიან, მღვდელი გრიგორისი – კაიაფასი, ადგილობრივი, მამათმავალი თურქი ალა კი – პილატესი.

ერთ დამეს ლიკოვრისს შორეულ სოფელ აიგიორგიდან თურქების მიერ აყრილი ლტოლვილები მოადგებიან და ლიკოვრისელებს დახმარებას სთხოვენ, მაგრამ მღვდელი გრიგორისი მათ, ვითომდა, როგორც ქოლერის, ამ დიდი ჟამიანობის მომტანთ დევნის.

ლტოლვილები მღვდელ ფოტისის მეთაურობით მთა სარაკინას მიაშურებენ. მათ მხოლოდ მანოლიოსი, მიხელისი, კატერინა, იანაკოსი და კოსტანტისი (ამ ორმა უკანასკნელმა პეტრე და იაკობი უნდა განასახიერონ) ეხმარებიან.

ქრისტეს როლის მინდობის შემდეგ მანოლიოსი ყოველდღიურად იცვლება. დანიშნულს შორდება და ცდილობს, დიდ სულიერ და ხორციელ სიწმინდეს მიაღწიოს. ამ საქმეში მისი წინამძღოლი მღვდელი ფოტისია. მანოლიოსი ელია წინასწარმეტყველის დღესასწაულზე ლტოლვილების დასაცავად სიყვარულისა და მოწყალების მნიშვნელობაზე საუბრობს, რითაც თანასოფლელების წინააღმდეგობასა და მღვდელი გრიგორისის რისხვას იმსახურებს. ამასობაში

კვდება პატრიარქეასი და მიხელისი გადაწყვეტს, მამის დანატოვარი ქონება ლტოლვილებს დაუნაწილოს. მღვდელი გრიგორისი მიხელისს შეურაცხადად აცხადებს და ხელჩართულ ბრძოლაში აბამს ლიკოვრისელებსა და ლტოლვილებს, რომლებიც მათთვის ნაჩუქარი მამულების დასაკავებლად მოდიან. ერთ-ერთ შეტაკებაში მღვდლის ძმის მოკვლის შემდეგ მღვდელი გრიგორისი ადას წინაშე მანოლიოსს სოფლისთვის დატეხილ ყველა უბედურებაში ადანაშაულებს და უდანაშაულო მწყემსის გასამართლებასა და გამხეცებული სოფლელებისთვის მის გადაცემას აღწევს. რომანი ქრისტეშობის დამეს ეკლესიაში მანოლიოსის მკვლელობით სრულდება.

ფანჯარასთან ლიკოვრისის მამასახლისი დაბრძანებულიყო. არისტოკრატიული ოჯახის შვილი იყო, კეთილშობილი, ნაპატივები. მაუდის შარვალი და ოქრომკედით ნაქარგი ფილეთი<sup>1</sup> ეცვა, საჩვენებელ თითზე ოქროს მსხვილი ბეჭედი წამოეცვა. ზედ ორი მთავრული, ერთმანეთში ჩაწნული ასო იყო გამოყვანილი: გ.პ., გეორგიოს პატრიარქეასი. პატრიარქევით მსუქანი და ფაფუკი ხელები ჰქონდა. თავის დღეში არ უმუშავია, გლეხებისა და მოჯამაგირეების მთელი ჯოგი ჰყავდა, რომლებიც მის გამოსაკვებად წელებზე ფეხს იდგამდნენ. და მასაც ნაწლავი უსქელებოდა, გავა ფაშატივით უგანივრდებოდა, მუცელი ჩამოკიდებოდა, სამკეცად დაფენილი ღაბაბი ბალნიან, ფაფუკ გულისპირზე განისვენებდა. წინა ორი-სამი კბილი აკლდა.

სხვა ნაკლი არ გააჩნდა. ჩლიფინებდა, რის გამოც მისი გაგება უჭირდათ. თუმცა, ეს ნაკლიც კეთილშობილებას უთაკეცებდა, რადგან, მისი ნათქვამის გასაგებად, მსმენელს დახრას აიძულებდა. მის მარჯვნივ, კუთხეში ბეხრეკი, გამოფიჭული, ვიწროთავიანი, თვალედაწირპლული, მსხვილ დაკოჟრილ ხელებიანი,

ტანსაცმელშემოდნარი, მეორე უღირსი თავკაცი, სოფლის ყველაზე მსხვილი მესაკუთრე, ბებერი ლადასი<sup>2</sup> იჯდა. სამოცდაათი წელია მიწას ჩაჰყურებს, ბარავს, თესავს, მკის, ზეთისხილის ხეებსა და ვენახებს აშენებს, წურავს და მას სისხლს სწოვს. ბაღლობიდან მიწას არასოდეს მოსწყვეტია. გაუმაძღარი, დამშეული დაემგერებოდა ხოლმე. ერთს აძლევდა, ათასს ითხოვდა. ერთი არ დასცდებოდა „დიდება შენდა, ღმერთო!“ სამაგიეროდ, გამუდმებით უკმაყოფილო ბურტყუნებდა. მიწა სიბერეშიც არ ჰყოფნიდა. სიკვდილს რაც უფრო უახლოვდებოდა და გრძნობდა, დიდი დღე აღარ ეწერა, ჩქარობდა, ქვეყნის შეჭმა მოესწრო. სოფლელებისთვის ფულის დიდი სარგებლით სესხებას მიჰყო ხელი. ბენავები გირაოდ თავიანთ ბაღ-ვენახებსა და სახლებს დებდნენ. გადახდის დრო რომ მოდიოდა, ვალს ვერ ისტუმრებდნენ, სარჩო-საბადებელი აუქციონზე გაჰქონდათ და ყველაფერს ბებერი ლადასი ნთქავდა. გამუდმებით მოთქვამდა, გამუდმებით შიმშილობდა. ცოლი ფეხშიშველი დაუდიოდა. ერთადერთი ასულიც, რომლის გაკეთებაც მოეხერხებინა, სასიკვდილოდ მიაგდო, ექიმი არ აღირსა ლოგინად ჩავარდნილს.

„დიდი ხარჯიაო, ბრძანა, დიდი ქალაქები შორსაა, როგორ გინდა ექიმი მოიყვანო?! და მერეც, ან მაგათ რა იციან? მაგათ არ გაიხარონ! ჩვენი მღვდელი აქ არა გყავს? ძველებური, შინაური წამლები იცის, გადაუხდის რომ ზეთი სცხოს და მორჩება. უფრო იაფიც დამიჯდება.“

მაგრამ მღვდლის ექიმბაშობამ ამაოდ ჩაიარა, გოგონა ზეთისცხებამ ვერ იხსნა, ჩვიდმეტი წლისა გარდაიცვალა და მამამისისგან განთავისუფლდა. მამაც მისი ქორწილის უზარმაზარ ხარჯს გადაურჩა. ერთ დღეს, შვილის სიკვდილიდან რამდენიმე თვის შემდეგ, დაჯდა და დაიანგარიშა: მზითევი, ტანისამოსი, მაგიდები, სკამები, გასწი-გამოსწი, ამდენი და ამდენი დაუჯდებოდა. იძულებული გახდებოდა ქორწილში ნათესავები დაეპატიჟებინა, მათ კი გაძლომა უნდოდა. ამდენი და ამდენი ხორცი, პური, ღვინო... შეაჯამა, ბლომად ხარჯია. ქალიშვილი გაღლეტდა. არც არა უჭირს რა, ყველანი დავიხოცებით... წუთისოფლის ტანჯვა-წვალებასაც გადაურჩა – ქმრებიო, შვილებიო, ავადმყოფობებიო, სარეცხიო. ბედი ჰქონია, ღმერთმა აცხონოს!

წყევლიმც ვიყოთ ყველანი, – ბუტბუტებდა მარტო დარჩენილი კაპიტანი ფურტუნასი და კვერთხზე მძიმედ დაყრდნობილი თავქვე ეშვებოდა აღას კონაკისკენ<sup>3</sup>, სადაც შუადღისას საქეფოდ იყო დაპატიჟებული. ამ საქმეს, კაცო, წმინდა გული უნდა, ჩვენ კი სოლომ-გომორი ვართ.

მღვდელი? ეგ მუცელმერთა. აფთიაქი გახსნა, მას ეკლესიას ეძახის და ქრისტეს დრამობით<sup>4</sup> ყიდის. ყველა სწეულებას კურნავსო, ბრძანებს ექიმბაში. – რითი ხარ ავად? – ტყუილი ვთქვი. – ერთი დრამი ქრისტე, ამდენი გროში. – მოვიპარე. – ერთ-ნახევარი დრამი ქრისტე, ამდენი და ამდენი. შენ? – მოკვალნი. – ოჰ, მძიმე სწეულებაა, უბადრუკო. საღამოს, დაძინებამდე ხუთ დრამ ქრისტეს მიიღებ. ძვირი ღირს, ამდენი და ამდენი. – ვერ დამიკლებ, მამაო? – ტარიფია. გადაიხადე, თორემ ჯოჯოხეთის ფსკერზე აღმოჩნდები. და თავის მალაზიაში გამოფენილ ნახატებს უჩვენებს, რომლებზეც ჯოჯოხეთია გამოსახული ცეცხლით, ფიწლებითა და ეშმაკებით. და აცახცახებული კლიენტი ქისას ხსნის...

მოხუცი პატრიარქეასი? ორფენა ღორია, თხემით ტერფამდე – ღიპი. თავიც კი ნაწლავებით აქვს ამოტენილი. ერთ მხარეს თუ იმას ააკოკოლავებ, რაც სიცოცხლეში უჭამია, მეორე მხარეს კი იმას, რაც პირიდან და უკანიდან გამოსვლია, ორი უზარმაზარი მთა აღიმართება, სულ სიბინძურისა. ასე წარსდგება, აქეთ-იქით მთებით, დღეს-ხვალ ღმერთთან.

ხაძი-ნიკოლისი, მასწავლებელი? ნახევარკაცა, ღატაკი, გონჯი, ლაჩარი და სათვალღიანი. თავი ალექსანდრე დიდი ჰგონია. ქალაღდის მუზარადი ახურავს, ბავშვებსაც ტვინებს ქალაღდის ჩაფხუტებით უტენის. სხვას რას ელი მისგან? მასწავლებელია.

ბებერი ლადასი? წუწურაქი, ნამუსგარეცხილი, უბედური. ზის თავის ღვინით სავსე კასრებზე, ზეთის ქოთნებზე, ფქვილის ტომრებზე და შიმშილით სული სძვრება. ეს ლადასი არ იყო, ერთ საღამოს დაუპატიჟებელი სტუმრები რომ მიადგნენ და ცოლს რომ უთხრა: დელაკაცო, ერთი კვერცხი შეგვიწვი, შვიდნი შევჭამთო. ცხოვრობს მშიერ-მწყურვალი, ჩამოძონძილი და ფეხშიშველი. და რატომ, არ იკითხავთ? მდიდარი რომ ჩაძაღლდეს! ფუი, დაიკარგოს!



აბა ახლა ჩემზეც იკითხეთ? წყალწალბული ადამიანი ვარ. მარწუხი მომიარჯვე, რომ არ დაისვარო. რა არ მიჭამია, რა არ დამილევია, რა არ მომიპარავს, ვინ არ მომიკლავს, ვისთვის არ მიღალატია ცხოვრებაში! როდის მოვასწარი ეს ყოველივე? ვაჰ, ბიჭო, ბარაქაა ჩემს ხელებს, ჩემს ფეხებს, ჩემს პირს, ჩემს თეძოებს. კარგად გაისარჯნენ, დაილოცონ!

თავისთვის ლაპარაკობდა კაპიტანი ფურტუნასი და ქვებზე ხელჯოხის კაკუნ-კაკუნით თავქვე ეშვებოდა. გახურებულს ჩაჩი მოეხადა და ხელში ეჭირა. ალას კონაკის წინ შეჩერდა, გადააფურთხა. ჩვევად ჰქონდა ამგვარად ჯავრის ამოყრა, თითქოს მთელს თურქეთს აფურთხებდა, თითქოს, ერთ პატარა, ციცქნა ალამს აღმართავდა და წამით თავისუფალი ხდებოდა.

გადააფურთხა, ბოღმა ამოანთხია და შემდეგ კარზე დააკაკუნა. კმაყოფილმა ნერწყვი გადაეყლაპა. კარგს შეჭამს, კარგს დალევს. კარგი ადამიანია ალა, ხელგაშლილი. პირსახოცებით კვლავ მაგრად წაიკრავენ თავებს, რომ არ გაუსკდეთ და არაყს წყლის ჭიქებით დალევენ.

ქოშის, მოკლე ნაბიჯის ხმა გაისმა ეზოში, კარი გაიღო. ალას ბებერი მხევალი, კუზიანი მართა ამჟავებული სიფათით მიესალმა კაპიტანს.

— ქრისტე თუ გწამს, კაპიტანო, ნულარ დათვრებით, აღარ შემიძლია, აღარ შემიძლია! — შევევდრა.

კაპიტანმა გაიცინა. კუზზე ხელი ნაზად მოუთათუნა.

— დამშვიდდი, ქალო მართა, არ დავთვრებით. და თუ დავთვრებით, არ ვარწყევთ. და თუ ვარწყევთ, გობი მოგვიტანე, ოთახი რომ არ დავსვაროთ. გპირდები.

თქვა და ზღურბლზე ამაყად გადაალაჯა.

\* \* \*

ბებერი ლადასი ჩამოკონკილი, ფეხშიშველი და კმაყოფილი თავის ეზოში, ჭიშკართან, ქვის სკამზე იჯდა. მისმა დედაბერმა, ქალბატონმა პენელოპემ ქმარს გაბზარული ჯამით მუხუდოსა და ქერისგან მოღულებული ყავა, ერთი ნაჭერი ქერის პური და ციცქნა თეფშით ზეთისხილი სკამზე დაუდო. ჭამდა და სვამდა ბებერი ლადასი და თან თავის

დედაბერს ესაუბრებოდა, რომელიც უტყვი და გულგრილი იჯდა მის პირდაპირ ტაბურეტზე და წინდას ქსოვდა. ისიც ბებრუნანა იყო, სუსტი, ჩამოკონკილი, ისიც ფეხშიშველი, უზარმაზარი ცხვირი დაკიდებოდა და ძლიერ ჩამოჰგავდა ბებერ გაპუტულ ყარყატს.

თავიდან, ახალგაზრდობაში, ეპასუხებოდა და ედავებოდა ქმარს. ლამაზს კოპწიად ჩაცმა უყვარდა, არისტოკრატიული წარმოშობისა იყო, მაგრამ ნელ-ნელა მჭრელი მხარე დაბლაგვდა, სული დაიღალა, სხეულიც ჩამოჭკნა, წინააღმდეგობის გარეშე, უდრტვინველად დანებდა განადგურებას. ქალბატონი ლადუ<sup>5</sup> თანდათან დადუმდა. უსმენდა, უსმენდა, ხანდახან ჯერ კიდევ ბრაზდებოდა და ეწინააღმდეგებოდა შინაგანად, მაგრამ ჩუმად იყო. თუმცა იმ დღიდან, როცა მისი ერთადერთი ასული გარდაიცვალა, აღარც ბებერი ლადასის ლაქლაქს უსმენდა, აღარც ბრაზობდა, არც არაფერში ეწინააღმდეგებოდა. მკვდარს დაემსგავსა, რომელიც ჯერ კიდევ დადიოდა, ჭამდა, იძინებდა და იღვიძებდა, მაგრამ არ ცხოვრობდა. და მიცვალებულის ნეტარება, უანგარობა და ღირსება მოიპოვა.

ხვრეპდა ქერის ნახარშს ბებერი ლადასი, უყურებდა თავის დედაბერს, რომელიც ხმის ამოუღებლად და გულგრილად ქსოვდა წინდას და მას ერთი დიდი გეგმის შესახებ ელაპარაკებოდა, რომელიც წუხელ მოეფიქრებინა, უძილობისას და რომელიც ზანდუკს საყურეებით, ბეჭდებით, ყელსაბამებითა და ოქროს კოსტანტინატებით აუვსებდა.

— ყველაფერი კარგად მაქვს გონებაში მოფიქრებული, ყველაფერი სრულყოფილად, ჩემო პენელოპე, მაგრამ არ ვიცი ვის გავანდო ჩემი საიდუმლო, რადგან დიდი საქმეა და ორი კაცი სჭირდება. სამყარო დღეს, ქალბატონო პენელოპე, გაუფასურდა. ყველა გაუმაძღარია, გაიძვერა და შენი შეჭმა უნდათ. მაშ, ვის გავანდო საიდუმლო? ხაძინიკოლისი ჩერჩეტია, პატიოსან კაცად მოაქვს თავი, მასწავლებელია უბედური, რა შეუძლია? იმაზეც მაღლობა, რომ ქვებს არ ისვრის! მის ძმაზე, მღვდელ გრიგორისზე თუ იკითხავ, იმ ღორმუცელას, ვირეშმაკას, ყველაფრის ჩაჯიბვა სურს. არ გამომადგება, რადგან მეც ყველაფერი მინდა შევჭამო... თავს მიქნევ, ქალბატონო პენელოპე, მოხუც პატრიარქეასზე გინდა მითხრა. ფუი, დაივსოს! ის ღიპია, ადამიანი ხომ არაა, ათადან და ბაბადან მდიდარია, არასოდეს უმუშავია, არ იცის რას



ნიშნავს ოფლი... გაგონილი მაქვს, რომ არსებობენ ერთგვარი მსუქანი ჭიანჭველები, „სამეფოებს“ უწოდებენ მათ. ისინი დღედაღამ კოტრილობენ და ერთი ლაშქარი მონა ჭიანჭველები ჰყავთ, რომლებიც მათ კვებავენ, და თუ არ გამოკვებავენ, შიმშილით იხოცებიან... ასეთია ისიც – დამბლა კი დაეცეს! – მსუქანი სამეფო ჭიანჭველა. არ გამოადგება. და თუ სხვა უხუცესზეც იკითხავ, კაპიტან ფურტუნასზე, არაფერი ეშველება. ის ადამიანი არ არის, ერთი საარყე ქვაბია და გამუდმებით დულს. მაშ, სხვა ამხანაგი უნდა ვიპოვო ჩემს საქმეში... მაგრამ ვინ? ვინმე გყავს გონებაში, ჩემო პენელოპე?

დედაბერი ქსოვდა, ქსოვდა არაამქვეყნიურ ნეტარებასა და ძილქუშში ჩადირული. არაფერი ესმოდა. მხოლოდ წამით ასწია დაბინდული თვალები, არც ნაღვლიანი, არც გახარებული. მკვდარი. გვერთებოდა, მისმა მზერამ, იქით, ბებერი ლადასის ძვალსა და ტყავში გაატანა და მის უკან სახლის კედელი დაინახა, კედლის უკან – გზა, სოფელი და მინდორი, უფრო იქით კი – მთა სარაკინა და სარაკინას უკან, უსაშველოდ შორს, ზღვა და ზღვის იქით შავი, უკიდუგანო, უძრავი, ხაოიანი რამ – არაფერი. და კვლავ დახარა თვალები, ხელახლა, ნაჩქარევად შეუდგა წინდის ქსოვას, რომ მოესწრო.

\* \* \*

ქვრივი ჭის კიდეზე ჩამოჯდა. მოულოდნელად ტკბილი, აუტანელი დაღლა იგრძნო, ფეხზე დგომა აღარ შეეძლო. ახლა ისიც დუმდა. ჭაზე დაინახა, ღრმად, ბნელ მოშავო-მომწვანო წყალში თავის სახეს ჩაჰყურებდა. მთელმა მისმა ცხოვრებამ გაუელვა გონებაში: ობოლი იყო, მღვდლის შვილი შორეული დიდი სოფლიდან. თავისი ქმარი მირტიოტელი ღვთისმშობლის<sup>6</sup> დღესასწაულზე გაიცნო. მასზე გაცილებით უფროსი იყო, უკვე ხანდაზმული, თუმცა კარგი მეოჯახე. ის კი – ღარიბი. ცოლად შეირთო. კი არ შეირთო, იყიდა. მასზე ჯვარი დაიწერა და ლიკოვრისიში მოიყვანა. შვილები უნდოდა, ვერ შეძლო მათი გაკეთება, მოკვდა. ლოგინში მარტო მწოლარე ოცი წლის ქვრივს ძილი არ ეკარებოდა. სოფლის უცოლო ბიჭებიც ვერ იძინებდნენ, შუალამისას მის კართან, მის ფანჯრებთან, მის ეზოსთან დაწრივდებდნენ, მას სერენადებს უმღეროდნენ და მოზვრებივით

ზმუოდნენ. ისიც თავისთვის ხვნეშოდა. ამ წამებამ ერთი წელი გასტანა, ორი წელი. ერთ ღამეს, ერთ შაბათ ღამეს, მეტს ვეღარ გაუძლო. იმ დღეს ებანავა, თმაზე დაფნის ზეთი წაესვა, თავისი სხეული თვალი შეავლო, შეებრაღა. კარი გააღო. პირველივე ჭაბუკი, რომელიც შეხვდა, შინ შეიყვანა და ალიონზე, სოფლელების გაღვიძებამდე გაისტუმრა. ქვრივმა დიდი სიტკბო იგრძნო. ისიც იგრძნო, რომ სიცოცხლე ხანმოკლე იყო და დიდი საცოდაობა იქნებოდა მისი უბრალოდ დაკარგვა. შემდგომ ღამეებშიც გააღო კარი...

\* \* \*

მიხელისმა იმ ღამეს ავი სიზმარი ნახა. იმავე მღვიმეში დასძინებოდა, სადაც მანოლიოსს ეძინა. მამისეული სახლიდან რამდენიმე ხელი ტანსაცმლისა და ლოგინის გამოზიდვა მოასწრო, უპოვართ დაუნაწილა, თავისთვისაც ცოტაოდენი დაიტოვა და მღვდელ ფოტისს უთხრა:

– მამაო, დღეიდან ვტოვებ ლიკოვრისს და შენს ჭერს ვაფარებ თავს. ვიშრომებ, ვიბრძოლებ და თქვენთან ერთად ან გავიმარჯვებ, ან დავმარცხდები. ბარში ვეღარ ვძლებ.

– კეთილი იყოს შენი მობრძანება, შვილო ჩემო, ჩვენს ლაშქარში, – მიუგო მღვდელმა, – ერთად ავივლით აღმართს და მწვერვალზე ღმერთს ვიპოვით. ნასწავლი ხარ, ვაჟკაცური სული და დიდი გული გაქვს, საუკეთესო იქნები ბრძოლაში. კეთილი იყოს შენი მობრძანება!

– მოდი, ჩემო მიხელის, – უთხრა მანოლიოსმა, – ჩემი სამფლობელო, ჩვენი ეკლესიის გვერდითა გამოქვაბული გავინაწილოთ. ჩემთვის ნაჩუქარ მერცხლებიან ჯვარცმასაც იქ იპოვი.

მიხელისმა თავისი ნივთები და დიდი ვერცხლის სახარება მოიტანა. იმ ღამეს დაიძინა და ავი, თავზარდამცემი სიზმარი ნახა: თითქოს მარიორი მაღალ კოშკში იყო დატყვევებული და ვეება შავი ქოფაკები დარაჯობდნენ, რომ არ წასულიყო. და იდგა მიხელისი კოშკის ძირას და უმღეროდა, რომ ქალს მისი ხმის გაგონებაზე გადმოეხედა. და დაინახა მოულოდნელად, როგორ გაიღო კოშკის რკინის კარი და მარიორი გამოვიდა. ზღვისფერი კაბა ემოსა, გრძელი ბოლო ძირს დასთრევდა, სამი დიდი წითელი ვარდი ეკეთა – ერთი გულზე, მეორე – წელზე და მესამე მუხლზე. და დარბოდნენ მის წინ და უკან ენაგადმოგდებული და უტყვი შავი

ქოფაკები. მარიორის თეთრი ცხვირსახოცი ეჭირა და პირს იწმენდა. ნავი გამოჩნდა კოშკის ძირას, ვიწრო-ვიწრო, კუბოსავით. ხმელეთი ირგვლივ ზღვად ქცეულიყო. და ჩაჯდა მარიორი ნავში და წავიდა. და მოტრიალდა მიმავალი და დაინახა იგი, წითლად დაწინწკლული ცხვირსახოცი დაუქნია და ხმამაღლა, სულისგამყინავად შეჰკვივლა. მიხელისი ზეზე წამოიჭრა.

\* \* \*

გზას დაადგა იანაკოსი, მანოლიოსის გამოქვაბულისკენ გაემართა. გზად, ერთი მღვიმის წინ მიხელისი გაარჩია. რაღაც ეჭირა გულში ჩაკრული, რამდენიმე წკირი ანთო და ზედ დასცქეროდა.

იანაკოსი ფეხაკრეფით მიუახლოვდა. მიხელისი მთელი ეს დღეები დუმდა, ღრმა ფიქრებში ჩაძირული მარტოდმარტო და ეხეტებოდა გამოქვაბულთან და გამოქვაბულში და ადამიანებს მღუმარედ შესცქეროდა.

იანაკოსი მის მხართან დაინახა, დაინახა: მიხელისის ერთი პატარა, სამიოდე წლის გაძვალტყავებული ბავშვი ეჭირა და დაჰყურებდა. პატარას მუცელი გაბერვოდა, წვევები ლერწმებად ქცეოდა, ნიკაპზე გრძელი ბეწვები ამოსვლოდა.

– მიხელის... – უთხრა იანაკოსმა ხმადაბლა, მეგობარი რომ არ დაეფრთხო, – ნუ უყურებ.

მიხელისი მიუტრიალდა, თვალებიდან მღუღარე გადმოსდიოდა.

– შეხედე, იანაკოს, – ჩაილუღლულა, – წვერი ამოსვლია... სამი წლისაა და შიმშილისგან წვერი ამოსვლია! გზაზე ვიპოვე.

– ნუ უყურებ, – უთხრა კვლავ იანაკოსმა.

– გზაზე ვიპოვე, – გაუმეორა მიხელისმა, – მეტი აღარ შემიძლია, ვეღარ ვუძლებ. შენ შეგიძლია ამის გაძლება?

– წავიდეთ, – უთხრა იანაკოსმა და მას მკლავში ჩაავლო ხელი.

– მოიცა... ვერ ხედავ? კვდება.

ბავშვს ტირილი უნდოდა, თავი არ ჰქონდა, ხმელეთზე ამომხტარი თევზივით აფრენდა და მუწავდა პირს. მერე ანაზდეულად ხელები გაასავსავა და მოულოდნელად მიხელისის მკლავებში გაშეშდა.

– წავიდეთ, – უთხრა კვლავ იანაკოსმა, – აქ დატოვე, ხვალ საფლავს გავუთხრით...

– მეტს ვეღარ ვუძლებ, იანაკოს... შენ შეგიძლია ამის გაძლება?

მაგრამ იანაკოსს მისთვის მაგრად ჩაეჭიდა მკლავში ხელი და თან ექანებოდა.

<sup>1</sup> ოქრომკედით ნაქარგი ჟილეტი – ოქროს ან აბრეშუმის ძაფით ამოქარგული ჟილეტი, ბერძნული ეროვნული სამოსის ნაწილი, რომელსაც ფუსტანელასთან ერთად ატარებდნენ.


<sup>2</sup> გვარი ლადასი (ბერძნ. Λαδάς) წარმოდგება სიტყვიდან „λῆδη“, რაც ქართულად ნიშნავს „ზეთს“.

<sup>3</sup> კონაკი (თურქ. კონაკ) – სახლი, საცხოვრებელი.

<sup>4</sup> დრამი – წონის ძველი ერთეული, ოკას ერთი მეოთხასედი, თავად ოკა კი უდრის 1280 გრამს.

<sup>5</sup> ლალუ – ბერძნულ ენაში მდებარეობითი სქესის გვარები ნათესაობით ბრუნვაში დგას და, შესაბამისად, ბოლოვებიან ხმოვანზე „უ“ (ου).

<sup>6</sup> „მირტიოტელ ღვთისმშობელს“ უწოდებენ ღვთისმშობლის ხატს, რომელიც მე-14 საუკუნეში კუნძულ კითირაზე აღმოჩნდა. „მირტიოტელი“ მას ეწოდა (Μυρτιώτισσα = Μυρτιώτισσα < μυρτιέζ (მურტი)), ვინაიდან ტრადიციის თანახმად, ეს ხატი იპოვა მწყემსმა იმ ადგილას, სადაც მურტი იყო. დღესდღეობით ამ სახელს უწოდებენ ეკლესიებს, მონასტრებს, ხატებს, სადაც ღვთისმშობლის გამოსახულებაა მურტის ტოტებით მორთული. საბერძნეთში „მირტიოტელი ღვთისმშობლის“ დღესასწაული 24 სექტემბერს აღინიშნება.



გიორგი ვიბახაშვილი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრის პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის, ი. ჯავახიშვილისა და ი. გოგებაშვილის მედლების კავალერი გარდაიცვალა 2013 წლის 23 ივლისს.

გამოქვეყნებულია პროფესორ გიორგი ვიბახაშვილის სამასამდე სამეცნიერო პუბლიკაცია, წიგნები -- „ქართული ენის თვითმასწავლებელი“, „ქართული ენა ყველასათვის“, „თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები“, „ფოლკლორული ტექსტის თარგმნის თავისებურებანი“

და ა.შ.. მეცნიერი წლების განმავლობაში იყო ჟურნალის „რუსული ენა ქართულ სკოლაში“ მთავარი რედაქტორი.

მისი მრავალმხრივი მოღვაწეობიდან განსკუთრებით გვინდა გამოვყოთ მთარგმნელობითი საქმიანობა. იგი იყო შესანიშნავი მთარგმნელი – თარგმნიდა ად. მიცკევიჩის, ჰ.ჰაინეს, ნ. ნეკრასოვის, ალ. ბლოკის, მ. ცვეტაევის, ი. სევერიანინის, ნ. აგნიცევის და სხვა ბრწყინვალე პოეტების შედევრებს; ი. კრილოვის არაჩვეულებრივ იგავებს; უნგრული ფოლკლორის ნიმუშებს... მისი თარგმანები გამოცემულია ცალკე წიგნებად და დაბეჭდილია სხვადასხვა კრებულში.

აქ იმ ბედნიერ შემთხვევასთან გვქონდა საქმე, როდესაც მეცნიერი, თარგმანის თეორიის ბრწყინვალე სპეციალისტი მთარგმნელისა და პოეტის ნიჭითაც იყო დაჯილდოებული; ამ ნიჭიერებისა და დიდი პასუხისმგებლობის სინთეზით შექმნილი ნაწარმოებების ნაწილს წარუდგენს მკითხველს ჟურნალი „ანეული“.

### ნიკოლოზ ნეკრასოვი

\* \* \*

შენ, ჩემო ლექსო, სიტყვით კი არა,  
სისხლით და ცრემლით ნაშობ-ნაკვებო,  
მოურჩენელო გულის იარაგ,  
ზოგჯერ ნალანძლო, ზოგჯერ ნაქებო.  
ბატონის მწარე წკეპლით დასჯილო,  
ხუცესის მიერ შეჩვენებულო,  
მრუდე სიმართლით მრუდედ განსჯილო  
და კატორღაში გვებულ-ვნებულო.  
შენც და მეც უნდა ვითმინოთ ერთად,  
შენც და მეც უნდა მივენდოთ იმედს,  
რომ მოვა დრო და სიმართლის ღმერთი  
ერთხელაც, ალბათ, ჩვენც გაგვიღიმებს.  
სიმართლის ღმერთი – მრისხანე ღმერთი!  
ო, მისი ნახვა რარიგ მიტაცებს.  
მისთვის ხომ საქმე ყველაზე მეტი  
არის რუსეთის წმინდა მიწაზე.

\* \* \*

დედაქალაქში ვნებები დულს, ლანძღვა, გინება,  
ერთი ახვარი სხვა თავის მსგავსს ასწავლის ნამუსს.  
ყველა ესწრაფვის შეუერთდეს რაღაც დინებას  
და ვისაც ძალუძს, ხშირად იცვლის პარიზულ სამოსს.  
ქალაქსგარეთ კი სიჩუმეა და მრუმე ნისლი.  
რუსეთის მიწა მისცემია ძილქუმის მორევს.  
დროდადრო მძიმე მათრახების ტყლაშუნი ისმის,  
გააგებული ბატონი რომ აღვიძებს მონებს.  
სიკვდილის ფერი დასდებია მიწა-მარჩენალს,  
აღარსად ისმის ალესილი ნამგლის წკრიალი.  
მშიერ-მწყურვალე გლეხი სწყევლის თავის გაჩენას.  
ღმერთო მაღალო, იქნებ ჩვენზე ახიც კი არი.

## ადამ მიცკევიჩი (1798-1855)

ფ ა რ ი ს ი

ყასიდა,  
შეთხზული ემირ ტაჯ-უ-ფეხრის  
პატივსაცემად და მიძღვნილი ივანე კოზლოვისადმი

ვით ნავი, ზღვაში ნაპირიდან შესული ლაღად,  
ნიჩბების ფრთებით ზღვას ეხვევა როგორც მეგობარს,  
მკერდით მოიპობს მოლივლივე მხიარულ ტალღას  
და ჯიქურ უტევს, თუ ზვირთები გადაელობა,  
ისე არაბი შავი რაშით ისკუპებს კლდიდან  
და უდაბნოში ქვიშის ზღვაში გადაეშვება.  
ქვიშა იმხივლებს, როგორც წყალში მხურვალე რკინა,  
ცხენსა და მხედარს ცხელ მხეფებად გადაემლება.  
თვალეებს უბრმავეებს, სულს უხუთავს, ცხენი კი კუმტად  
დელფინის მკერდით მიიწევს წინ და ფლოქვებს ურტყამს.  
სულ უფრო მტკიცედ, სულ უფრო სწრაფად  
წინ მიილტვის და გზასაც არ ეძებს.  
აჰა, ის უკვე, ვით შავი აფრა,  
მიცურავს ქვიშის ტალღათა თხემზე.  
ველარ გაარჩევ, რაშია თუ ღრუბელი შავი,  
თეთრი ნიშანი შუბლზე როგორც ვარსკვლავი ელავს.  
ბოროტი ქარი ფაფარს უშლის და მისდევს ავად,  
თეთრფეხა ცხენი კი უდაბურ სივრცესა სერავს.  
გასწი, გაქუსლე, თეთრფეხა ცხენო!  
გზიდან მოგვმორდით, მთებო და ტყენო!



გზად მწვანე პალმა მპირდება ჩეროს,  
ნაყოფსაც მიწვდის და რტოებს მიქნევს.  
მე კი მივქრივარ. რა შეაჩერებს  
ამ გიჟურ რბოლას, სურვილს და ფიქრებს.  
პალმას არ მოსწონს, რომ მასაც ვტოვებ,  
და აღარ მიქნევს გამოწვდილ რტოებს.  
ის ქედმაღლობად ჩამითვლის უარს  
და მემდურება უმადურ სტუმარს.  
უდაბნოს მცველად აზიდული კლდოვანი მთები  
ექოს ძახილით მიბრუნებენ ცხენის ფეხის ხმას,  
სიგიჟედ თვლიან ბედუინის თავგამეტებას  
და ქვიშის ზღვაში მპირდებიან სიკვდილის რისხვას:

„სად მიდის გიჟი, უგონო, ურჩი.  
მას უდაბნოში მზე დასწვავს ცხარე.  
იქ არც პალმაა, არც ხე ან ბუჩქი  
და არც კარავი თავშესაფარი.  
მას იქ არავინ არ შეიბრალებს  
და ვერ საცდება სიკვდილის ბრჭყალებს“.  
სალი კლდეები პირქუშად დგანან  
და ვარსკვლავები ცაში ძლივს ჩანან.

მე მესმის კლდეთა მუქარა, რისხვა,  
მაგრამ მე უკვე შორსა ვარ მათგან.  
ფერმკრთალდებიან, მოჩანან ძლივსლა  
და აი, უკვე ბურუსმა შთანთქა.  
კლდეთა მუქარა დაიჯერა უდაბნოს ძერამ,  
რომ ბედისაგან განწირული აქ უნდა მოვკვდე.  
შავი გვირგვინის წრეებს ხაზავს, დამჩხავის, მზვერავს,  
სიკვდილს მიქადის და ყარყაშით კვალდაკვალ მომდევს.

„ნადავლსა ვხედავ, სუნი მცემს ლეშის  
ბრიყვი მხედრისა და მისი რაშის.  
უგუნურები! ვერც კი ხვდებიან, –  
ვინც აქ მოსულა, აქვე რჩებიან.  
არც ბალახია აქ, არც ცის ნამი,  
აქ ყველაფერი იწვის და კვდება.  
მზე, ქარი, ქვიშა და გველის შხამი  
მხოლოდ სიკვდილის ასრულებს ნებას.  
ლამეს ათევენ აქ მხოლოდ მკვდრები  
და ცას სერავენ ძერათა ფრთები“.

თავხედმა ძერამ ჩამიქროლა ბოროტი მზერით.  
მე გავეუძელი, მშვილდ-ისარი მოვზიდე მარდად  
იგი შეშინდა, ხმა ჩაუწყდა, დაკარგა ფერი  
და ცის სიღრმეში კოლოსავით გაუჩინარდა.

გასწი გაქუსლე, თეთრფეხა ცხენო!  
გზიდან მომცილდით, ძერებო, კლდენო!

დასავლეთიდან წამოვიდა პირქუში ტალღა  
და ცის ლაჟვარდი დაიფარა შავბნელი ღრუბლით.  
ჩანს, ღრუბელს სურდა ენავარდა ზეცაში ლაღად,  
ვით მე მიწაზე დავნავარდობ სულ თავისუფლად.  
წამომეწია, ჩააბნელა სავალი გზები  
და აღსასრული მიქადაგა ბოროტი გზებით:

„გიჟია ცხადად, სად და რისთვის მიეშურება.  
წინ ხომ სასტიკი უდაბნოა და სიცხე მწველი.  
იქ არც ბალახი და არც წყალი არსად არ ელის,  
რადგან მიწის პირს წვეთი წვიმა არ ეპკურება.  
და თუ როგორმე ცას მოსწყდება თუნდ ერთი ცვარი,  
მას ხარბად შთანთქავს მშიერი ქარი“.

ამოდ ბრაზობს. ჩემი რაში მიაპობს სივრცეს,  
შავმა ღრუბელმა კი სვლას უკლო, ჩანს, დაიღალა.  
მერე გაჩერდა, დაუძღურდა და გაიცრიცა,  
კლდეზე უღონოდ ჩამოწვა და ჩამოიშალა.  
მე მას შევხედე ქედმალღურად, ნიშნის მოგებით.  
ქანცვაწყვეტილი წითლდებოდა და შავდებოდა.  
ესმოდა ჩემი სიხარული, ფიქრი, გრძნობები,  
შური აზრჩობდა და ვხედავდი, როგორ დნებოდა.

შენ კი იფრინე, თეთრფეხავ ჩქარო!  
გზა დამიცალეთ, ღრუბლებო, ქარო!  
და როს ღრუბელი გაუჩინარდა,  
მიმოვიხედე, შევხედე ზეცას,  
მდევარს ვეძებდი, არავინ ჩანდა,  
უდაბნოს მხოლოდ დუმილი ეწვა.

და უცებ, ღმერთო, ეს რა არის, ვერ გამიგია,  
აქ მოსულთაგან მე პირველი თურმე არა ვარ.  
ქვიშის ბორცვებთან გაჭიმული თეთრი რიგია,  
ხოლო მის ირგვლივ დუმილია გულშემზარავი.  
თითქოს მხედრები მოლოდინში გარინდებულან,  
ან გზა აებნათ და უმწეოდ ჩაფიქრებულან.  
ეს ჩონჩხებია, დალუპული ქარავნის ძვლებზე.  
მათ ყბებში გველი დაძვრება და საკბილოს ეძებს.  
ქვიშის ჩხრიალი უერთდება გველების სისინს  
და ამ ხმაურში კვლავ სიკვდილის მუქარა ისმის:

„ჩანს, რომ ბედუინს მართლდა უნდა ამ გზით იაროს  
და უგუნურმა მათი ბედი გაიზიაროს“.

მე არ მაშინებს საზარელი ჩონჩხების ცქერა  
და ჩემი ცხენი კვლავ უდაბნოს სივრცესა სერავს.  
უცებ მომესმა საშინელი რაღაც გრიალი, –  
ეს ხომ უდაბნოს მბრძანებელი ქარიშხალია.  
ანგრევს ყველაფერს, გრგვინავს, ღელავს, ბორგავს, ტრიალებს.  
ის სიძლიერეს თავისას გრძნობს და უხარია.  
უცებ შეჩერდა და იყვირა სასტიკი წყრომით:

როგორ გაბედე, თავხედურად დამიდექ წინა!  
 ვინა ხარ – ძმა თუ რაღაც ჭია, მიწაში მძრომი?  
 დაინახა, რომ მისმა რისხვამ ვერ შემაშინა.  
 ვით პირამიდა, ცად აიჭრა უზარმაზარი,  
 ფრთები გაშალა, არაბეთი შეაზანზარა,  
 ტალღა მომხვია, ცხელი სუნთქვით სულს მიხუთავდა,  
 დაბლა მაგლებდა, მაწვებოდა, მიწაში მფლავდა,  
 ცოფებსა ჰყრიდა, რომ ხედავდა, არ ვარ ძლეული,  
 და ქვიშის ლაშქარს კვლავ მისდევდა გადარეული.  
 არც მე ვაკლებდი, ვერ გამტენა მუქარამ, რისხვამ.  
 გულით მინდოდა მტარვალისთვის სანაცვლოს მიზღვა.  
 მეც გამმაგებით ვგლეჯდი, ვფლეთდი მის ქვიშის სხეულს  
 და ვიგრძენი, რომ გავიმარჯვე, ვაჯობე წყეულს.  
 იგი მოდუნდა, ვეღარ შეძლო აჭრა ჰაერში,  
 ღონე გაუქრა, შეეშინდა თითქოს სიმაღლის.  
 ქვიშის ნიაღვრად ყრუ ჩხრიალით დაბლა დაეშვა  
 და გაირინდა, ვით ნანგრევი ციხე-სიმაგრის.  
 სული მოვითქვი, ცას ავხედე სიბნელით მოსილს,  
 სალამს მიძღვნიდა, მიღიმოდა ვარსკვლავთა დასი.  
 მათ უხაროდათ, რომ სიკვდილის ამ საუფლოში  
 მე ერთი მაინც დავდიოდი ცოცხალი არსი.  
 ლაღად ვსუნთქავდი, მზად ვიყავი გაშლილი მკერდით  
 მთელი ჰაერი ჩამეყლაპა, ვით ერთი წვეთი.  
 თვალსაწიერი გაფართოვდა, გაქრა ბნელეთი  
 და ჩემმა მზერამ მთლად მოიცვა ცა და ხმელეთი.  
 ამ გამარჯვებამ მე უშრეტი შემმატა ძალა,  
 გულს სიყვარული არნახული მოედო ალაღ.  
 ეს სიყვარული მთელ სამყაროს, ალბათ, ეყოფა,  
 მთელ დედამიწას ხელს გავუწვდი, როგორც მეგობარს,  
 მოვეფერები, ჩემს სიხარულს გავუზიარებ  
 და მოვიშუშებ დიდი ბრძოლით მძიმე იარებს.  
 ჩემი ფიქრები უკვე ცისკენ მიექანება.  
 ეს სიცოცხლეა, სიხარული, ტკბილი ზმანება.  
 როგორც ფუტკარი, მტერს დაკბენს და თვითონაც კვდება,  
 ეს ჩემი სულიც ცაში ფიქრთან ერთადა დნება.

შენიშვნები:

1. ფარისი, ავტორის განმარტებით არაბი მხედარ-რაინდია.
2. „ემირი ტაჯ-ულ-ფახრი“ („ემირი დიდების გვირგვინით შემკული“) – ასე უწოდებდნენ არაბები ცნობილ აღმოსავლეთმცოდნეს გრაფ ვაცლავ რუჟეუსსკის, რომლის მონათხრობებმაც დიდი გავლენა მოახდინეს ახალგაზრდა მიცკევიჩზე. ივანე კოზლოვი – რუსი პოეტი-რომანტიკოსი, მიცკევიჩის მეგობარი პეტერბურგში ცხოვრების წლებში.
3. ადამ მიცკევიჩმა თავის ნაწარმოებს უწოდა „ყასიდა“, რაც არაბულ პოეზიაში ლექსის ერთ-ერთი სახეობაა.

## ივანე კრილოვი

### მგლის ფიცი

როცა აზრი მოღუნდება,  
ცხოვრებაში ასე ხდება.  
ერთხელ ძველი ცხვრის ფარაში შეიპარა  
და დაიწყო ტკბილად, წყნარად:  
– მოისმინეთ ჩემი რჩევა,  
დაივიწყეთ ძველი ჩვევა.  
ნუ ენდობით მწყემსებს, ძაღლებს –  
თქვენი ხორციით გაუმაძღრებს.  
თუკი ვინმე თქვენ ხელს გახლებთ,  
მომენდეთ და სიტყვას გაძლევთ, –  
თავს მოვიკლავ და დაგიცავთ, –  
ჩემს ღმერთსა და ნამუსს ვფიცავ.  
მგლის ნათქვამი მოეწონათ ბეკეკუნებს.  
ალტაცებით ფეხებიც კი აბაკუნეს...  
მერე ჩუმად ფარეხები მიატოვეს  
და...  
წააწყდნენ ჩასაფრებულ მგლების ხროვებს.  
რა უნდა ვთქვათ ასეთ ცხვრებზე,  
ვინც არ იცის, თუ რას ეძებს?  
გელი, ქარიყლაპია და კიბო  
როცა საქმეში მეგობრები ვერ თანხმდებიან,  
სასაცილონი ქვეყნის თვალში ხომ გახდებიან,  
ცუდი ის არის, თვითონ საქმეც არა კეთდება.  
ერთხელ, როგორც ეს ზღაპარში ხდება,  
ქარიყლაპიამ, კიბომ და გელმა  
მოიწადინეს უღელში შებმა  
და ურმით სადღაც წაღება ტვირთის  
(ჩვენ ეს არ ვიცით – რატომ და ვისთვის).  
ყველა თავისას აწვება უღელს,  
ძალი და ღონი არ დაიშურეს,  
აქანავებენ, ანჯღრევენ ურემს,  
მაგრამ რა გინდა, – ძვრა კი ვერ უყვეს,  
რადგანაც გელი აფრინდა ცაში,  
ქარიყლაპიამ შესცურა წყალში,  
კიბომ კი უკან წასვლა დაიწყო.  
არადა, ტვირთი მძიმე არ იყო.  
და ვერც დაძრავდნენ ასე ადვილად,  
ვერ წაიღებდნენ იმ ურემს ვერსად.  
ერთი რამე კი ვიცით ნამდვილად, –  
რომ ის ურემი იქ არის დღესაც.





## მ ა ნ დ ი ლ ი

ქალისადმი დამოკიდებულება ოდიდგანვე მოწიწებული იყო საქართველოში. ამაზე ნათლად მეტყველებს ჩვენს ენაში დამკვიდრებული სიტყვები: დედაქალაქი, დედაენა, დედამიწა და ასე შემდეგ. ამიტომ მინდა, წინამდებარე სტატია, რომელშიც განხილვის ძირითადი თემა ზნეობრივი კრიტერიუმების საკუთრივ ქართული სკალის წარმოჩენაა, მასში მანდილოსნების წვლილით და ადგილით იქნას წარმოდგენილი.

ჩვენ საუნივერსიტეტო წმინდა ნინოსადმი მიძღვნილ თავში „ცხოვრება და მოქალაქობა ღირსისა და მოციქულთა სწორისა ნეტარისა ნინოსი“ წმინდა ნინოს გარდაცვალების თარიღი ასე არის მოცემული:

„ესრეთ შემკული მოციქულობისა მადლითა და ბრწყინვალე ქალწულებითა და განშუენებული სიმრავლითა ღუაწლთა თა და აღტ რთული ტალანტთა სიმრავლითა, წარმოუდგა წმიდასა სამებასა და მიართუნა ძღუნად სიმრავლენი ერთანი და ღუაწლთა მიერ განკაფული სოფლისა ამისგან სუფევეად საუკუნოდ აღვიდა ოცდამეათხცუთმეტესა წალსა ქართლს შემოსლვასა მისისასა. ხოლო დასაბამითანთა წელთა ხუთიათას რვაას ორმეოცდა მეთხუთმეტესა“. ეკლესიის მიერ 14 (27) იანვარი წმინდა ნინოს ხსენების დღედ არის დადგენილი.

ამ მოვლენიდან ორი საუკუნის თავზე, 523 – 535 წლებში მმართველ კამანარსეთი სრულდება საქართველოში ფარნავაზიანელთა დინასტიის ცხრასაუკუნოვანი მეფობის ეპოქა, რაც, თავის მხრივ, საფუძველს უყრის ბაგრატიონთა წარმოჩინებას მომდევნო თორმეტი საუკუნის განმავლობაში.

თხუთმეტი საუკუნის მანძილზე ატარა საქართველომ ცვალებადი წარმატებით ქრისტიანული ცხოვრების აღმსარებლობითი ბიარალი, რომელიც მას წინა აზიის ფორფოსტის გამგებლად წარმოაჩენდა. ამგვარი აღზევების აპოგეად კი XI – XIII საუკუნეების ოქროს ხანა მოგვევლინა, როდესაც საქართველო თითქმის მთელ ამიერკავკასიაში სახელმწიფოებრივი და სარწმუნოებრივი ჰეგემონის როლს ითავსებდა ერთდროულად. მაგრამ, ყოველ აღმასვლას, როგორც წესი, მოსდევს დაღმართი. ქვეყანა, რომელიც სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობას აღიარებს და არ ფხიზლობს მტრისადმი მიმართული „მეორე ლოყის გარემოებით“, აუცილებლად თავად შობს თავისივე დამსჯელ დომოკლეს მახვილს. და შედეგად არ დააყოვნა.

მცხეთის ჯვრის ტაძრის აგებიდან (586–604) ზუსტად 1000 წლის თავზე, მეზობლად

მდებარე ირანში, სადაც ქრისტიანობის მაოპონირებელი მაჰმადიანური აღმსარებლობითი წესწყობილება სუფევდა, 1571 წლის სწორედ 27 იავარს დაიბადა სეფიანთა დინასტიის ერთ-ერთი უძლიერესი მმართველი – დიდად წოდებული შაჰ – აბას I. მისი მეფობის 42-წლიან ხანაში (1587 – 1629) ამ ქვეყანამ უდიდეს სიძლიერეს მიაღწია. აღსანიშნავია, რომ მისი გარდაცვალებაც მართლმადიდებელი ეკლესიის თორმეტთაგან ერთ-ერთ უმთავრეს დღესასწაულს ეხმიანება – 1629 წლის 19 იანვარი, – ნათლისღება მაცხოვრისა ჩვენი იესოსი.

თეოლოგიაში კი მოცემული საკითხის გადაჭრის გასაღები პრობლემატიკის პირველ საფუძველშივე მოიპოვება. სახელდობრ. ქართულმა, სომხურმა და ალბანურმა ეკლესიებმა ერთიანი რელიგიური პლატფორმა პირველად 506 წელს დვინის საეკლესიო კრებაზე აღიარეს, რაც, თავის მხრივ, 451 წლის ქალკედონის კრების შედეგის წმინდა ამირკაკაკასიული დაგვირგვინება იყო. შედეგად 605 წელს არაგვისა და მტკვრის შერწყმის ადგილას აიგო უმშვენიერესი მცხეთის ჯვრის ტაძარი.

სწორედ ამ თვალსაწიერმა დააწერინა მიხეილ ლერმონტოვს პოემა „მწირის“ ეს სტრიქონები:

Там, где, сливаясь, шумят,  
Обнявшись, будто две сестры,  
Струи Арагви и Куры,  
Был монастырь.

მე ამ სტრიქონებში მცირედენ გენეტიკურ შესწორებას შევიტანდი, რადგან ქართულ აკვაგეოგრაფიას მდებარებით X ქრომოსომებთან ერთად Y ქრომოსომებიც გააჩნია:

მცხეთა – არმაზის კალთის მიჯნაზე,  
შავ – თეთრი არაგვის და – ძმანი ერთვის  
ტაოს ასული მტკვარის სინაზეს,  
– აქ აღიმართა ტაძარი ღმერთის.

ვფიქრობ, სწორედ ამგვარმა მასშტაბურმა გეოპოლიტიკურმა ხედვამ გადაადგმევინა თვალსაჩინო ქართველ მეფე დავით აღმაშენებელს სახელმწიფოებრივად შორს გათვლილი ნაბიჯი, როდესაც იგი ყოჩაღებს დაუმოყვრდა. მან ზუსტად აღიქვა საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის უნიკალურობა და წინამორბედთა ფესვების წარმომავლობა ორგანულად გაითავისა. ამისათვის იგი არამც თუ ორაგულივით აუყვია ფარნავაზიანთა დინასტიის კალაპოტს სათავეებთან საქვირითოდ, არამედ არაგვისა და მის საპირწონედ მდებარე თერგს შორის გადაჰკიდა თავის მებრძოლ ბედაურს უნავირი.

ჩვენ თანამედროვეობას შეუძლია ახალი, გაუკვალავი გზით დაიბრუნოს ის უნიკალური სიცოცხლის ძარღვი, რასაც ოდესღაც ფლობდა. აქედან გამომდინარე, უპრიანად მიმაჩნია დღევანდელი თვალთახედვით შეგვეფასებინა სიმბოლიკა, რომელიც ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის ერთ-ერთ სავიზიტო ბარათს წარმოადგენს.

მოქანდაკე ელგუჯა ამაშუკელის მიერ ხის მასალაში შესრულებული ქართლის დედის ფიგურა 1959 წელს აღიმართა, ხოლო 6 წლის დაყოვნებით კომკავშირის ხეივანდ წოდებული ფერდობის მშენება ალუმიინის მასალით დაიფარა. სად ვხედავთ ამ ნოვაციათა გადამღერების საფუძველებს?

1924 წლის დასაწყისში ვლადიმერ ლენინის გარდაცვალების გამო წითელ მოედანზე დაიდგა ხის მასალისაგან სახელდახელოთ აგებული მავზოლეუმი, ხოლო 5 წლის დაყოვნებით, 1929 წელს ა. შუსევის პროექტის საფუძველზე აშენდა მუქი შინდისფერი მარმარილოთი მოპირკეთებული ქვის ნაგებობა.

1993 წლის ოქტომბრის მოვლენების შემდეგ, როდესაც მოსკოვში კრახით დამთავრდა სახელმწიფო გადატრიალების მორიგი უშედეგო მცდელობა, მთავრობის 7 ოქტომბრის დადგენილებით გაუქმდა პროლეტარიატის ბელადთან არსებული დაცვის პოსტი.

არც ამ მოვლენას გაუვლია უკვალოდ „დამოუკიდებელი“ საქართველოს დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაში. 5 წლის დაყოვნებით ჩვენთანაც ჰპოვა გამოვლინება ამ ფაქტმა – 1998 წელს ქართლის დედა ამჯერად უკვე ბრინჯაოს მასალისგან იქნა ჩამოსხმული, რომელიც ქალაქის ცენტრალურ მოედანზე აწ უკვე წმინდა გიორგის დაჰყურებს.

მე არ მახსენდება, მსოფლიოს რომელიმე წარმოსადგე ქალაქში ცენტრალური მუნიციპალური მოედანი სალოცავი სიმბოლიკით რომ იყოს შემკული. შუა საუკუნეებში აშენებულ ქალაქებშიც კი, რატუმის მოედნებზე, რომლებიც საკულტო ფუნქციონალური დატვირთვის მატარებლები არიან უმთავრესად, როგორც მახსოვს, მეფეების,

იმპერატორებისა და მხედართმთავრების ქანდაკებებს დგამენ.

სინამდვილეში კი საკითხის არსი ის არის, რომ სოლოლაკის ფერდობზე ქართლის დედისა და ქალაქის მთავარ მოედანზე მდებარე აწ უკვე წმინდა გიორგის ქანდაკებათა ადრინდელმა იდეის მატარებელმა ბერეკტებმა და მრევლმა მოხერხებულად, ქამელეონის დარად სახე იცვალეს და ორიენტირების ვექტორები დასავლეთისაკენ მიმართეს, რის გამოც მათმა ფუნქციურმა დატვითვამაც სახე იცვალა.

საკითხის დასაზუსტებლად ისტორიულ ცნობას მოვიხმობ.

რომის პაპი იულიუს II ვატიკანს განაგებდა 1503 წლის 31 ოქტომბრიდან 1513 წლის 21 თებერვლამდე. ამ თითქმის ათწლიან პერიოდში მრავალი ომი გადახდა ქვეყანას, სადაც მღვდელმთავარი თავად მონაწილეობდა.

სამოციქულო ღირსების დასაცავად პაპმა შვეიცარიელებს სთხოვა, გაეგზავნათ 200 მეომარი მისი პირადი გვარდიისათვის. 150 საუკეთესო შვეიცარიელი მეომარი ვატიკანში ჩავიდა მოვალეობის შესასრულებლად კაპიტანი კასპარ ფონ სილენენის (Captain Kaspar von Silenen) მეთაურობით. ამიერიდან ვატიკანის შვეიცარიული გვარდიის დაარსების დღედ მიღებული იქნა 1506 წლის 22 იანვარი. მაგრამ აღსანიშნავ თარიღად 1527 წლის 6 მაისი არის მიჩნეული. ამ დღეს გერმანულმა და ესპანურმა არმიებმა კარლ V მეთაურობით ძირფესვიანად გაანადგურეს რომი. ქრისტიანობის დედაქალაქის ეს დარბევა ცნობილია რომაული ხოცვა-ჟლეტვის სახელწოდებით – „Sacco di Roma“. პაპის 189 ერთგული გვარდიელიდან ცოცხალი გადარჩა მხოლოდ 42, რომლებმაც კლიმენტ VII გადაძალეს „წმინდა ანგელოზის“ (Castel Sant'Angelo) სასახლეში. აღნიშნული გმირული მოვლენის აღსანიშნავად, სწორედ ამ დღეს, სან დამასო-ს (იტალ. Cortile di San Damaso) მოედანზე ტარდება პაპის გვარდიის ახლადწვეული მეომრების ფიცის მიღების ულამაზესი სადღესასწაულო ცერემონიალი.

ამგვარად, 1224 წლის დაყოვნებით წმინდა გიორგის თავის კვეთის დღე – 303 წლის 6 მაისი, შვეიცარიელი გვარდიელების გმირობის შედეგად ამ სახით დამკვიდრდა ვატიკანში.

თემატიკიდან გამომდინარე, აქ რამდენიმე სიტყვით ქალაქგეგმარებით ასპექტსაც მინდა შევეხო.

ქართული ხუროთმოძღვრობის თეორიული და პრაქტიკული სფეროების მესვეურთა ერთობლივმა ძალისხმევამ მოიტანა დედაქალაქის მთავარი ისტორიული საფორტიფიკაციო ნაგებობის – ნარიყალის გალავანის აღდგენა. მოგვიანებით ქალაქის ამ მთავარი ციტადელის ქვედა ნაწილში აიგო საკულტო ნაგებობაც ისე, როგორც ეს ფუნქციონალურად ეკუთვნის ქალაქის მთავარ ციხესიმაგრეს. მაგრამ ქვედასთან ერთად ნარიყალას გააჩნია ზედა ნაწილიც, რომელსაც ისტორიულად საერო დანიშნულება ჰქონდა ყოველთვის. და, მართლაც, გარკვეული ხანი აქ ფრიალებდა ახლად აღმართულ ფლაგშტოკზე სახელმწიფო დროშა, რომელიც შემდგომ ჯვრით შეიცვალა. ამრიგად, საქართველოს დედაქალაქის ცენტრალურ ციხესიმაგრის – ნარიყალის ქვედა და ზედა ნაწილები ორივეგან საკულტო დანიშნულების მატარებელია.

გამოთქმული მოსაზრების ნონსენსი კიდევ ერთი გარემოებით დასტურდება.

მოქანდაკე მერაბ ბერძენიშვილის მიერ შესრულებული დავით აღმაშენებლის ძეგლი ავტორთან შეუთანხმებლად მოხსნეს რესპუბლიკის მოედნიდან და ქალაქის დასავლეთ შემოსასვლელში დადგეს. ეს აშკარად მიგვანიშნებს შეხშიანებას დიდი ქართველი მეფის გელათის კომპლექსის შესასვლელში დაკრძალვის ფაქტთან. ამას გარდა, იმ ძეგლის გვერდით გამალებით ავეჯის მალაზიების კორპუსი კორპუსს ემატება. ეს კი აშკარად გრიგოლ აბაშიძის „ლაშარელაში“ დიდვაჭარი ხამდავლეს გაშენებულ სავაჭრო წერტილებს მოგვაგონებს, რომელმაც კუბოებით გაავსო ქალაქი.

კი მაგრამ საქართველოს დედაქალაქი გელათის სამონასტრო კომპლექსი არის თუ მარადი იერუსალიმი?

თბილისს გააჩნია ისეთი უნიკალური ისტორიულ-აღმსარებლობითი მრავალგვარი კონფესიური შემადგენელი, როგორც, ალბათ, მსოფლიოში თითზე ჩამოსათვლელ ქალაქებს ახასიათებთ. ასე რამდენიმე ჰექტარ კალას უბნის ფართობზე ერთი მეორის გვერდით მრავალი საუკუნის განმაცვლობაში თანაარსებობენ: მეჩეთი, სინაგოგა, სომხური გრიგორიანული და ქართული ქრისტიანული ტაძრები, ხოლო ოდნავ მოშორებით, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გვერდით მდებარეობენ რუსული და კათოლიკური ეკლესიები. თუ ეს მოქმედი საკულტო ნაგებობები ერთმანეთთან ახლოს, მაგრამ მაინც გარკვეული მანძილით დაცილებულად მდებარეობენ, მათში მოსიარულე მრევლი, მიუხედავად აღმსარებლობისა

და ნაციონალური კუთვნილებისა, ძალიან ხშირად ერთ ეგრეთ წოდებულ „იტალიურ“ ეზოებში ცხოვრობენ. და ამ უიშვიათეს საგანძურს დაცვა და გაფრთხილება სჭირდება. სწორედ ამისათვის არის საჭირო საღი საერო მმართველობითი სისტემა.

დაბოლოს, როგორც არქიტექტორიც და უბრალოდ, როგორც მოქალაქე, მინდა შევეხო საკულტო ნაგებობათა მშენებლობის საკითხს. ისმება კითხვა – პასუხობს კი ტაძრის აგებულების ის ძველი ფორმა (რომ არაფერი ვთქვათ კონსტრუქციულ რკინაბეტონურ შემაღენელზე) ქრისტეს, ალაჰისა თუ ბუდას სხეულის იდენტობას, როგორც ეს მიესადაგებოდა მრავალი საუკუნეების წინ? თანამედროვე დასავლურ არქიტექტურაში უამრავი მაგალითი გვაქვს სრულიად ახალი ფორმისა და კონსტრუქციების ტაძრების მშენებლობის პრაქტიკისა. მაგრამ ეს მცდელობები, ჩემი აზრით, ვერ გამოხატავს ადამიანის სულიერი და სხეულებრივი აგებულების ცოცხალ ერთობლიობას.

შუა საუკუნეებში სამეფო ოჯახი მთელი თანხლები ქარავანით ერთი თვე უნდებოდა დასასვენებელ ადგილამდე მიღწევას, კვირებს ანგარიშობდა, სანამ ცხენოსანი ფოსტის გზავნილს მიიტანდა ადრესატამდე. დღევანდელ ტექნიკის მიღწევათა მეშვეობით კი ადამიანმა ათასობით კილომეტრი მანძილი დაძლია, რის მეშვეობითაც, გარდა ფიზიკური გადაადგილებისა, წამებში ამყარებს კომუნიკაციას მთელ სამყაროსთან. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს უბრალო ჭეშმარიტება, რომ თანამედროვე ტაძარმაც უნდა მიიღოს ცხოვრების გართულებული ამგვარი მასშტაბის ამსახველი ფორმა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არა განწმენდის კერად, არამედ, უბრალოდ, სულიერ საწყობად მოგვეკვლინება.

ქრისტეს აღდგომა თავდაპირველად მიბმული იყო დედამიწის დღე – ღამობრივ აგებულებასთან, ანუ იმ ჭეშმარიტებასთან, რომ თუ ჩვენ უკიდურეს აღმოსავლეთში, იაპონიის აკვატორიაში გრძელთა 180 გრადუსიდან თეორიულად მზესთან სინქრონულად ვიმოდრავებდით მთელი დღის განმავლობაში დასავლეთის მიმართულებით, დღის ბოლოს შემოვუვლიდით რა დედამიწას წრეს, დღე ღამეს დავასრულებდით უკიდურეს დასავლეთი ამერიკის 180 გრადუსის ნიშნულზე. ამით 24 საათში ჩვენ მოვიცავდით 48 საათის სივრცეს.

კი, მაგრამ, თანამედროვე ტექნიკის პირობებში ეს ყოველივე არა თეორიაში, არამედ ცხოვრებაში შეიძლება განხორციელდეს. ავიაციის, ჩქაროსნული მატარებლის თუ სხვა საშუალებების დახვეწა ძლევს იმ მთავარ ზღვარს – მანძილს, რაზედაც ეფუძნებოდა სხვადასხვა რელიგიური სწავლება და რის საფუძველზე განვითარდა სახელმწიფოთა ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი – საზღვარი. ტექნიკური წინსვლით შეძლო ამერიკის მოსახლეობამ დიდი მოცულობის ტერიტორიების დაძლევა, ხოლო იმავე სახის ცვლილებებისათვის რუსული გეო-პოლიტიკური სივრცე სწორედ ტექნიკური ჩამორჩენილობის გამო რამდენიმე თაობის სიცოცხლის მონაკვეთს მოიცავს და ამიტომ საწყისი არის ფინიშამდე ბევრად ადრე ტოვებს დისტანციას.

აქედან გამომდინარე, თანამედროვე ტაძრის ფორმამაც ამ ტექნიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით უნდა განაგრძოს თავისი აგებულება მონოსტატიურიდან პოლიგეოგრაფიულობისაკენ, როგორც, ვთქვათ, მრავალკიდურებიანი შივას გამოსახულებები. ამგვარი გამოხატულება საწყის ფორმებში არის ასახული პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის ზედა ნაწილში კონტრფორსების სახით.

ყოველივე ზემოთ ხსენებული იმის მცდელობაა, რომ ჩვენი სამშობლოს მამრმა დაუბრუნოს ქართველ მანდილოსანს ნამდვილი და არა მოჩვენებითი თავისუფლება. და ამგვარი მაღალი სტატუსი ჩვენს ყოფას გააჩნდა. ამის დასტურად საკმარისია გავიხსენოთ თამარ მეფის ცხოვრების წლები: 1172–1213, ხოლო მაცხოვრის სახელის გემატრიული ჯამი ქართული ანბანის რიცხვითი მნიშვნელობით თითქმის ამ ციფრის იდენტურია:

$$\text{ქ } 600 + \text{რ } 100 + \text{ი } 10 + \text{ს } 200 + \text{ტ } 300 + \text{ე } 5 = 1215$$

$$\text{სახელ იესოსთან ერთად კი ეს რიცხვი } 1500\text{-ს უდრის:}$$

$$\text{ი } 10 + \text{ე } 5 + \text{ს } 200 + \text{ო } 70 = 285$$

$$285 + 1213 = 1500.$$

მშობლების ასაკის ჯერ კიდევ ცოცხალ წარმომადგენლებზე რომ არაფერი ვთქვათ, ჩემი თაობის ადგილობრივ მაცხოვრებლებსაც კარგად ახსოვთ ის განუმეორებლად მიმზიდველი, ლაღი, თვალწარმტაცი და, რაც ყველაზე მთავარია, სიცოცხლით სავსე საქართველოს დედაქალაქი, რომელსაც 1500 წლის იუბილე გადაუხადეს.



გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში დაამთავრა საშუალო სკოლა. 1989 წელს ჩაირიცხა თბილისის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ სწავლა გააგრძელა სასულიერო აკადემიაში, რომელიც დაამთავრა 1996 წელს. 1997-2003 წლებში მსახურობდა ფოთის, ხობისა და სენაკის ეპარქიაში. 1998 წლის სექტემბერში დაინიშნა ფოთის საღვთისმეტყველო-კატეხიზატორული სასწავლებლის რექტორად. 2003 წლიდან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით გადმოყვანილ იქნა მცხეთა-თბილისის ეპარქიაში. 2004 წლიდან მუშაობს თბილისის სასულიერო აკადემიაში სხვადასხვა თანამდებობაზე, ამჟამად თბილისის სასულიერო აკადემიის დოქტორანტურის განყოფილებაში სასწავლო პროცესების ხელმძღვანელია. 2003 წლიდან მსახურობს კრწანისის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძარში.

მისი ინიციატივით და ძალისხმევით გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში 2011 წელს საქართველოში პირველი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი დაფუძნდა.



მოძღვარი და მეწარმე  
– ქართული სოფელი  
ყველამ ერთად უნდა  
გადავარჩინოთ

გვესაუბრება კრწანისის  
წმინდა ნიკოლოზის სახელობის  
ტაძრის მოძღვარი,  
დეკანოზი აბრამ სოლომნიშვილი

– თქვენი ძალისხმევით კახეთში დაარსდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. რა იყო თქვენი მიზანი და დღევანდელი სოფლის პირობებში რამდენად შეიძლება სასურველი შედეგის მიღწევა?

– კოოპერატივით და, ზოგადად, კოოპერაციული მოძრაობით ჯერ კიდევ 2009-2010 წლებში დავინტერესდი. გავცვანი ევროპულ კოოპერაციულ გამოცდილებას და 7-9 თანამოაზრესთან ერთად 2011 წლის დეკემბერში დავაფუძნე კოოპერატივი „აგროაპი“. იმ პერიოდის საქართველოს ხელისუფლების პირობებში კოოპერაციაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, მიუხედავად ამისა, მაინც გადავწყვიტეთ

კოოპერატივის დაფუძნება. მრავალი ფიქრისა და მსოფლიო კოოპერაციის გამოცდილების გაზიარების შემდგომ მივედი იმ დასკვნამდე, რომ კოოპერატივების გარეშე სოფლის მეურნეობის განვითარება და სოფელში მცხოვრები ადამიანების წარმატება შეუძლებელი იქნებოდა. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში კოოპერაციას დიდი ყურადღება ეთმობა, თვალსაჩინო მაგალითია იაპონია, სადაც სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების 97 პროცენტი კოოპერატივებზე მოდის, საფრანგეთში მისი მაჩვენებელი დაახლოებით 64 პროცენტია და ა. შ. ჩვენი აზრით, რაოდენ შეძლებულიც არ

უნდა იყოს ქართველი გლეხი, თუნდაც 50-100 ჰექტარს ფლობდეს და აღჭურვილი იყოს სათანადო ტექნიკით, ვერ შეძლებს დამოუკიდებლად გაუძღვეს მეურნეობას, თავის მეურნეობაში დანერგოს ახალი ტექნოლოგიები, საქართველოს თუ საზღვარგარეთის მასშტაბით დაამყაროს სავაჭრო და სამეცნიერო ურთიერთობები. კოოპერატივში ადამიანთა გაერთიანებით კი ხდება შრომითი საქმიანობის განაწილება და კოოპერატივის, როგორც დამოუკიდებელ ერთეულს, შეუძლია მოიწვიოს სპეციალისტები, დანერგოს ახალი ტექნოლოგიები, დაამყაროს საქმიანი ურთიერთობები...

ჩვენი მიზანი იყო, პირადი მაგალითი გვეჩვენებინა და კოოპერატივი „აგროაპი“ გამხდარიყო სახე და მაგალითი სხვა ადამიანებისთვის.

საქართველოს ხელისუფლებაში ახალი მთავრობის მოსვლისთანავე გაჟღერდა ახალი თემა, დაიწყო საუბარი და მალევე გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები კოოპერატივების ხელშეწყობაზე, რამაც ძალიან გაახარა კოოპერატივის მეპაიეები. სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, რომელიც ძალისხმევას არ იშურებს საქართველოში კოოპერაციის განვითარების ხელშეწყობისთვის. იგი უფლებამოსილია, კოოპერატივებს მიანიჭოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი და ისინი მოექცნენ არსებული შეღავათების ქვეშ. ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ეს სტატუსი მოიპოვა, ჩვენი კოოპერატივია. სტატუსის მქონე კოოპერატივები 2017 წლამდე განთავისუფლდნენ თითქმის ყველა გადასახადისგან, რაც ძალიან დიდი შეღავათია ახლად შექმნილი საწარმოებისთვის.

კოოპერატივმა თავისი საქმიანობა დაიწყო მეფუტკრეობით, უახლოეს მომავალში ვაპირებთ სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დაწყებას.

**– სად ჩამოყალიბდა თქვენი კოოპერატივი და რას აწარმოებთ?**

– გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბანში არის რეგისტრირებული. ამ ეტაპზე 30-მდე მეპაიე გავერთიანდით. ვაპირებთ სოფლის მოსახლეობის მოზიდვას და გაწევრიანებას კოოპერატივში. დიდი სიამოვნებით მივიღებთ ყველა იმ პიროვნებას, ვინც კი ჩვენს კოოპერატივში

გაერთიანების სურვილს გამოთქვამს.

კოოპერატივის საპაიო ფონდი ამ ეტაპისთვის 84 ათას ლარს შეადგენს. ეს ახლად შექმნილი კოოპერატივისთვის დიდი თანხაა. ზოგიერთმა პიროვნებამ პაის სახით შემოიტანა საფუტკრე ლაფეტები, ფუტკრის ოჯახები, სკები... ზოგმა კი კოოპერატივში პაის სახით შემოიტანა გარკვეული თანხები.

2012 წელს შევიძინეთ ფუტკრის ოჯახები და სხვადასხვა საფუტკრისთვის საჭირო მაღალი ხარისხის ფრანგული და გერმანული წარმოების ინვენტარი, ამიტომ საწარმოს შეუძლია აწარმოოს მაღალი ხარისხის ფუტკრის პროდუქცია. წელს ვაპირებთ ევროპული სტანდარტის საწარმოს შექმნას, სადაც მოხდება თაფლის პირველადი გადამუშავება და მისი დაფასოება.

ამ ეტაპისთვის 160 ფუტკრის ოჯახი გვაქვს და დასაქმებულია 2 მეფუტკრე. პირველი მოსავალი 2012 წელს მივიღეთ.

**– მოძღვარს თქვენი თავი მეწარმედ როგორ წარმოგიდგენიათ?**

– ეს ტრადიცია, რომ მოძღვარი უდგას კოოპერაციულ მოძრაობას სათავეში, ევროპიდან მოდის. ჩვენ ჰოლანდიაში ერთ-ერთ მეცნიერს დაუკავშირდით, რომელიც ჩემი სულიერი შვილის პედაგოგი იყო. როდესაც მან გაიგო, რომ ჩვენს კოოპერატივს მოძღვარი უდგას სათავეში, მან ასეთი პასუხი გასცა: „ჰოლანდიაშიც კოოპერაციულ მოძრაობას სწორედ სასულიერო პირი ედგა სათავეში“. ასევე იყო ბელგიაში, გერმანიაში... ალბათ, ჩვენთანაც გადმოდის ეს ტრადიცია. უნდა აღინიშნოს, რომ მე-19 საუკუნეში კოოპერაციის განვითარებას თავად წმიდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) ედგა სათავეში. მან შემოიკრიბა ამ საქმით დაინტერესებული ადამიანები და პირველი კოოპერატივი 1860 წელს სწორედ მათი თაოსნობით ჩამოყალიბდა, რომელსაც „მომჭირნობა“ ერქვა. შემდეგ ეს მოძრაობა როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში ისე განვითარდა, რომ უკვე 1919 წელს საქართველოს კოოპერაციული კავშირი, საერთაშორისო კოოპერატიული ალიანსის წევრი გახდა, რაც უდიდესი მიღწევა იყო.

მე-19 საუკუნეში დიდი წარმატებით ვითარდებოდა კოოპერატივები. ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა პერიოდშიც არსებობდა კოოპერატივები, თუმცა სადაც კერძო საკუთრება არ არის, იქ ჭეშმარიტი

კოოპერაცია წარმოუდგენელია. საბჭოთა პერიოდში საქართველოს კოოპერატიული კავშირი მილიარდობით ქონებას ფლობდა.

**– ვინ არიან თქვენი კოოპერატივის წევრები?**

– სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, როგორც სოფლის მოსახლეობა, ასევე თბილისში მცხოვრები სპეციალისტები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სოფლის მეურნეობით. მათი გამოცდილებიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე კოოპერატივის მართვის ორგანოებში, ძირითადად, სწორედ ისინი არიან არჩეულნი.

**– კახეთი ცნობილია, როგორც მევენახეობა-მელვინეობის მხარე. ზომ არ ფიქრობთ მომავალში ამ მიმართულების განვითარებას?**

– როდესაც გვეკითხებიან, კოოპერატივის ძირითადი მიმართულება რა იქნება, ჩვენ ვპასუხობთ, რომ 7-8 წლის თავზე ჩვენი კოოპერატივის ძირითადი მიმართულება მევენახეობა-მელვინეობა იქნება. ეს გარდაუვალია, რადგან ჩვენს სოფელში ამის უდიდესი გამოცდილებაა, მევენახეობა-მელვინეობისთვის უნიკალური მიწებია და ამას აუცილებლად განვახორციელებთ. ამ ეტაპზე მევენახეობა-მელვინეობის დაწყება ფინანსური სიმწირის გამო შეუძლებელია. ამას დიდი საწყისი კაპიტალი სჭირდება.

ფიქრობთ, ნელ-ნელა გაძლიერდება კოოპერატივი და მომავალში შევძლებთ სხვადასხვა დარგის განვითარებას. ტრადიციულად, სოფელ ვაზისუბანში მებოსტნეობა და მეხილეობაც იყო განვითარებული. კახეთი ბარაქიანი მხარეა და კოოპერატივის ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო მიმართულების არჩევა შეუძლია.

**– სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ კანონი მიიღო პარლამენტმა, რომლის განხილვაში თქვენც მონაწილეობდით... არის კი ეს ისეთი კანონი, რომელიც ბარიერებს არ შეგიქმნით?**

– როგორც პარლამენტის, ისე მთავრობის წარმომადგენლები თავად აღიარებენ, რომ კანონი სრულყოფილი არ არის. ეს იყო პირველი მცდელობა და, აქედან გამომდინარე, დიდად კრიტიკულად არასდროს არ გამოვსულვართ ამ კანონის წინააღმდეგ, მაგრამ, რა თქმა უნდა, შესაცვლელია. ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მსოფლიოს გამოცდილება და სამეწარმეო კანონიდან მთლიანად უნდა გამოვიდეს კანონი კოოპერატივების შესახებ და

ცალკე შეიქმნას კანონი კოოპერაციის შესახებ. ჩვენ ხელახლა ველოსიპედს ვერ გამოვიგონებთ.

კოოპერაციის შესახებ კანონი ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში ცალკეა გამოყოფილი და ორი თავისგან შედგება. პირველი კოოპერატივის შიდა რეგულაციას არეგულირებს, მეორე კი კოოპერატივების გაერთიანებებს. იმედია, მალე გამოსწორდება არსებული მდგომარეობა და მსოფლიო გამოცდილება გათვალისწინებული იქნება.

თანამედროვე კანონით მაღალ მთაში სამ ადამიანს შეუძლია კოოპერატივის დაფუძნება, ხოლო ბარში – 5-ს. ჩემი აზრით, კოოპერატივი მინიმუმ 15 კაცისგან უნდა შედგებოდეს, რადგან 3 და 5-კაციანი კოოპერატივები, ძირითადად, საოჯახო მეურნეობებია და მეტი არაფერი. კოოპერატივის დანიშნულებაა საოჯახო მეურნეობების გაერთიანება, მათი ინტელექტუალური და მატერიალური რესურსის გაერთიანებით.

**– სოფლად, ზოგადად, არსებითი პრობლემა მექანიზაციის ნაკლებობაა...**

– ჩვენი ძირითადი პრობლემაც მექანიზაციის ნაკლებობაა. მსოფლიოში არ არსებობს ისეთი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, რომელსაც რამდენიმე ერთეული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა არ ჰყავდეს. საქართველოში კი თითქმის არცერთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს არ ჰყავს ერთი ერთეული ტექნიკაც კი. სწორედ ამ პრობლემისთვის უნდა გამოიყოს დახმარებები როგორც სახელმწიფოს მიერ, ასევე გრძელვადიანი სესხები ბანკებიდან და გრანტები არსამთავრობო ორგანიზაციებიდან. ჩვენს სოფელში 76 ერთეული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა იყო, რომელიც არ ყოფნიდა მიწების დაშუშავებას, დღეს კი რამდენიმე ერთეულია კერძო პირების საკუთრებაში.

**– რამდენიმე წლის წინ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი კოოპერატივების შექმნის მოწოდებით გამოვიდა...**

– ჩემი დაინტერესება კოოპერაციული მოძრაობით სწორედ კათოლიკოს-პატრიარქის მოწოდებას და მის ქადაგებებს უკავშირდება. ეს იყო 2009-2010 წლები. როდესაც მთავრობის წევრები იყვნენ საპატრიარქოში, უწმინდესმა ერთ-ერთი მსჯელობა კოოპერაციულ გაერთიანებებს მიუძღვნა და მოუწოდა მთავრობას ხელი შეეწყოს მისი განვითარებისათვის.



– როგორ ფიქრობთ, ეს გზა ქართულ სოფელს გადაარჩენს?

– რა თქმა უნდა, ეს არის სოფლის გადარჩენის ერთადერთი გზა, სხვანაირად შეუძლებელია. ერთ ადამიანს, რაოდენ კარგი მეურნეც არ უნდა იყოს და დიდი მოცულობის მიწის ნაკვეთებს ფლობდეს, შეუძლებელია თავის მეურნეობას დამოუკიდებლად გაუძღვეს, თავად დანერგოს ახალი ტექნოლოგიები, თავად იზრუნოს გაყიდვებზე...

როდესაც კოოპერატივი იქმნება, მისი დადებითი მხარე სწორედ ეს არის, რომ ადამიანები შრომას ინაწილებენ. კოოპერაციულ გაერთიანებას შეუძლია მეპაიეებზე გადაანაწილოს თანამდებობები, მოიწვიოს თავის საწარმოში მეცნიერები და გამოცდილი სპეციალისტები. საოჯახო მეურნეობამ შეიძლება გარკვეულ წარმატებას მიაღწიოს, ხოლო კოოპერატივს აქვს უკიდევანო შესაძლებლობა, რაც უფრო მეტი შემოვა კოოპერატივში, მეტი რესურსი იქმნება და უფრო მეტი ადამიანი საქმდება.

კოოპერატივების შექმნა და მათი განვითარება დიდმნიშვნელოვანი საქმეა.

– დღეს ძალიან ბევრი უცხოელი შემოდის და ქართულ მიწას ყიდულობს... ღმერთმა ასეთი მიწა და ადგილი მოგვცა და ვერ ვუვლით. ხომ შეიძლება ჩვენც

თავდაუზოგავად ვიშრომოთ და მიწა-წყალს მოვუაროთ?

– კოოპერაციული გაერთიანებები თავად შეაჩერებს უცხოელების შემოსვლას სასოფლო-სამეურნეო სექტორში. როგორც კი კოოპერატივები დაფუძნდება და რეალურად დაიწყებენ ფუნქციონირებას, საქართველოში დაუმუშავებელი მიწები აღარ იქნება. საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელიც თავად ვერ უვლის საკუთარ მიწას, საშუალება მიეცემა, კოოპერატივში შეიტანოს და არათუ უბრალოდ შეინარჩუნოს მიწის ნაკვეთები, არამედ მისგან სარფიანი მოგებაც ნახოს.

ამისთვის საჭიროა სახელმწიფოსა და არასამთავრობო სექტორის მხრიდან კოოპერაციის პოპულარიზაცია და მაქსიმალური ხელშეწყობა. დანარებისა და ხელშეწყობის გარეშე ძალიან ძნელია პირველი ნაბიჯების გადადგმა, ასეა სხვა ქვეყნებშიც, სადაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს დიდი ყურადღება ექცევა.

ვიმედოვნებ, რომ მომავალი წლიდან სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორი უფრო გააქტიურდება. ამ ეტაპზე კოოპერაციის განვითარების ტემპი ძალიან დაბალია და შედეგის მისაღწევად მუხლჩაუხრელი მუშაობაა საჭირო, რადგან ზერელე მიდგომით კოოპერაცია ვერ განვითარდება.



## მწერალთა სახლში გიგი ხორნაულის წიგნის „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“ წარდგინება გაიმართა

მწერალთა სახლში გიგი ხორნაულის წიგნის „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“ წარდგინება გაიმართა.

წიგნის და მისი ავტორის შესახებ ისაუბრეს: მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ რევაზ მიშველაძემ, მწერლებმა: ბალათერ არაბულმა, სოსო სიგუამ, მაყვალა გონაშვილმა, თემურ ჩალაბაშვილმა, ასევე მეუფე თადეოზმა, მედეა როგავამ, გია არგანაშვილმა და სხვებმა. წიგნი პირველად გამოქვეყნდა 1987 წელს. წიგნი ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ გამოსცა მამუკა ცაგარელის თანადაფინანსებით.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მეცნიერი, მწერალი გიგი ხორნაული დაიბადა 1936 წლის 12 აგვისტოს სოფ. კაწალხევში.

1959 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა განყოფილება და ენათმეცნიერების ინსტიტუტში დიალექტების ლექსიკაზე დაიწყო მუშაობა. იგი მრავალი წიგნისა და სამეცნიერო სტატიის ავტორია.

ამ წიგნში გაერთიანებულია გიგი ხორნაულის მიერ ვაჟა-ფშაველას შესახებ წლების განმავლობაში მოძიებული დოკუმენტური მასალა. ავტორი მიჰყვება მწერლის გზას დაბადებიდან გარდაცვალებამდე და ვაჟა-ფშაველას რთულ ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე მოგვითხრობს.



## სულიერი მდგომარეობა

\* \* \*

ყველაზე უფრო მეტად მაშინ მძულს საკუთარი თავი, როცა მასში მორჩილ მოხელეს აღმოვაჩენ. რატომ მიაჩნიათ ადამიანებს, რომ უნდა გაჩუმდნენ, როცა მათ უსამართლოდ ექცევიან, რატომ არიან ჩუმი, როცა არ მოსწონთ არსებული საზოგადოება? აი, კითხვები, რომლებიც ყოველ ნაბიჯზე მოჩანს, თითქოს კლდე დარღვეულა და მისი ნამსხვრევები გზებზე ყრია, მათი გვერდის ავლა შეუძლებელია, ყოველ მათგანს უნდა წამოედო, შენი სული და ხორცი უნდა უწილადო...

\* \* \*

ჩვენს დროში ადამიანთა მასობრივი სულიერი ნგრევა იწყება. ეს არის გლობალური ტრაგედია, რომელიც აღიქმება ჩვენ მიერ, როგორც დამამხობელი რამ ძალა, რომლის იქით სიცოცხლის გაგრძელებას აზრი აღარა აქვს. ჩვენი ცხოვრება ხშირად წყალქვეშა კლდეებით ეწინააღმდეგება მდინარეებს, რომელიც წალეკვით ეშუქება კაცობრიობის ზნეობრივ მონაპოვრებს, ხოლო მორალური დანაშაულის გრძნობა გამუდმებით გვაწვალებს, რადგან ამორალურ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, კატასტროფა გარდაუვალია, საზოგადოება დაღუპვისაკენ მიიჩქარის...

\* \* \*

ხრწნამ მოიცვა საქართველო, აგერ, უკვე ორასი წელია. განვლილი ორასი წელი ზნეობრივი რღვევის პერიოდია, დაიკარგა სახელმწიფოს ფუნქცია, გაქრა ამ სახელმწიფოს მოქალაქის ფუნქცია. საით მიგვერეკები, უმოწყალო დროე!

ჩვენი სული გათელილია, როგორც ბალახი ნახირისაგან, ჩვენ დავიმარხეთ, მაგრამ დროებით, მოვა სხვა საუკუნე და ისევ აღვდგებით!

\* \* \*

ათასი მკვლეელი... მე შევყურებ მათს მსვლელობას. ხელისუფალთა მანტიამი გამოხვეულებს შემართული აქეთ იარაღი კიდევ ახალ მკვლელობათათვის, ო, მკვლელების, მძარცველების, არამზადების ბილწო ბანაკო!

\* \* \*

ცხოვრება ჭაობს დაემსგავსა, მაგრამ ჭაობი, ვგონებ, უფრო კეთილშობილი რამ არის, ვიდრე ჩვენი ცხოვრება, ეს შედარებაც ძველია და გაცვეთილი... – საშინელება! საშინელება! საშინელება! ინგრევა საზოგადოება, „საზოგადოება იცვლება ხალხით“ (გალაკტიონი). ირგვლივ მორალური და ეკონომიური ნგრევა გამეფებულა, ადამიანებს სოციალური პერსპექტივა აღარ გააჩნიათ, არ იციან რა იქნება ხვალ, რისთვის იშრომოს, რა სწამდეთ, რას გაუფრთხილდნენ...

ხალხს აღარ აინტერესებს საზოგადოების ბედი, უფრო მეტიც – იგი მტრულადაა განწყობილი ხელისუფლების მიმართ, რა ტრაგედიაა! მისი არა სჯერა, ანდა რატომ უნდა სჯეროდეს, დიქტატურის ნანგრევები აუფეთქებლად დარჩენილი ნაღმებით, ყოველ წუთს საფრთხეს გვიქადის. ცნებამ „ადამიანი“ დევალვაცია განიცადა, ადამიანი მდილის ტოლფასოვანი არსებაა. მატერიალურმა ნგრევამ და ზნეობრივმა სილატაკემ მოიცვა ქვეყანა. საქართველო ახლა უკაცრიელი ტკივილით არის, მიჰყვება მდინარეს და ნეტავი სად, სად ელის აღსასრული?!

მოამზადა ლეილა ქიტოშვილი-სახლთხუციშვილმა



### უნებლიე თავხედობა

ეს სიუჟეტი, უფრო სწორედ ნოველა, ცნობილ ინგლისელ მწერალს ალან სილიტოუს ეკუთვნის, რომელიც გასული საუკუნის 60-იან წლებში იმდროინდელ რუსულ პოპულარულ ჟურნალში წავიკითხე. მართალი ვითხრათ, ნოველის შინაარსმა იმდენად მომხიბლა, რომ ვერა და ვერ დავივიწყე. შემდგომ კი ერთი მეტად უცნაური აზრი ამეკვიპა და სულ იმის ფიქრში ვიყავი, ამ ნოველას მე ცოტა სხვანაირად დავწერდი-მეთქი. ღმერთმანი, ის კი არ გამივლია გულში, რომ ალან სილიტოუსე უკეთეს რამეს შევქმნიდი და ქვეყანას გავაკვირებდი, მაგრამ რაც უფრო გადიოდა დრო, აკვიტებულ აზრს ვერა და ვერ ვიშორებდი. ერთ წვიმიან დღეს, მტანჯველი ყოყმანის შემდეგ, როცა სულ დავკარგე მოსვენება, საწერ მაგიდას მიუჯექი და ალან სილიტოუს ნოველას ფაბულა ჩემებურად ჩამოვაყალიბე. რა ვქნა, სხვანაირად ვერ შევძელი, ალან სილიტოუს კი ვთხოვ, მაპატიოს ეს უნებლიე თავხედობა.

„ინგლისის ჩრდილოეთით, პატარა უსახურ ქალაქში, სადაც არავითარი ღირსშესანიშნაობა არ მოიძებნებოდა, საშუალო ასაკის კაცი ცხოვრობდა, რომელმაც ხანგრძლივი ძიების შემდეგ, როგორც იქნა, იშოვა სამუშაო – ფოსტალიონის ადგილი“, – ასე იწყებდა თავის ნოველას

ალან სილიტოუ – ამ კაცს ერთი ახირება სჭირდა (თუ ეს ახირებად შეიძლება ჩაითვალოს), საღამოობით სამუშაოდან სახლში რომ დაბრუნდებოდა, ბუხარს დაანთებდა, ყალიონს გააწყობდა, დაფხავებულ სავარძელში მოიკალათებდა და გვიანობამდე სათავგადასავლო ხასიათის წიგნებს კითხულობდა. ამ ჩვეულებას იგი არასოდეს ღალატობდა, მაშინაც კი, როცა სამუშაო იშოვა და ცოლიც მოიყვანა. წიგნები უფასო ბიბლიოთეკიდან გამოჰქონდა, რომელიც მისი სახლიდან ნახევარი იარდით იყო მოშორებული. საქმე ის კი არ გახლავთ, რომ ალან სილიტოუ ასეთი მწირი ხერხით ძერწავდა იმ კაცის ასევე მწირ შინაგან ბუნებას, სხვა რამ არც უცდია. იგი წერდა, რომ ის კაცი უბრალოდ ასეთი იყო, ყოველგვარი ფსიქოლოგიური სირთულეების გარეშე, მთავარი ის გახლდათ, რომ ქალი, რომელიც მწერალმა კაცის ცხოვრებაში შემოიყვანა, ისეთივე იყო, როგორც ის კაცი, მაგრამ ეს მხოლოდ გარკვეულ დრომდე. მწერალმა ქალს ნოველის რომელიღაც მონაკვეთში რამდენიმე შთამბეჭდავი შტრიხი შემატა, რამაც ნოველის მონოტონურობა რამდენადმე დაარღვია. ქალი კი, როგორც ეს ადრე ვთქვი და როგორც ნოველათა უმეტესობაში ხდება, სრულიად მოულოდნელად შემოიჭრა კაცის ცხოვრებაში, თუმცა ალან სილიტოუს არც ამ მოვლენაზე გაუმახვილებია ყურადღება. მისთვის მთავარი იყო, რომ სამუშაო იშოვა და ცოლი მოიყვანა. საქორწინო ცერემონიალი კი იმით დასრულდა, რომ ცოლ-ქმარმა ქალაქის მთავარ მოედანზე, მეწვრილმანის დუქანში, მეტად ლამაზი სურათი შეიძინა, რომელზეც ზღვის ნაპირზე გადმობრუნებული, შეუღლებავი ნაკვები იყო გამოსახული. სურათი საძინებელში, საწოლების თავთან ჩამოჰკიდეს. ამის შემდეგ კაცმა ისევ განაგრძო ძველებური ცხოვრება: გაზეთების, წერილებისა და ამანათების დარიგებას მორჩებოდა თუ არა, სახლში მაშინვე მოდიოდა, ჯერ ისადილებდა, მერე ბუხარს მიუჯდებოდა, ყალიონს გააწყობდა და გვიანობამდე სათავგადასავლო წაწარის ლიტერატურას კითხულობდა. ასეთ ვითარებაში ქალის ხასიათმა მხოლოდ ერთხელ გაიელვა და ისიც მხოლოდ ნოველის ნახევარ გვერდზე. ამ ამბავს ალან სილიტოუ ასე აღწერს.

ერთ საღამოს, კაცი რომ თავისი ჩვეული საქმით იყო დაკავებული, სამზარეულოდან მისი ცოლი გამოვიდა, როგორც ჩანს,

ჭურჭელი დარეცხა და სველ ხელებს მოვარდისფრო ტილოთი იმშრალედა. იგი კაცს თავზე დაადგა და ირონიული ღიმილით ჰკითხა: ერთი მითხარი, როდემდე უნდა იკითხო ეგ შენი სულიერი წიგნებიო?

კაცმა ცოლს ქვემოდან ამოხედა, მაგრამ არაფერი უპასუხა. უყურადღებობით გაგულსებულმა ქალმა მას წიგნი ხელიდან გამოგლიჯა და ბუხარში გადაუძახა. კაცი ელვის სისწრაფით წამოიჭრა სავარძლიდან. აგუზგუზებულ ცეცხლს წიგნი გამოსტაცა, მერე ცოლს მიუბრუნდა და ისეთი სილა გააწნა, რომ ქალს თვალთ დაუბნელდა და დაბარბაცდა. ამის შემდეგ გაცეცხლებულმა ქალმა ბარგი შეკრა, წავიდა და უკან აღარ დაბრუნებულა. კაცს ამაზე იოტისოდენადაც არ უნაღვლია, როგორც აქამდე ცხოვრობდა, ისევ ისე განაგრძო ცხოვრება. გაზეთებს, წერილებსა და გზავნილებს რომ ჩამოარიგებდა, ერთ ღარიბულ კაფეში ისადილებდა, მერე სახლში მიდიოდა, ბუხარს გააჩაღებდა, ყალიონს გააწყობდა. სავარძელში მოხერხებულად მოკალათდებოდა და გვიანობამდე სათავგადასავლო წიგნებს კითხულობდა. მალე ომიც დაიწყო და კაცს სამუშაო მოემატა. ირგვლივ ყველას გაჭირვებამ დარია ხელი.

ერთ საღამოს კაცი თავისი სახლის პარმალთან იდგა, სიგარას ეწეოდა და მიდამოს არაფრისმთქმელი მხერით გასცქეროდა. უცებ შენიშნა, რომ მისკენ ვიღაც წელი ნაბიჯებით მოემართებოდა. მან შორიდანვე იცნო თავისი ცოლი. კაცი ქვევით ჩავიდა, ჭიშკარი გამოაღო და ცოლს სამზარეულოში შეუძღვა. ქალს ძალზე ცუდად ეცვა: ქუსლებმორყეული ფენსაცმელები და შალის ძველი პალტო, რომელიც ჩრჩილს ერთიანად ამოეჭამა, სულაც არ მატებდა ლაზათს, მაგრამ კაცს ეს არ შეუშინებია. ქალი მაგიდასთან დასვა და რადგან საკმაოდ ცივი დღე იყო, ცხელი პუნში მოუმზადა. ცოტა ხანს განყენებულ თემებზე ისაუბრეს. მერე ქალმა დასძინა, როგორც ჩანს, ეს ოხერი ომი კარგა ხანს არ დამთავრდებაო. აქვე ვიტყვი, რომ არ დამავიწყდეს, ცოლმა მიატოვა თუ არა, კაცმა ის სურათი, ქორწინების დღეს რომ შეიძინეს, საწოლი ოთახიდან სამზარეულოში გადმოიტანა და დაბალი კარადის ზემოთ ჩამოჰკიდა, რომლის ძვირფასი ჩარჩო დროთა განმავლობაში საკმაოდ შელანძღულიყო. ქალი პუნშს შეექცეოდა. ბოლოს გამოცლილი ჭიქა მაგიდაზე დადგა და კაცს აღელვებული ხმით მიმართა: რა ლამაზი სურათია, ნეტავ,

ჩემი იყოსო? კაცი არც კი დაფიქრებულა, სურათი მაშინვე ჩამოხსნა კედლიდან, ძველ გაზეთში გაახვია და ქალს გაუწოდა, ქალმა სურათი ილღიაში ამოიჩარა და გასასვლელისკენ გაემართა. კაცმა კი ისევ განაგრძო კითხვა... მერე დილით კაცი სამუშაოდ რომ გავიდა და მთავარ მოედანზე მეწვრილმანის ღუქანს ჩაუარა, ვიტრინაში გამოკიდებული სურათი დაინახა. სწორედ ის სურათი, ქორწინების დღეს ცოლთან ერთად რომ შეიძინა. მაგრამ იმ წუთში ამისთვის არავითარი მნიშვნელობა არ მიუნიჭებია. მთელი დღე ქალაქში ველოსიპედს დააქროლებდა და ადრესატებს გაზეთებს, წერილებსა და გზავნილებს ურიგებდა. საღამოხანს კი ისევ გამოვიდა მოედანზე. სურათი კვლავ ვიტრინაში ეკიდა. ამჯერად კაცი დაუფიქრებლად შევიდა ღუქანში. მეწვრილმანისგან სურათი გამოისყიდა, სახლში მიიტანა და სამზარეულოში დაბალი კარადის თავზე ჩამოჰკიდა.

ქალი ერთი კვირის შემდეგ ისევ მოვიდა. კაცი ჩვეულებისამებრ წიგნს კითხულობდა, როცა მან მოკრძალებულად დააკაკუნა კარზე. კაცი კვლავ სამზარეულოში შეუძღვა ქალს და ამჯერად ვისკით გაუმასპინძლდა. ხანმოკლე საუბრის შემდეგ ქალმა ისევ შეხედა სურათს და ათრთოლებული ხმით თქვა: რა ლამაზი სურათია, ნეტავ ჩემი იყოსო! კაცს ხმა არ ამოუღია, სურათი ისევ ჩამოხსნა. ძველ გაზეთში გაახვია და ქალს მაგიდაზე დაუდო. ქალი მალე წავიდა და სურათიც გააყოლა. დილით კი იგივე განმეორდა. კაცმა ისევ მოჰკრა თვალი მეწვრილმანის ღუქანის ვიტრინაში ჩამოკიდებულ სურათს, რომელზეც ზღვის ნაპირზე გადმობრუნებული, შეუღლებავი ნავეები იყო გამოსახული. მას ამჯერად აღარ დაუწყია ყოყმანი, სურათი გამოისყიდა, სახლში წამოიღო და თავის ადგილზე ჩამოჰკიდა.

ორიოდე კვირის შემდეგ ქალი ისევ მოვიდა. იმ საღამოს უფრო დიდხანს ისაუბრეს. წასვლის წინ ქალმა ისევ გაიმეორა ჩვეული სიტყვები: რა ლამაზი სურათია, ნეტავ ჩემი იყოსო! კაცმა ისევ გაატანა ქალს ქორწინების დღეს შეძენილი სურათი.

ეს მისვლა-მოსვლა თითქმის მთელი ზამთარი გაგრძელდა.

ნაადრევი გაზაფხულის ცივსა და წვიმიან დღეს, როცა კაცი ფოსტაში თავისი წილი გაზეთების, წერილებისა და გზავნილების გადარჩევით იყო გართული,

გაზეთის ბოლო გვერდზე თავისი ყოფილი ცოლის სურათს მოჰკრა თვალი, რომელსაც ქვევით ასეთი მინაწერი ჰქონდა: „გუშინ, საღამოს შვიდ საათზე, ასანთის ფაბრიკის მუშა ქალი მანქანამ გაიტანა, როცა იგი არაფხიზელ მდგომარეობაში ქუჩის ერთი მხრიდან მეორე მხარეს გადასვლას ლამობდა“. ამ სამწუხარო ამბავზე გაზეთში სხვა აღარაფერი ეწერა. ფოსტალიონმა თავისი წილი გაზეთები, წერილები და გზავნილები რომ გადაარჩია, მაშინვე სამუშაოდ გავიდა. საღამო ხანს კი ქალაქის

მთავარ მოედანზე მეწვერილმანის დუქნის გაუერეცხავ ვიტრინაში ისევ მოჰკრა თვალი სურათს, რომელზეც ზღვის ნაპირზე გადმობრუნებული, მეთევზეთა შეუღებავი ნაგები იყო გამოსახული. კაცი ვიტრინის წინ აღარ შეჩერებულა, მით უმეტეს, აღარც სურათი გამოუსყიდა. სახლში მივიდა, ბუხარი დაანთო, ყალიონი გააწყო. დაფხავებულ სავარძელში ჩაეფლო და სათავგადასავლო ხასიათის წიგნის კითხვას მიჰყო ხელი.

## მხსევრობა

### „ოკეანე სილამაზისა“

#### ნატო სირბილაძის ფერწერული ნამუშევრები



**გია ბულაძე:** „ნატოს ნამუშევრები მედიების ტიპის ცნობიერებით კეთდება. მის ფანტაზიაში მოდის ოკეანე სილამაზისა, საოცარი ფერადოვნება და ეს ყველაფერი უმარტივეს მონასმშიც კი საოცრად გამოიყურება. ნატო კათარზისის წმენდის იმპულსს ატარებს და სილამაზის, სიცოცხლის ენერგია მოაქვს ჩვენთვის. იმდენი სითბო, სილალე და სილამაზეა თითოეულ ნამუშევარში, რომ თუ მის მიერ დახატულ სურათს სახლში დაიკიდებთ, დამიჯერეთ, ჰაერს გაგიწმენდთ ოთახში.“

ეს არის ულამაზესი საჩუქარი ზენა სფეროებიდან. უფალმა ამ სიძლიერის ჩამოსატანად კი ერთგვარ ხიდად ეს არაჩვეულებრივი ადამიანი გამოიყენა“.

**ნათელა სახოკია:** „ჩემო ნატო! შენ უფრო მეტი ხარ, ვიდრე აქ, ამ გამოფენაზე გამოჩნდა. შენი ფენომენი, ჩემი აზრით, ეს ის არის, ექვსი წლის მოცარტს რომ მუსიკას აწერინებდა და ჩვენ – ყველანი, ვინც ამ მოვლენას თავიდანვე ვაკვირდებით, ბედნიერები ვართ. თითქოს მისტერიის საიდუმლოებას ვეზიარეთ“.

**გურამ ბელოშვილი, პროფესორი:** „ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ რუსუდან ფეტვიაშვილისა და ეკა ბაქრაძის ღვთაებრივი გამოცხადების შემდეგ ასე ძლიერ რამე განმაცვიფრებდა. არადა, ძნელია სიტყვებით გამოხატო ის აღტაცება, რომელიც ამ გამოფენის დათვალიერების შემდეგ დამეუფლა. გმადლობთ, ნატო, ამ უზარმაზარი, დღემდე ჩვენთვის, ყველასთვის, უჩვეულო და გასაოცარი ხელოვნებისთვის, შენეული ღირიზმით აღსავსე ფერებისთვის!“

მე არ ვიცი, რა ადგილს დაიკავებს შენი შემოქმედება მსოფლიო ხელოვნების „იზმ“-ებით პირთამდე სავსე ოკეანეში, მაგრამ შენი სახით ქართულ ეროვნულ ხელოვნებას უდიდესი შემოქმედებითი ენერგია რომ შეემატა, ეს უეჭველი ფაქტია. მინდა, ვირწმუნო, რომ შენს იდუმალებით მოცულ, აბსტრაქტიზმულ სამყაროს მალე მსოფლიოს არაერთი ქვეყანა გაეცნობა და გაითავისებს

სასოებით გლოცავთ, ნატო!

დაე, არასოდეს გაფერმკრთალებულიყოს შენეული ფუნჯის უნაზესი ნაკვალევი, არასოდეს შენელებულიყოს შენეულ ფერთა ზღაპრული ფეიერვერკი“.





საშობაო

„ოცდახუთსა დეკემბერსა  
ქრისტე იშვა ბეთლემსაო,“  
ანგელოსთა უგალობეს,  
ზმა ეფინა ქედებსაო,  
იღიმება ღვთისმშობელი,  
გული იტევს ედემსაო,  
ცაზე მთვარე, ვარსკვლავები,  
მოუხატავთ მტრედებსაო.

ღვთისმშობელო დედაო!

ღვთისმშობელო დედაო,  
ჩემს დედაში გხედავო,  
დამილოცე მაშული,  
შენთან თხოვნას ვბედავო!

გასალვიძებელი ნანა

მზეო, მზეო, ცხრათვალო,  
ჩიტმა ცხრამდე დათვალო,  
ბულბულმა ღმერთს უგალობა,  
გაიღვიძე, პატარაო!

ნანა

ნანას გეტყვი, პატარაო,  
დედამ ხელით გატარაო,  
მიგიწვინა ოქროს მკერდზე  
ისე გიმღერა ნანაო.  
დაიძინე პატარაო,  
მამამ გმირს შეგადარაო,  
გაგალიმა ანგელოზმა,  
ზეცა შემოგატარაო.

მზე გინდა თუ მთვარე?

- მზე გინდა თუ მთვარე?  
ცხრამდე დაითვალე.
- ვარსკვლავები მინდა,  
რომ დამცქერენ ციდან.

სოფელი

ღრმა ორმოს თხრის ღრუტუნა,  
ცხენმა დაიფრუტუნა,  
„ფრ“ – აფრინდა ბელურა,  
თავზე ქუდი ეხურა,  
იჭაჭება კაჭკაჭი,  
მოსდებია კაჭკაჭი.  
„მე“ – კუნტრუმებს ბეკეკა,  
ყვავს ხორბალი ეკენკა,  
„მუუ“ – დასძახის ძროხა,  
ბებო კერავს ჩოხას.

ხეჩოჩხია

(ასე მეძახდა ბებო ბავშვობაში)

შეუცვლია ჩოჩორს ნირი,  
ხეზე ჩოჩხვას სწავლობს ვირი.  
ვინ ასწავლის?  
ხეჩოჩხია!  
განა სახლი უცოცხია!  
ხეზე დახტის, როგორც კატა,  
ახლა ვირიც დაემატა!

ციცინათელა

ციციც ჰგავს და ნათელაც  
ციდა ციციინათელას,  
თითქოს დააქვს სანთელი,  
ბნელს ანათებს ნათელით.

\* \* \*

ზღარბი ისმენს ზღაპარს,  
ზღმარტლი ხიდან ცვივა,  
აჟღურტულდა ჩიტი:  
მცივა, მცივა, მცივა.

ნამი

მოვალ ქვეყნად წამით,  
მქვია დილის ნამი.

## ბალახი

„მინდა რომ ვიყო ბალახი,  
არა მწადიან ცელობა“

ვაჟა

მე ბალახი ვარ  
და არ ვარ ცელი,  
ამოვლერდები  
და ჩემთვის ვმღერი..  
და ვიდრე სხვები  
ტყუილს თელავენ,  
მე ველი – როდის  
გადამთელავენ.  
მწარე ხვედრისგან  
უფალი მიცავს.  
თავს რომ დამეყრებს,  
მე მიყვარს ის ცა!

ია

გაიკვირვა, გაოცდა,  
ციცქნა ია ლურჯთვალა,  
ცხრათვალა მზეს ნეტავი,  
თვალნი ვინ დაუთვალა?

დილა

შეიფერა მზით დილა,  
ჟღურტულეებენ ჩიტები,  
ბალახს ტანზე უბრწყინავს,  
ცრემლის მარგალიტები.  
ჩაიღიმა გვირილამ,  
აშრიალდა ყაყაჩო,  
წაიმღერა ნიავმა  
იქაც მე ვარ, აქაცო.

ია

მორცხვი და ნაზი ვარ,  
სუსტი და უმწეო,  
ვერ გავძლებ უმიწოდ –  
უდელოდ, უმზეოდ,  
მოვედი ქვეყნად და  
თავი ძირს დავხარე,  
დიდსა თუ პატარას  
გაზაფხულს ვახარებ.  
ია ვარ, ლურჯთვალა,  
ცამ მომცა ფერები,  
ყვავილს გავუღიმებ,  
ბალახს ვეფერები.

## კატა

ხან ვაჯავრებ პატრონს,  
ხან ალერსით მღლისო,  
ფისოს ნაცვლად ზოგჯერ,  
მეტყვის „უვარგისო“.  
მიყვარს ხეზე ცოცვა,  
ეს სენიცა მჭირსო,  
გაცქერინათ ნეტა,  
როგორ ვიბან პირსო.  
მამსგავსებენ ვეფხვს და  
მე კი ცრემლი მღისო,  
მომწონს მოფერება:  
ფისო, ფისო ფისო!

მზეს

სხივს ჰფენ ცას და მიწას,  
და სითბოთი გვავსებ,  
არ დაბერდე, მზეო,  
იკაშკაშე ასე!

ნატვრა

– რაო, რაო, რაო,  
ჩიტო, ჩიორაო?  
წამიყვანე ცაში,  
მომეც იქ ბინაო.

ფიფქი

– ფიფქო ფარფატიანაო,  
მითხარ, სად გაქვს ბინაო?  
– არ მაქვს ბინა, მე ვარ გზას,  
მას შემდეგ, რაც მოვწყდი ცას.



## დედის ღვაწლით დიდ მხატვრობაში

შესანიშნავი მხატვარი-გრაფიკოსი მურმან გელენიძე 70 წლისაა. ეს ასაკი შემოქმედისათვის ის გზაა, უკანაც რომ ახედებს, აწმყოშიც აქტიურად ამრომებს და სამომავლო პერსპექტივასაც მკაფიოდ წარმოუჩენს. ეს წლები მურმან გელენიძემ არა მხოლოდ შემოქმედებითი ძიებებითა და მრავალმხრივი საქმიანობით დატვირთულმა განვლო, არამედ ქართული შემართებით, ვაჟკაცური ხასიათითაც დაამახსოვრა და შეაყვარა თავი საზოგადოებას. იგი საიმედო მეგობარია და თუ დაგჭირდა, საკუთარ საქმეს გადადებს, უშურველად გიერთგულეებს, დაგეხმარება. მშვიდად, გაწონასწორებული კაცის ცხოვრებით ცხოვრობს, ხმაურისა და ცრუ პატრიოტიზმის გარეშე ემსახურება საყვარელ სამშობლოს, მეგობრებსა და მეზობლებს, ნათესავ-მოკეთეებს.

იგი საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ გორდში დაიბადა, რომელიც დიდ მთავარ დადიანთა საზაფხულო რეზიდენცია იყო. სწორედ აქ, ამ მაღლიან მიწაზე, ამ გარემოში აღზარდეს მურმანის მშობლებმა ცხრა შვილი, იგი მეხუთეა ოთხ უფროსსა და ოთხ უმცროს დედამამიშვილს შორის. მრავალშვილიანი ოჯახის მშობლებს, უამრავი საზრუნავის მიუხედავად, შვილებისათვის ყურადღება არასოდეს დაუკლიათ, პირიქით, ბავშვობიდანვე აზიარეს სიკეთის მაღლს, ასწავლეს მოყვასის სიყვარული, დროისა და შრომის ყადრი. მურმანის დედა, დიდი ოჯახის მოვლა-პატრონობის გარდა, შესანიშნავად ხატავდა და ქარგავდა. დედის შემეყურე შვილი კი, სადაც ნახშირს ან წვეტიან ქვას მოიხელოებდა, გამუდმებით ხატავდა ქვებზე, შენობის კედლებზე, ღობეებზე.



მურმანმა სკოლაში შესვლამდე, თავისით ისწავლა ანბანი, მოსწონდა და იზიდავდა ქართული ანბანის ასო-ნიშნები, რომელთა მნიშვნელობა მაშინ არც კი იცოდა.

სკოლაში შესვლისთანავე, გაიგეს თუ არა მურმანის ნიჭიერება და მხატვრობისადმი მიდრეკილება, დაიწყო მისი შესაძლებლობების სრულად გამოყენება. სტალინურ ეპოქაში, როცა ყველაფერი ბელადის სახელთან იყო დაკავშირებული, მისი პორტრეტის შესრულება დიდ წარმატებად ითვლებოდა და რადგან მურმანი, ხელის ერთი მოსმით, მშვენივრად ხატავდა სტალინს, ყველგან მას ეძახდნენ და ბელადის პორტრეტებს ახატვნიებდნენ. ასეთმა „დატვირთვამ“, მის გაწაფულობასა

და დაოსტატებაში, გარკვეულწილად, დადებითი როლი შეასრულა და სკოლის დამთავრების შემდეგ, დედის რჩევითა და ახლობელთა შეგულიანებით, სამხატვრო აკადემიაში შესვლა გადაწყვიტა. დედამ იგი თბილისში ჩამოიყვანა და სამხატვრო აკადემიას მიაკითხეს, მაგრამ აკადემიაში გამოცდები უკვე დამთავრებული იყო, ყველა ჩარიცხულთა სიების გამოკვრას ელოდა. მურმანს, ვიდრე სოფელში ატესტატს და სხვა საჭირო საბუთებს გაუმზადებდნენ, დააგვიანდა და გამოცდების დასრულების შემდეგ მივიდა აკადემიაში. ამ გულდასაწყვეტი მდგომარეობის მიუხედავად, შექმნილმა ვითარებამ, მოულოდნელად, მის ცხოვრებაში დადებითი როლი ითამაშა. მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო რახან მურმანმა გამოცდებზე დააგვიანა და კონკურსში ვერ მიიღო მონაწილეობა, ნამუშევრები მაინც აჩვენა აკადემიის პედაგოგებს, სურდა გაეგო, თავისი მონაცემებით, მომავალში ჰქონოდა თუ არა აკადემიაში ჩაბარებისა და ჩარიცხვის იმედი. აკადემიის კეთილმა პედაგოგებმა „ბედის მაძიებელ“, ხელმოცარულ აბიტურიენტს ურჩიეს, მოსამზადებელ კურსებზე ჩაებარებინა და როგორც ხშირად იხსენებს ხოლმე მურმანი, – რომ არა მოსამზადებელი კურსები, სადაც მრავალი რამ ვისწავლე და აკადემიური ცოდნა შევიძინე, სხვაგვარად აკადემიაში ალბათ ვერ მოვხვდებოდიო.

აკადემიის დამთავრების შემდეგ, მურმან გელენიძე მხაზველობითი გეომეტრიისა და პერსპექტივის კათედრაზე მიიღეს. ამ პერიოდში აკადემიაში შრიფტიც ისწავლებოდა და მას ყველა სტუდენტს ასწავლიდნენ (სამწუხაროდ, 2006 წლიდან ეს საგანი საერთოდ ამოიღეს სასწავლო პროგრამიდან). ქართული შრიფტი, ლაღო გრიგოლიამ და სხვა შესანიშნავმა პედაგოგებმა შეაყვარეს მურმანს, შემდგომ კი იგი თავად ასწავლიდა სტუდენტებს ამ საგანს, მხაზველობით გეომეტრიასა და პერსპექტივასთან ერთად.

მურმან გელენიძის საქმისადმი დიდმა სიყვარულმა, საოცარმა მონდომებამ და შრომისმოყვარეობამ შედეგი გამოიღო, მისთვის ძირითადი ქართული შრიფტი გახდა. შექმნა მხატვრული შრიფტის ვარიაციები. განსაკუთრებით დაინტერესდა ხელნაწერი შრიფტის იდენტიფიკაციით, ვინაიდან არ არსებობს ერთნაირი ხელწერა და, როგორც ვიცით, ხელნაწერში ადამიანის ხასიათიც იკითხება; მან მიზნად დაისახა ცნობილი საზოგადო მოღვაწეების ხელწერა, გეომეტრიული აგების პრინციპებისათვის დაემორჩილებინა და მნიშვნელოვან შედეგსაც მიაღწია.

მურმან გელენიძე ჭეშმარიტად მკლავმოუღლეელი შემოქმედია, რომელიც იმედია, არაერთხელ გაგვახარებს თავისი მშვენიერი ნამუშევრებით. იგი მრავალი გამოფენის მონაწილეა ჩვენში თუ საზღვარგარეთ, რაც მისი შეუპოვარი ძიებებისა და შემოქმედებითი სრულყოფის უტყუარი დასტურია.

მურმან გელენიძის კაცობისა და მამულიშვილობის კიდევ ერთი საზომი ისიც გახლავთ, რომ იგი არასდროს ტოვებს მამაპაპეულ სახლ-კარს, იმ გარემოს, სადაც ფეხი აიდგა და პირველად შეიგდნო „სამშობლოს განცდა გასაკვირველი“. ყოველ შვებულებასა თუ თავისუფალ დროს მშობლიურ სოფელ გორდში ატარებს ბარითა თუ თონით, ნამგლითა თუ ცელით ხელში, რადგან იცის, რომ სწორედ აქაა განივთებული მშობლიური კერისა და სამშობლოს სიყვარული.

ღმერთმა ნუ მოუშალოს ეს სიყვარული შესანიშნავ პიროვნებას, ღირსეულ შემოქმედს, საიმედო ძმასა და მეგობარს, ჭეშმარიტად ქართველ ვაჟკაცს მურმან გელენიძეს, რომლის საიუბილეო თარიღს ზემოთ აღნიშნავენ მეგობრები, კოლეგები, აღზრდილები და მისი ნიჭის თაყვანისმცემლები.

მრავალჟამიერ სიცოცხლე, ბატონო მურმან!



## „ჭეშმარიტი სიყვარულით ცხოვრება“, ანუ დათუნი ბოსტაშვილის შთამომავალი

პოეტი და მხატვარი ვასილ ბოსტაშვილი, შეიძლება ითქვას, ისეთ პროზაულ და პრაგმატულ სფეროში მოღვაწეობს, როგორცაა იურიისპრუდენცია, მაგრამ ამით მის შემოქმედებას სიღრმე და პოეტურობა არ აკლდება. იგი ისტორიული პიროვნების დათუნი ბოსტაშვილის პირდაპირი შთამომავალია და, პირდაპირ თუ ირიბად, ეს იგრძნობა კიდევ მის შემოქმედებაში. ლექსებს წერს ყველგან, სადაც მუზა ეწვევა: ტყეების ზუზუნში, ავტობუსში, ტყეში, მაცივარზე და სახლის კედლებზეც კი.

– თქვენ როგორ ფიქრობთ: მხატვარი ხართ, რომელიც ლექსებს წერს თუ პოეტი, რომელიც ხატავს?

– ხშირად ყოფილა, რომ პირველად ან ლექსით დამიწყია, ან ნახატით... მთავარია, შთაგონება, რომელსაც ხან ნახატი მთავაზობს და ხან ლექსი.

– თუ ყოფილა შემთხვევა, რომ ერთდროულად ორივე მუზა გწვევიათ?

– ორი წიგნი გამოვეცი, ორივე ჩემი ხელნაწერია, ნახატებით ღრმად ვიძირები საკუთარ სულში, რათა ვიხილო, ვინ იშვება იქ და ვინ გამოდის იქიდან. საშინელია ადამიანთა სულების სიღრმე. გაბედული ადამიანი რძისფერი სინათლისაკენ წუთისოფელსა და ჯოჯოხეთს შორის მიისწრაფვის, თან ანგელოზთა გუნდი ეხვევა გარს, როგორც გარეგნული შესამოსელი.

– ერთ ლექსში საკუთარ თავს მგლად მოიხსენიებთ...

– ამ ლექსსაც „მგელი“ ჰქვია: „მიმიზნებდა ბედისწერა იარაღს და უთრთოდა შიშით ორი ხელი, გაციებულს მიმოწებდა იარაღს, უხაროდა: – მოგკალიო, მგელი. ხარხარებდა: – ეყოფა, რაც იარა, არ დატოვა ერთი ცხვარიც მთელი! გულის ჯავრი ამით გადაიყარა, ჩახმახს ჰკრა და შეაყენა მცველი, მომიკიდა, ხევ-ხევ მიიმედ იარა, მკერდი ჩემი სისხლით ჰქონდა ცხელი, ჩემნაირ ბედს თვითონაც ეზიარა, ჩამოეშვა მიღმიერში ბნელი, იქაც შევხვდით, მიცნო, არ აღიარა, შეეშინდა: – ვაიმეო, მგელი! მივაძახე – წყენამ გადამიარა, შენნაირი არ გახლავარ მკვლელი! მგელს ნუ მაქცევ, ღმერთო ადამიანად,



ვასილ ბოსტაშვილი

არ მინდა, რომ ვიქნე მგელზე მგელი“!

– ეს რაც შეეხება ლექსს, ისე კი გეტყვით, რომ მგლურია მართლა ეს წუთისოფელი და მინდა, რომ მეც მგელთა ხროვაში არ მიმათვალონ... ადამიანი ხომ ღვთის ტაძრადაა შექმნილი, დღეს გზისპირა ღუქნად გადაქცეულა, სადაც ავაზაკნი გასართობად შედიან. თავისი მეუფება და რეალობა – ერთადერთი რეალობაა, რომელიც ამ წუთისოფელში სულმა სხეულს დაუთმო შიშისა და უმეცრების გამო. ცხოვრებაში კი, ვფიქრობ, მთავარია, ჭეშმარიტი სიყვარულით ცხოვრება. ჭეშმარიტებაში ჭეშმარიტების აღმოჩენა, ვინც ჭეშმარიტება უწყის, მასში დაივანებს ჭეშმარიტება და მისი თანაზიარი ხდება, არა ნახევარი, არამედ სრული ადამიანი. ჭეშმარიტება ადამიანს ალავეებს, სრულყოფს, მაშინ, როდესაც სიცრუე მას ანაწევრებს და ფერფლად აქცევს.

– თქვენ ისტორიული პიროვნების დათა ბოსტაშვილის შთამომავალი ხართ...

– რაც შეეხება დათუნი ბოსტაშვილს, მე მისი პირდაპირი შთამომავალი ვარ.



„წაღმა-უკუღმა“. ავტ. ვასილ ბოსტაშვილი

მოგეხსენებათ, აჯი ჩაღბთან ბრძოლისას მან ერეკლე მეფეს ცხენი მიართვა და სიკვდილს ასე გადაარჩინა. ერეკლეს ბრძოლის შემდეგ ცხენისთვის მიუშვია სადავე და ბოსტაშვილების კერაზე მიუყვანია ცხენს. იქ, სადაც მე ვცხოვრობ, სამი დღე და ღამე დაუყვია მეფეს სახლულზე, დათუნისათვის აზნაურობა უბოძებია და ხმალი უჩუქნია. ეს ხმალი დღესაც სოფელში, ჩემს ოჯახში ინახება. მე ორი ვაჟი მეზრდება – ლექსო და პაპუნა და მჯერა, როცა გაიზრდებიან, ისინი ასეთი წინაპრის გმირობით იამაყებენ და თავადაც საამაყონი იქნებიან

– მუზა განსაკუთრებულ დროს და გარემოში გეწვევათ, თუ სამისოდ მხოლოდ განწყობაა საჭირო?

– ხშირად დამიწერია ლექსები უცნაურ ადგილებსა და დროს, მაგალითად, - ტყეების ზუზუნშიც, ავტობუსშიც, ტყეშიც, მაცივარზეც და სახლის კედლებზეც წამიწერია. ახლა სწორედ უჩვეულო გარემოში ისტორიული თემატიკის პოემა დაგწერე. მისი სათაურია „მარუშისძე“ და ის მეათე საუკუნის მიჯნას მოიცავს. ახლა ამ პოემიდან ნაწყვეტს გაგაცნობთ:

„დგას მეათე საუკუნის მიჯნა,  
ცა დააზრო სუსხიანმა ქარმა...  
გულისყური ყორანივით ჯიჯგნა  
მოღალატე ფეოდალთა გვარმა.“

უმეცართა სიბრმავეა შური,  
სიხარული მწუხარებამ მოსრა,  
სხეულია წუთისოფლის მდგმური,  
სირცხვილია ფუყე თავის მოჭრა.  
უბედობას უჟამობა წყევლის,  
მრისხანეა შურისგების ზარი,  
სიცოცხლეა მძიმე ბრძოლის ველით“...  
– ლექსი, რომელიც თქვენს ამწუთიერ განწყობას გამოხატავს...

„მოგონება ხალხისაგან გაძარცვული,  
აჩრდილები, არცთუ ისე მკრთალი,  
მეწვევიან უნებურად და წარსული,  
შემომყურებს დამნაშავეს თვალით...  
ყველა დარდი ნიავს უნდა გავატანო,  
წარსულიდან სულს

მიშფოთებს რაიც...


სიჭაბუკე ისე უნდა გავატარო,  
სიბერეში მომენატროს მაინც“...

– რა გწყინთ და გახარებთ?

– მწყინს ის, რომ ვაზი იჩეხება. ნავენახარს როცა ვუყურებ, – ცრემლი მადგება თვალებზე. მწყინს, რომ უფასურდება ქართული სიტყვა. მიხარია, რომ ძალიან პროგრესულად მოაზროვნე თაობა გვეზრდება... საქართველოს ბრწყინვალე მომავალი აქვს.

– რომელია კითხვა, რომელიც სულ გაწუხებთ:?

– ნეტავ, როგორი წარვდგები უფლის წინაშე?!



„ახლა, რა თქმა უნდა, ძლიერ გვიანია...“.  
ავტ. ვასილ ბოსტაშვილი





### ნატო სირბილადის ფერწერული ნამუშევრები

ჟურნალ „ანეულის“ შემომწირველები:

როზა ინანიშვილი, თამარ ლომიძე,

თამარ შაიშმელაშვილი, ლეილა ქიტოშვილი-სახლთხუციშვილი,

ჯუმბერ ჯიშკარიანი, ივანე ჯაფარიძე,

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“ რეკვიზიტებია:

ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22;

ანგარიშის ნომერი: GE81BG0000000306158900

თეხურ ჩალაგაშვილი —  
ყველას თავისი პაპლებ გონაშვილი უყავს...

ნინო ღარბაიხელის ერთი ლექსი:  
„ოჲი ოჲია“  
ირმა გურიელის პოეზია

ანზორ სიფრაშვილი —  
ნაწყვეტი რომანიდან:  
„მეფე ვახტანგ გორგასალი“

ნე-იანელაძე: ნარგიზა მგებლაძის  
ნერილი ნოდარ ჩხეიძეზე

რუსულან კოგახიძე —  
უმრდროვეზის ბახსენება

ზვიად გამსახურდია —  
გურამ ჩხეულიშვილის მოსაგონარი

ნინო ჩხიკვიშვილი —  
„თქვენ კი, კოლაუ ნადირაძე,  
რას იტყვიან შენზე?“

ნიკოს კაზანდაძისი —  
ნაწყვეტი რომანიდან:  
„ქრისტე კვლავ ჯვარს ეყვინ“



ახეული — გაბათხულის ხეული